


ნილა გრიგოლ ვერაძე

120



მედა გრიგოლ ფერაძე

**120**

მედა გრიგოლ ფერაძის  
საერთაშორისო კონფერენცია

საქართველო და ერისთავული  
ცივილიზაცია

მასალები



გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2020



შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

კრებული იბეჭდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (პროექტი GEC-19-240). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია, არ ასახავდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

რედაქტორი-შემდგენლები: გიორგი ჭეიშვილი  
თამარ ჭუმბურიძე

© თსუ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის იმპრესიები  
ავტორები, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი“

თბილისი, 0186, ქ. პოლიტიკისა და სამსახურის №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-647-8

## ნეიდა გრიგოლ ფერაძე

დამანა მელიქიშვილი, წმ. გრიგოლ ფერაძე - მსოფლიო მოქალაქე .....	7
ირაკლი ჯინჯოლავა, მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე — მოქალაქეობა და ერთობა .....	11
<i>Fr. Henryk Paprocki, Diary of St. Grigol Peradze as a Historical Source.....</i>	16
ეკა გოგიჩაიშვილი, „მღვდელი, რომლის მრევლია ევროპა“ .....	23
ნუგ ზარ პაპუაშვილი, მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე აღმსარებელ ამბროსი ხელაიას შესახებ .....	28
<i>Heinzgerd Brakmann, Grigol Peradze and the Rediscovery of the Old Jerusalem</i>	
Liturgy .....	33
თამარ ჭუბერიძე, გრიგოლ ფერაძე ქართული საერო ლიტერატურის საკითხებზე .....	39
ელდარ ბუბულაშვილი, წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი .....	44
ნინო ხაჩიაშვილი, მოქალაქე, მოქალაქეობა ტერმინებისათვის (წმ. გრიგოლ ფერაძის „შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის...“ მიხედვით) .....	52
მარიამ დიდებულიძე, მზია ჯანვალია, თამილა მგალობლიშვილი და წმინდა მინის ქართველოლოგიური კვლევები .....	57

## ისტორია

<i>Nicolas J. Preud'homme, Andrew the Apostle, Samzivari and Christianization in the Land of Mesxiens .....</i>	62
პაპუნა გაბისონია, შავიზღვისპირეთში ქართული პოლიტიკური ერთეულების საზღვრებისა და ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი .....	72
გაგა შურდაია, ვახტანგ I გორგასლის საეკლესიო რეფორმის ახლებური ინტერპრეტაციისათვის .....	78
ნიკოლოზ ულენტი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორების ისტორიიდან — გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები) .....	89
მზია ტყავაშვილი, 1578-1590 წლების ოსმალეთ-სპარსეთის ომი და რუსულ-კავკასიური ურთიერთობები .....	97
დავით მერკვილაძე, გენერალ მედემის ლაშქრობა დალესტანში და ერეკლე II-ს გეგმები .....	103
ია არაპიძე-ცბინდენი, ირინა არაპიძე, ახალი ცნობები დავით სარაჯიშვილის ცხოვრებიდან (ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივის მასალები) .....	110
მიხეილ ბახტაძე, პაველ ლიბერა, ახალი დოკუმენტები სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებული პოლონური სამხედრო შენაერთების შესახებ (1917-1918 წლები) .....	116
ოთარ ჯანელიძე, დაშნაკცუთიუნის ფრაქცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში .....	122
ალექსანდრე დაუშვილი, საბჭოთა ათეიზმის პირველი შედეგები საქართველოში .....	129
მიხეილ ქართველიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი მელქისდეპ III და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები ..	134
ნატო სონდულაშვილი, რელიგიის აღქმა ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტაში საბჭოთა პერიოდში .....	137

<b>არქიტექტორის</b>	
განტურგ ლიჩევიძე, ინტელექტუალური ინიციატივის კავკასიის იბერიაში (ძვ. ნ. XI-IX საუკუნეებში) .....	143
<b>ითხოვდობა</b>	
ლავრენტი ჯანიაშვილი, ეთნო-რელიგიური პროცესები მესხეთში XVII-XIX საუკუნეებში .....	145
როლანდ თოფჩიშვილი, ქართველი კათოლიკები/„ფრანგები“ XIX საუკუნის რუსული აღნერებით .....	151
ირმა კვაშილავა, ოსთა გაქრისტიანების ისტორია (XIX საუკუნის საარქივო მასალების მიხედვით) .....	158
<b>ხელოვნების ისტორია</b>	
თამარ ხუნდაძე, ქალთა გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ ქვის ქანდაკებაში .....	162
Erga Shneurson, Ductus. A Journey Through History and Art in Georgian churches Façades Sculpture.....	171
დეა გურია, ბაროკოს - ცხოველხატული სტილის პირველი ძეგლი საქართველოში: კუ მუ რდო .....	179
Nina Getashvili, Mother Superior Tamar (Famar). Fate and Image in Art .....	183
<b>ფილოლოგია</b>	
ნესტიან სულავა, წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების „ცხორების“ ერთი ეპიზოდის გააზრების შესახებ.....	187
თამარ ნინიძე, პეიორატიულ ფორმათა სტილური ფუნქცია ჰაგიოგრაფიაში.....	193
მაია ნაჭყებია, სლოვაკური სასკოლო პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ .....	198
<b>ცნათმეცნიერება</b>	
გიორგი ჯლარეავა, ქართველური ენების პარემიათა ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები .....	203

## CONTENTS

### **SAINT GRIGOL PERADZE**

<i>Damana Melikishvili</i> , Saint Grigol Peradze – a Citizen of the World.....	7
<i>Irakli Jinjolava</i> , Saint Hieromartyr Grigol Peradze – the Citizenship and the Unity .....	11
<i>Fr. Henryk Paprocki</i> , Diary of St. Grigol Peradze as a Historical Source .....	16
<i>Eka Gogichaishvili</i> , Grigol Peradze – “A Priest Whose Parish is Europe” .....	23
<i>Nugzar Papuashvili</i> , Holy Martyrial Grigol Peradze about Confessor Ambrosi Khelaia.....	28
<i>Heinzgerd Brakmann</i> , Grigol Peradze and the Rediscovery of the Old Jerusalem Liturgy .....	33
<i>Tamar Chumburidze</i> , Grigol Peradze on Georgian Secular Literature .....	39
<i>Eldar Bubulashvili</i> , St. Grigol Peradze – Student of the Georgian Church History .....	44
<i>Nino Khakhiaishvili</i> , About the Terms “Citizen” and “Citizenship” (According to St. Grigol Peradze’s <i>Content of True Citizenship...</i> ).....	52
<i>Mariam Didebulidze</i> , <i>Mzia Janjalia</i> , Tamila Mgaloblishvili and the Georgian Studies of the Holy Land .....	57

### **HISTORY**

<i>Nicolas J. Preud’homme</i> , Andrew the Apostle, Samzivari and Christianization in the Land of Mesxians.....	62
<i>Papuna Gabisonia</i> , From the Historical Geography of Western Georgia: Frontiers on the Black Sea .....	72
<i>Gaga Shurgaia</i> , A New Interpretation of the Ecclesiastical Reform of Vakhtang I Gorgasali, King of Kartli .....	78
<i>Nikoloz Zhghenti</i> , From the History of Church Seigneuries of Western Georgia - Gelati and Mtis Tsminda Giorgi Monasteries (Historical Ties).....	89
<i>Mzia Tkavashvili</i> , 1578-1590 Ottoman-Persian War and Russian-Caucasian Relations .....	97
<i>David Merkviladze</i> , General Medem’s 1775 Campaign in Dagestan and the Plans of King Irakli II.....	103
<i>Ia Arabidze-Zbinden</i> , <i>Irine Arabidze</i> , New Data on David Sarajishvili’s Biography (Heidelberg University’s Archival Documents).....	110
<i>Mikheil Bakhtadze</i> , <i>Pavel Libera</i> , New Documents on Polish Military Units Formed in the South Caucasus (1917-1918) .....	116
<i>Otar Janelidze</i> , Dashnaksutyun Faction in the Democratic Republic of Georgia.....	122
<i>Alexander Daushvili</i> , The First Consequences of Soviet Atheism in Georgia .....	129
<i>Mikheil Kartvelishvili</i> , Catholicos-Patriarch Melchizedek III and the Foreign Relations of the Georgian Orthodox Chrch .....	134
<i>Nato Songulashvili</i> , Perception of Religion by the Georgian Cultural and Political Elite in the Soviet Period .....	137

## **ARCHAEOLOGY**

- Vakhtang Licheli, Intellectual Innovations in the Caucasian Iberia (11<sup>th</sup>-9<sup>th</sup> Centuries BCE)* ..... 143

## **ETHNOLOGY**

- Lavrenti Janiashvili, Ethnoreligious Processes in Meskheti (17<sup>th</sup>-19<sup>th</sup> Centuries)* ..... 145  
*Roland Topchishvili, Georgian Catholics/Prangebi According to the 19<sup>th</sup> Century Russian Census* ..... 151  
*Irma Kvashilava, The History of the Christianization of Ossetians (According to the 19<sup>th</sup> Century Archival Material)* ..... 158

## **ART HISTORY**

- Tamar Khundadze, Image of Women in Medieval Georgian Stone Sculpture* ..... 162  
*Erga Shneurson, Ductus. A Journey Through History and Art in Georgian churches Façades Sculpture* ..... 171  
*Dea Gunia, Kumurdo – the First Monument of Pictorial Style in Georgia* ..... 179  
*Nina Getashvili, Mother Superior Tamar (Famar). Fate and Image in Art* ..... 183

## **PHILOLOGY**

- Nestan Sulava, Conceptualizing One Episode of the *Life* of St. Ioane and St. Eptvime Mtatsmindelis* ..... 187  
*Tamar Ninidze, Stylish Functions of Euphemism in Hagiographic Texts* ..... 193  
*Maia Nachkebia, Slovak School Play about Queen Ketevan* ..... 198

## **LINGUISTICS**

- Giorgi Jgharkava, Linguo-culturological Aspects of Paroemias of Kartvelian Languages* ..... 203

## ც. მღვდელმონაშვილის გრიგოლ ფარაპე – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მაცლევარი

ელდარ გუბაშვილი

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მკვლევართა შორის გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ წმინდანად შერაცხულ გრიგოლ ფერაძეს (1899-1942 წ.), რომლის მოღვაწეობა საბჭოთა რეჟიმის დროს მისი თანამემამულებისათვის ნაცემისად იყო ცნობილი. მისი მოღვაწეობის გარიყრაზე, ივ. ჯავახიშვილი-იყო პირველი, მე მგონი, ერთადერთი მკვლევარი, რომელმაც XX ს-ის 20-იან წლებში მოახდინა უცხოეთში გამოქვეყნებული მისი ნაშრომების ციტირება (ჯავახიშვილი 1979: 395-398, 400-407, 410). შემდგომ კი სხვა მკვლევარები ველარ ბედავდნენ მის მითითებას რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, გრიგოლ ფერაძე, როგორც უცხოეთში სწავლა მიღებული და მოღვაწე მეცნიერი მიუღებელი იყო საბჭოთა რეჟიმისათვის; მეორე – საბჭოთა ათეიისტური იდეოლოგისათვის ტაბუდადებულად ითვლებოდა ის თემატიკა, რომელსაც იგი იკვლევდა.

ბოლო ათწლეულებში ჩვენს ქვეყნაში შეცვლილი პოლიტიკური ვითარების შესატყვისად შეიცვალა გრიგოლ ფერაძისადმი დამოკიდებულება. მისი ნაშრომების მოძიებას, თარგმნას, გამოქვეყნებას და სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასებას დიდი ამაგი დასდეს ქართველმა და უცხოელმა მკვლევარებმა: პ. გოლცმა, ე. პაპროცკიმ, დ. ყოლბაიამ, თ. ჭუბურიძემ, გ. ჯაფარიძემ, თ. მგალობლიშვილმა, ნ. პაპუაშვილმა და სხვებმა. განეული მუშაობის მიუხედავად, როგორც საქართველოში ისე უცხოეთში სათანადო არ არის შეფასებული გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა, განსაკუთრებით მისი ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევაში. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების პირველი ცდაა.

სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად გრიგოლ ფერაძე მრავალმხრივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწეოდა თეოლოგიის სხვადასხვა დარგში: პატროლოგიაში, ასკეტიკაში, ლიტურგიკაში, ბიბლიოლოგიაში, ეგზეგეტიკაში და სხვა. ევროპაში მიღებული თეოლოგიური განათლება და უცხო ენების ცოდნა დიდად ეხმარებოდა აღნიშნული თემატიკის მეცნიერულ დამუშავებაში.

ზემოთ დასახელებული თემატიკის გარდა, გრიგოლ ფერაძე იკვლევდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს. მართალია მას ამ საკითხთან დაკავშირებით განმაზობადებელი ნაშრომი არ დაუწერია, მაგრამ მის სადისერტაციო ნაშრომში და რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაციაში ასახულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები.

საეკლესიო ისტორიის საკითხისადმი მიძღნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია გრიგოლ ფერაძის საკვალიფიკაციო ნაშრომი ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1065 წლამდე, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილმა 1926-1927 წლებში გამოქვეყნებულმა სამა პუბლიკაციამ მოაღწია ჩვენამდე (ჭუმბურიძე 2006: 8-9). ამისდამიუხედავად გამოქვეყნებული გამოკვლევები სრულ ნარმოდგენას გვიქმნის მის სადისერტაციო ნაშრომზე, რაშიც მას 1927 წელს ბონის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

თემატიკის მიხედვით გრიგოლ ფერაძის ქართული ბერმონაზვნობის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები ასკეტიკის სფეროს განეუთხება, მაგრამ კვლევის შედეგები და ნაშრომში ნარმოდგენილი საკითხები უფრო მეტად ეკლესიის ისტორიის კვლევის სფეროს შეიძლება მიაჟაუროთ ნორი. თუმცა, თავისითავად ასკეტიკაც და თეოლოგიის სხვა მიმართულებები (დოგმატიკა, ლიტურგიკა და სხვა) ზოგადად ეკლესიის ისტორიაშიც მოიაზრობა.

მართალია, გრიგოლ ფერაძის საკვალიფიკაციო ნაშრომს ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია, მაგრამ, მისივე გადმოცემით, ჩვენთვის ცნობილი ხედება ნაშრომის არქიტექტონიკა. ნაშრომის შესავალ ნაწილში მოკლედ მიმოხილული ყოფილა ქართველი ბერმონაზვნების მოღვაწეობა ბალესტინაში და სინას მთაზე; დისტრქაციის პირველი თავი დათმობილი პეტრინა საკუთვრივ საქართველოში ბერმონაზვნობის ისტორიის ჩვენებას, სადაც ძირითადად ნარმოდგენილი ყოფილა ასურელი მამების ღვაწლი სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბებაში. ნაშრომის ამავე ნაწილში განხილული ყოფილა წმ. სერგაპიონ ზარზმელის, წმ. გრიგოლ ხანცელის, წმ. ილარიონ ქართველის და სხვათა ღვაწლი, რომლებიც

გრიგოლ ფერაძის აღნიშვნით: „ეს მამები არიან ქართული ბერმონაზვნობის მთავარი წარმომადგენლები.“ ნაშრომის მეორე ნაწილი ეხებოდა ათონის ივირონის ქართულ მონასტერში მოღვაწე ქართველი წმინდა მამების იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელების ღვაწლის ჩვენებას. ნაშრომის დასკვნითი ნაწილი კვლევის შედეგების შეჯამებას წარმოადგენდა (ფერაძე 2012: 148).

ნაშრომის არქიტექტონიკიდან ჩანს, რაც აგრეთვე ჩვენამდე მოღწეულ გამოქვეყნებული პუბლიკაციებითაც დასტურდება, რომ გრიგოლ ფერაძის აღნიშვნული შრომა ერთ-ერთი პირველი მონოგრაფია საქართველოში სამონასტრო ცხოვრების შესახებ. თუმცა, ამავე საკითხზე, ჯერ კიდევ, 1900 წელს გამოქვეყნდა ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) ნაშრომი, ხოლო 1925 წელს კ. ეკელიძის სამეცნიერო გამოკვლევა ასურელი მამების შესახებ. აღნიშვნულ შრომებს გრიგოლ ფერაძე კრიტიკულად აფასებს. ეს საკითხი სამართლებლივი კუთხით ზოგადად აგრეთვე გაშუქებული აქვს ივ. ჯავახიშვილს (ეპ. კირიონ 1900; ეკელიძე 1925; ჯავახიშვილი 1984: 28-87).

გრიგოლ ფერაძე სამართლიანად აღნიშვნას, რომ ქართული ბერმონაზვნული ცხოვრების პირველ საწყისების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, რის გამოც მის განხილვას ბუნებრივია ხაკლებ ყურადღებას აქცევს. მისივე განმარტებით, მართალია V ს-ში უცხოეთში მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები ბეტრე იბერი და სხვები, მაგრამ, მისი აზრით, მათ არავითარი წვლილი არ შეუტანიათ ქართული ბერმონაზვნობის დაფუძნებაში.

გრიგოლ ფერაძე ქართული ბერმონაზვნობის წარმომავლობის საფუძვლზე მის განვითარებას სამ პერიოდად ჰყოფს: სირიული, პალესტინური და ბოლოს ათონური ანუ ბიზანტიური. შემოთავაზებულ პერიოდიზაციასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია სირიულს წინ უსწრებდეს პალესტინური ან შეიძლება ისინი ერთდროულადაც ყოფილიყვნენ. გრიგოლ ფერაძე ასურელ მამების ცხოვრების მაგალითზე აღნიშნავს, რომ სირიული გავლენა ანტიოქიიდან მოდიოდა, რადგან ისინი სვიმეონ მესვეტე მცირეს დიდ გავლენას განიცდიდნენ, რომელმაც, მისი აზრით, სირიელი მამები გამოგზავნა საქართველოში. მისივე განმარტებით, შავ მთაზე და ანტიოქიაში მოღვაწე ქართველების გავლენით სამცხეში სერაპიონ ზარზმელის მეშვეობით მკვიდრდება ბერმონაზვნული ცხოვრება. გრიგოლ ფერაძე აღნიშნავს, რომ მართალია, სამონასტრო ცხოვრების გავრცელება საქართველოში პალესტინიდანაც ხდებოდა, იქ მოღვაწე წმ. საბას ქართველები დიდ პატივს მიაგებდნენ და მის სახელზე საქართველოში ეკლესია-მონასტრებსაც აშენებდნენ, მაგრამ მათი წეს-განგების დამკვიდრება ქართულ ეკლესიაში მარტივად არ ხდებოდა. ამის მაგალითად მას მოაქვს გრიგოლ ხანცოლი, როდესაც მან იერუსალიმიდან საპანტინიდის ლავრიდან ჩამოტანილი ტიპიკონის ნაცვლად თვითონ შექმნა ახალი ტიპიკონი. გრიგოლ ფერაძე მესამე ბიზანტიური პერიოდის საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევს ათონის მთაზე ივირონის მონასტრში მოღვაწე ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს, რომელთა ღვაწლით, მისი დასკვნით, „ქართულმა ბერმონაზვნობამ უნივერსალური ხასიათი მიიღო“ (ფერაძე 2012: 151).

გრიგოლ ფერაძე ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის განხილვას იწყებს ასურელი მამების მოღვაწეობით. საკითხის განხილვის დროს იგი იყენებს მხოლოდ მ. საბინინის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, რადგან ამ დროისათვის გამოუცემელი იყო ს. კაკაბაძის და განსაკუთრებით ი. აბულაძის აკადემიური გამოცემა (კაკაბაძე 1928; აბულაძე 1955). გრიგოლ ფერაძე ასურელ მამათა ცხოვრების ამსახველ წყაროებს XII ს-ით ათარილებს, მათ ერთგვარად სკეპტიკურად უყურებს და მიიჩნევს, რომ მათი ცხოვრებები ბერების მიერ „შეთხული ლეგენდარული ქმნილებებია“, რომელიც ძველ მასალებზე დაყრდნობით დაწერილია მოგვიანებით მათი განდიდების მიზნით. გრიგოლ ფერაძის თვალსაზრისი იგ. ჯავახიშვილმა არ გაიზიარა და მისი კრიტიკაც დაიმსახურა (ჯავახიშვილი 1979: 399-400).

გრიგოლ ფერაძე არ იზიარებს კ. ეკელიძის მოსაზრებას ასურელ მამათა ქართველობის შესახებ და დაასკვნის, რომ ისინი იყვნენ სირიელი ასკეტი მისომერები, ხოლო მათ მონაფეები „შესაძლებელი ქართველები ყოფილიყვნენ“. იგი აგრეთვე არ ემხრობა კ. ეკელიძის შეხედულებას ასურელი მამათა მონოფიზიტობის შესახებ და შესაბამის არგუმენტების მოშველიებით მიიჩნევს, რომ ისინი იყვნენ დიოფიზიტები და ხელს უწყობდნენ მის განმტკიცებას საქართველოში.

გრიგოლ ფერაძე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ასურელი მამების ქარ-

თლში შემოსვლის დროსთან დაკავშირებით. ამ საკითხს იგი განიხილავს მათი აღმსარებლობის საკითხის კონტექსტში და V-VI საუკუნეებში საქართველოსა და სირიაში არსებული სარწმუნოებრივი ვითარების ფონზე და დაასკვნის, რომ ქართლში ისინი უნდა შემოსულიყვნენ არა VI ს-ში, არამედ V ს-ის მეორე ნახევარში. თავისი მოსაზრების მეტი დამაჯერებლობის მიზნით, იგი აღნიშნავს, რომ V ს-დან VI ს-ში მათი შემოსვლის თარიღი გადატანილი იქნა იმის გამო, რომ ასურელ მამათა ცხოვრების ავტორად კათოლიკოსი არსენ I (855-882 წ.) მიიჩნიონ, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო ანტიქალკიდონელი სომხების (ფერაძე 2012: 131).

გრიგოლ ფერაძე სამართლიან ეჭვს გამოთქვამს ასურელ მამათა რაოდენობის შესახებ და დაასკვნის, რომ არ ხერხდება მათი ზუსტი რიცხვის დადგენა. თუმცა, აღნიშნავს, რომ რიცხვი 13 პირობითია და იგი ქრისტესა და მისი 12 მონაფის სიმბოლურ განსახიერებას უნდა ნარმოადგენდეს (ფერაძე 2012: 90-91).

გრიგოლ ფერაძის დასკვნით, ასურელი მამების შემოსვლამდე საქართველოში ბერმონაზვნობა არსებობდა ანაქორეტული (მარტოდ მცხოვრები განდეგილი ბერი) ფორმით, მაგრამ განსხვავებული ცხოვრების წესის გამო უცნობი დარჩა მათი მოღვაწეობა. სირიელმა მამებმა, გრიგოლ ფერაძის აღნიშნით, ქართლში დააფუძნეს ბერმონაზვნობის კინობიტური ანუ სამონასტრო ცხოვრება. ბოლოდროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენებითა და გამოკვლევებით დასტურდება, რომ ასურელ მამების მოსვლამდე IV-V სს-ში საქართველოში რამდენიმე მონასტერი ყოფილა (წილკანი, ატენის ხეობა), ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალმა და მისმა ძუძუმტემ არტავაზმა დაარსეს ოპიზის მონასტერი და სხვა (ხოშტარია 2000: 103-104; ბუბულაშვილი 2007: 227; მათითაშვილი 2017: 9).

გრიგოლ ფერაძე ქართული ბერმონაზვნობის ძირითად მახასიათებლად მიიჩნევს ანაქორეტული ცხოვრების წესს. მისი აზრით, ქართველი ბერმონაზვნები ყოველთვის ანაქორეტული ცხოვრების მიმდევრები იყვნენ და განსაკუთრებულ მიდრევილებას იჩენდნენ მისი უკიდურესი ფორმის მესვეტეობის მიმართ, რომელიც საქართველოში VI ს-დან დღემდე დასტურდება. იგი ასკვნის, რომ ქართველი ბერები სრულყოფილებას ანაქორეტობაში ხედავდნენ.

გრიგოლ ფერაძე ანაქორეტი (განდეგილი) ბერმონაზვნების ერთ საინტერესო მახასიათებელს გამოჰყოფს. ამ ბერების უმეტესმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ თავიანთი მოღვაწეობით ღვთის დიდი მაღლი შეიძინეს. ამის მაგალითია წმ. მამა ანტონ დიდი (250-356 წ.), რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ მისმა ნააზრევმა მის მიერ კარნახით სხვების ჩაწერილმა ტექსტებმა ჩვენამდე მოაღწია. გარდა ამისა, ცნობილია, რომ XX ს-ის დასაწყისში ოპიტის მონასტრის მკვიდრი აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარი სერაფიმესაგან რჩევა-დარიგებებს მწერალი ლევ ტოლსტოიც ისმენდა. გრიგოლ ფერაძე აღნიშნავს, რომ ანაქორეტი ბერების მცირე ნაწილის ნააზრევმა მოაღწია ჩვენამდე, დანარჩენი ისე როგორც მათი სახელები მომავალი თაობებისათვის უცნობი დარჩა. მისი დასკვნით, ქართულ სინამდვილეში ბერმონაზვნები ანტონ დიდის, სვიმეონ უმცროსის, სვიმეონ უჯროსის, საბა განწმენდილის და მათი მსგავსი განდეგილების თაყვანისმცემები იყვნენ და ისინი ჩვენში დიდი პატივით სარგებლობდნენ.

გრიგოლ ფერაძე ანაქორეტული ცხოვრების რამდენიმე სახეობას გამოჰყოფს: 1. საკუთრივ ანაქორეტი ბერი, რომელიც ბერული ცხოვრების საწყის ეტაპზე არსებობდა საქართველოში და თავიანთი ცხოვრების წესით უცნობი დარჩენ და ამის გამო მათ შესახებ არაფერია ცნობილი; 2. ბერი ანაქორეტულ ცხოვრებას ენევა, მაგრამ ზოგჯერ ღვთის ვამოცხადებით ან საკუთარი სურვილით გარე სამყაროსთან ურთიერთობს და დაინტერესებული არიან თავიანთი ქვეყნის კეთილდღეობით. ასეთ მოღვაწედ გრიგოლ ფერაძეს მიაჩნია ანტოტებიში კლდის ნაპრალში დავანებული XI ს-ის ბერი გორგი შეყენებული, რომლის შესახებ იგი აღნიშნავს: „ამ ბერის სახით ჩვენს ნინაშეა ქართველი ანაქორეტის ჭეშმარიტი ტიპი, ენერგიული ადამიანი, რომელსაც აერთიანებს ორი საპირისპირო პოლუსი – ქვეყნისაგან განდგომის და ქვეყნისათვის კეთილდღეობით. ასეთ მოღვაწედ გრიგოლ ფერაძეს მიაჩნია ანტოტებიში კლდის ნაპრალში დავანებული XI ს-ის ბერი გორგი შეყენებული, რომლის შესახებ იგი აღნიშნავს: „ამ ბერის სახით ჩვენს ნინაშეა ქართველი ანაქორეტის ჭეშმარიტი ტიპი, ენერგიული ადამიანი, რომელსაც აერთიანებს ორი საპირისპირო პოლუსი – ქვეყნისაგან განდგომის და ქვეყნისათვის კეთილდღეობაში“ (ფერაძე 2012: 155). ცნობილია, რომ მისი შეგონებით გორგი მთაწმინდელმა დიდი როლი შეასრულა ქართულ სულიერი კულტურის განვითარებაში. გრიგოლ ფერაძის მიხედვით, შემდეგი სახეობა ანაქორეტებისა არის კელიოტები იგივე მესენაკენი, რომლებიც ანაქორეტების მსგავსად თავის მონაფებთან ერთად ცხოვრობენ, მაგრამ მათ სურთ ანაქორეტობასა და კინობიტობას შორის სინთეზის

შექმნა. ამის მაგალითად იგი ასახელებს წმ. გრიგოლ ხანცოთელს, რომელმაც ლვთისგამოც-ხადებით ტაო-კლარჯეთში დაიწყო სამონასტრო ცხოვრების განვითარება. გრიგოლ ფერა-ძე გრიგოლ ხანცოთელს მიიჩნევს ქართული ბერის ჭეშმარიტ სახედ, რომელიც „თავის თავში აერთიანებს საუკეთესო რელიგიურ-მორალურ იდეალებს ხალხისას.“ მისი დასკვნით, გრი-გოლ ხანცოთელის სურვილი იყო „საქართველოში კინობიტური ბერმონაზვნობის მაღალ სა-ფეხურზე აყვანა,“ რასაც მონმობს მის მიერ სამხრეთ საქართველოში აგებული ეკლესი-მო-ნასტრები და ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მოლვანებობა, რასაც იგი ეწოდა. გრიგოლ ფერაძე ალნიშნავს, რომ კელიოოტ ბერთა უმეტესობა შინაგანად ისევ ანაქორეტუ-ლი პრინციპების ერთგული რჩებოდნენ. ამის ნიმუშად მას მოჰყავს ათონის ივირონის ქარ-თული მონასტერი, რომელსაც იგი კინობიტობის კლასიურ ნიმუშად მიიჩნევს, სადაც „მო-ნასტრის შიგნით და გარეთ“ მრავლად იყვნენ კელიოტი ბერები, რომელთა შორის დასახე-ლებულია „სულიერ და ღმერთშემოსილ მამანი, სანატრელი არსენი ნინოშმინდელი, მარ-ტოდმყოფი ბერი იოანე და სხუანი.“ კელიოტი ბერებისათვის დამახასიათებელია პასიურო-ბა, თუმცა, ისინი ცდილობდნენ ლარიბი, დაჩაგრული ადამიანების დაცვას და სხვა. გრიგოლ ფერაძის დასკვნით, კელიოტი ბერის ორმაგი დამოკიდებულება: ამქვეყნიურ ცხოვრებას-თან სიახლოვე და მისგან განმარტოება, არაბუნებრივი და საზიანოც კი იყო, რადგან ისინი ვერ ახერხებდნენ სრულყოფილების მაღალ საფეხურზე ასვლას; მეორე მხრივ, ამქვეყნიუ-რი პასიური ქმედების გამო გავლენას ვერ ახდენდნენ მინიერ ცხოვრებაზე. ამისდამიუხედა-ვად გრიგოლ ფერაძე სამართლიანად ალნიშნავს, რომ ბერმონაზვნობა „კულტურულ-ისტო-რიული ძალა გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კინობიტურ ცხოვრებაში ჩაერთო,“ რომლის მოლვანებობა სამონასტრო ტიპიკონით და მონასტრის წინამდლვრის მითითებით განისაზ-ღვრებოდა (ფერაძე 2012: 156).

გრიგოლ ფერაძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში ერთმანეთისაგან განასხვავებს დასავ-ლურ და აღმოსავლურ ბერმონაზვნობას და დასაკვნის, რომ ორივესაგნ განსხვავებით ქარ-თულ ბერმონაზვნობაში უპირველესი ადგილი ეკავა განდეგილობას.

გრიგოლ ფერაძე სამონასტრო ცხოვრების უმაღლეს მწვერვალად მიიჩნევს ათონის მთის ივირონის ქართულ მონასტერს. მართალია, ჩვენსმდე არ მოუღწევია სადისერტაციო ნაშრომის იმ ნანილს, სადაც ივირონის მონასტრისა და იქ მოღვაწე იოანე, ექვთიმე და გი-ორგი მთაწმინდელების მოღვაწეობა ყოფილა შეფასებული, მაგრამ საინტერესო ცნობე-ბის მომცველია 1935 წელს გრიგოლ ფერაძის მიერ ათონის მთის მონასულება და ამ სა-კითხთან დაკავშირებით მის მიერ გამოქვეყნებული ნარკვევი. ამ ნარკვევში მოკლედ გად-მოცემულია ივირონის მონასტრის ისტორია, ნარმოჩნილია მონასტრის მკვიდრთა ლვან-ლი და მათი როლი ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებაში. იგი აღნერს ბერ-ძენთა ძალმომრეობას და მიუთითებს იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ივირონის მონას-ტრის დაკარგვა და სხვა. ათონზე მოგზაურობის დროს მან მანამდე უცნობი საინტერესო მასალები მოიძია. იქვე ეკლესიაში უნახავს ქართული ნარჩერები, დიონისეს მონასტრის მახლობლად მთის წევრზე მოუნახულებია ის სენაკი, სადაც X ს-ში ცხოვრობდა გაბრიელ ბერი, რომლის სახელს უკავშირდება ზღვიდან ივირონის ხატის გამოსვენება. გრიგოლ ფერაძის მისვლის დროს სენაკში ცხოვრობდა ხ ქართველი ბერი. ამავე სენაკის შეკვიდრი XIX ს-ის პირველ ნახევარში ყოფილა მეფე სოლომონ II-ის მოძღვარი ილარიონ ქართველი (ყანჩაველი) ახლახან საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული. ამავე სენაკ-ში მას უნახავს ხატი, რომელზეც გამოსახული ყოფილა ყველა ქართველი წმინდანი, აგ-რეთვე მოუძიებია საინტერესო ქართული დოკუმენტები საქართველოს შესახებ, მამა ილარიონის ცხოვრების აღნერილობა ბერძნულ ენაზე და სხვა. მას ფილოთეონის მონას-ტრში, რომელიც XV ს-ში განუახლებია კახთა მეფე ლევანს (1418-1475 წწ.) და მის შვილს ალექსანდრეს (1475-1511 წწ.), უნახავს ამ მეფეთა ფრესკები, ხოლო მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებზე 1841 წლით დათარიღებული ქართული ნარჩერები. მის დროს ათანასეს მონასტერში დაცული ყოფილა XVIII ს-ით დათარიღებული ქართული საგალობ-ლების ტექსტები, რომლებიც ადგილობრივებს სომხურად მიაჩნდათ. მისი ჩარევით შეც-დომა გამოსწორდა. X და XI ს-ით დათარიღებული ქართული საგალობლები აგრეთვე და-ცული ყოფილა დიონისესა და პანტელეიმონის მონასტერში. ათონის მთიდან გრიგოლ ფე-რაძეს ნამოულია 50- მდე ქართული ხელნაწერი, მათ შორის იონა ხელაშვილის გადაწერი-ლი წიგნები გრიგოლ ფერაძემ შეადგინა და გამოსცა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელე-

ბის ნათარგმნი წიგნების კატალოგი.

ზემოაღნიშნულის გარდა აღვნიშნავთ: ნაკლებად გასაზიარებელია გრიგოლ ფერაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ თითქოს დასრულდა ქართული ბერმონაზვნობის განვითარება. მართალია, გრიგოლ ფერაძის აზრით, XI-XIII სს. მოღვაწეობენ ლეონტი მროველი, თეოფილე ხუცესმონაზონი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრინი, მათ გააგრძელეს ათონური ტრადიციები, მაგრამ ისინი ვერ ამაღლდენ გიორგი მთაწმინდელის დონემდე. გრიგოლ ფერაძე საერთოდ არ ახსენებს არსენ იყალთო-ელს და გელათის აკადემიას, სადაც, როგორც ცნობილია, შეიქმნა გელათური სკოლა, რომლის წიაღმი შესრულდა კომენტირებული (კატენებიანი) ძველი აღთქმის თარგმანი, ითარ-გმნა სალგოსისმასხურო ძეგლები და დაინერა ორგინალური თხზულებანი, რომელიც ეფუძ-ნებოდა ამ აკადემიაში ჩამოყალიბებულ ტერმინოლოგიურ ლეთისმეტყველებას.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით საესპერი ვეთანხმებით გრიგოლ ფერაძის მო-საზრებას, რომ XIII-XVIII სს. გარეშე მტრების შემოსევებისა და მაპმადიანური გარემოც-ვის გამო ნარმოშვა ბერის „განსაკუთრებული ტიპი – მეომარი ბერის სამოსელში“ (ფერა-ძე 2012: 153). დასახელებულ საუკუნეებში, მისი აზრით, ხდებოდა დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენა და ბერმონაზვნობის აღორძინება. საქართველოს ეკლესის ისტო-რიის უძველესი პრობლემების შესახებ ყურადღებას იპყრობს გრიგოლ ფერაძის მიერ 1932 წლის 24 მაისს ოქსფორდში ნაკითხული ლექცია, რომელიც იმავე წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა. მოხსენება ძირითადად ემყარება კ. კეკელიძის გერმანულ ენაზე გა-მოქვეყნებულ ნაშრომს ქართლის მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური სა-კითხები და გერმანელი არმენელოგის ი. მაკვარტის ამავე საკითხზე გამოცემულ სტატი-ას. გრიგოლ ფერაძის აღნიშნული შრომის გამოქვეყნების დროს მკვლევართა ნაწილი ზო-გიერთ წყაროზე დაყრდნობით მიიჩნევდა, რომ ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს თაყვანისცემა საქართველოში X ს-დან ჩნდება. მანამდე თურმე ქართველები სომეხთა განმანათლებელ პართელს მიიჩნევდნენ თავიანთ განმანათლებლად. საკამათო იყო აგრეთვე ქრისტიანობის მიღების თარიღიც, თუ რომელი მეფის დროს მოხდა ქარ-თლის გაქრისტიანება და სხვა. აღნიშნულ საკითხებს გრიგოლ ფერაძე განიხილავს და მეტნაკლებად თავის პოზიციასაც აფიქსირებს. მისი ნაშრომის ქართულ ენაზე პუბლიკა-ციის გამო მკვლევარმა მარიამ ჩხარტიშვილმა 2003 წელს დღევანდელი გადასახედიდან დელიკატურად მიუთითა იმ მცდარ შეხედულებებზე, რაც გრიგოლ ფერაძის ნაშრომში შეინიშნება (ჩხარტიშვილი 2003: 79-86). მკვლევარ მარიამ ჩხარტიშვილის ცველა შენიშ-ვნას ჩვენ ვიზიარებთ. დამატებით კი დავძიროთ, რომ ვერ დავეთანხმებით გრიგოლ ფერა-ძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს წმ. ნინომ მხოლოდ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კერძოდ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ მესხებში იქადაგა ქრისტიანო-ბა და როდესაც მათ არაბთა საწინააღმდეგოდ შიდა ქართლში „ახალ ქართულ დედაქა-ლაქში, რომელიც მათ პოლიტიკურად და კულტურულად დაიპყრეს, თავიანთი პროვინცი-იდან ჩამოიტანეს გადმოცემა და საკუთარი მხარის განმანათლებელი აქციეს მთელი აღ-მოსავლეთ საქართველოს მხარის განმანათლებლად. ქართველებმა ეს აზრი დიდი ნინა-აღმდეგობის გარეშე მიიღეს, რადგან წმ. გრიგოლი და თავიანთი ქრისტიანობის სომხური ნარმოშობა მძიმე ტვირთად აწვათ.“ შემდეგ გრიგოლ ფერაძე დაასკვნის, რომ აღმოსავ-ლეთ საქართველოს განმანათლებლად წმ. ნინოს მიჩნევის შემდეგ X ს-ში საჭირო გახდა დაწერილიყო მისადმი მიღვნილი მოქცევად ქართლისად (ფერაძე 2012: 330).

საქართველოს გაქრისტიანებისა და წმ. ნინოს საკითხს გრიგოლ ფერაძე აგრეთვე იხილავს 1928 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ კ. კეკელიძის ნაშრომის მოქცევამ ქართლისადმი მიძღვნილ რეცეპტიაშიც.

გრიგოლ ფერაძე თავის მოხსენებაში წმ. ნინოს კონტექსტში ეხება წმ. გიორგის თაყ-ვანისცემასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი მიიჩნევს, რომ წმ. ნინოს მსგავსად, ზუს-ტად ამავე გზით X ს-ში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა გაეცნო წმ. გიორგის კულტს, რომელიც მანამდე მათთვის უცნობი იყო (ფერაძე: 2012: 344-345). გრიგოლ ფერა-ძე აგრეთვე უპრიტიკოდ იზიარებს წ. მარის და ზოგიერთი სხვა მეცნიერის აზრს, რომ წმ. ნინოს მოღვაწეობის დროს მესხეთი ქართველებთან ერთად სომხებით იყო დასახლებუ-ლი, არაბების შემოსევებმა და ეპიდემიამ გაანადგურა სომხური მოსახლეობა, რომელთა

მიტოვებულ ადგილებსა და სომხურ ეკლესია-მონასტრებს თითქოს ქართველები დაპატ-რონებიან (ფერაძე 2012: 333). გრიგოლ ფერაძის აღნიშნულ მსჯელობასთან დაკავშირებით დავძინთ, რომ ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ეს საკითხი უკვე კარგა ხანია გარკვეულია, მაგრამ ჩვენი მეზობელი სომები მკვლევარების ნაწილი კვლავ ცდილობს ძველი დროინდელი ისტორიოგრაფიული შეხედულებათა გაცოცხლებას.

გრიგოლ ფერაძის ნაშრომებიდან ყურადღებას იქცევს წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ნაშრომი წარმართობასთან მიმართებაში, რომელშიც ისტორიულ-რელიგიურ ჭრილში წარმოჩენილია მისი როლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში და სარმატულებაში. საკითხის განხილვის დროს იგი არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ერისტიანობის მიღების შემდეგ წმ. გიორგიმ ქართული წარმართული მთვარის ღვთაება წაანაცვლა (ფერაძე 2012: 167). აღნიშნულ საკითხს გრიგოლ ფერაძე განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ აქცევს, რომ ცნობილი მკვლევარის ივ. ჯავახიშვილის ეს შეხედულება აქსიომად იქნა მიღებული. ივ. ჯავახიშვილისუულ ამ შეხედულებას მკვლევართა ნაწილი დღესაც იზიარებს. გრიგოლ ფერაძე კრიტიკულად განიხილავს ყველა იმ გადმოცემებს, თქმულებებს და ლეგენდებს, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი თავისი შეხედულებების დროს ეყრდნობა და დაასკვნის: „საჭიროა დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ ხალხური თქმულებების ნიმუშებს“ (ფერაძე 2012: 173). გრიგოლ ფერაძე აღნიშნავს, რომ საქართველოში წმ. გიორგი სამსახიანია: გიორგი როგორც მხედარი, მფარველი და მფარველი მხედრობის, რომელსაც სამეფო კარზე და საზოგადოების განათლებული ნაწილი დიდ პატივს სცემდა.“ გრიგოლ ფერაძე მიუთითებს, რომ წმ. გიორგისადმი მიძღვნილი გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი, უნდა გაირკვეს რა არის ამ გადმოცემებში უცხოეთიდან შემოტანილი და რა არის ადგილობრივი, ქართული. მისი დასკვნით, მხოლოდ ამ სამუშაოს ჩატარების შემდეგ შესაძლებელია გაირკვეს ნამდვილად ჩატარებულად თუ არა წმ. გიორგი მთვარის კულტს (ფერაძე 2012: 173).

საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით საინტერესო და მეცნიერული ღირებულების თვალსაზრისით ფასეულია გრიგოლ ფერაძის მიერ 1937 წელს გამოცემული ნაშრომი, რომელიც წმ. მიწაზე ქართული ეკლესია-მონასტრებისა და იქ მოღვაწე ქართველი ბერების მოღვაწეობას ქვება. ასეთი ნაშრომის შექმნის იდეა, როგორც თვითონ აღნიშნავს, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ წმინდა მიწის შედარებით ახალი ბინადარნი (ბერძნები, ლათინები, სომხები) ქართული სიწმინდეების მისაკუთრების მიზნით „უძველეს მონასტრებში ანადგურებდნენ და აქრობდნენ ქართველთა ყოველგვარ ნაკვალევს, ერთადერთი რისი განადგურებაც ვერ შეძლეს, იყო პილიგრიმთა ჩანაწერები ქართული მონასტრებისა და ქართველი ბერების მოხსენიება“ (ფერაძე 2012: 306).

აღნიშნული საკითხის დასამუშავებლად გრიგოლ ფერაძე სხვადასხვა დროს იმყოფებოდა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების არქივებსა და წიგნთსაცავებში. მათი დიდი ნაწილი გამოუცემული იყო, ნაწილი კი კერძო კოლექციონერებთან ინახებოდა. მოძიებული მასალების დასაზუსტებლად იგი 1936 წელს წმ. მიწას ესტუმრა. გარდა ამისა, საკითხის შესწავლის დროს იგი ეყრდნობა ალ. ცაგარელის, რ. ბლეიკის, რ. უანენის და სხვათა შრომებს.

გამოქვეყნებული შრომა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია უცხოელ პილიგრიმთა ჩანაწერები იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ; მეორე ნაწილში კი გადმოცემულია განეული სამუშაოს კვლევითი შედეგები. გრიგოლ ფერაძე მოძიებული მასალების საფუძველზე თითქმის უწყვეტად წარმოგვიდგენს ქართველ სასულიერო პირთა მოღვაწეობას წმინდა მიწაზე უძველესი დროიდან (V ს-ის შუასანებიდან) XX ს-ის 30-იან წლებამდე. ამ წყაროებზე დაყრდნობით იგი ჩამოთვლის იმ მონასტრებს, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოს ეკუთნოდა. ნაშრომის კვლევით ნაწილში მოცემულია თითოეული ქართული მონასტრის ისტორია. პილიგრიმთა ჩანაწერებით ირკვევა, რომ იერუსალიმში ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ თითქმის ყველა ადგილზე ქართველებს ჰქონიათ მონასტრები. მოძიებული მასალებით დასტურდება, რომ საუკუნეების მიხედვით პილიგრიმთა ჩანაწერები რაოდენობრივი თვალსაზრისით სხვადასხვაა. V-X ს-ის ჩანაწერები მცირეა, ხოლო XI-XVIII ს-ში ჩანაწერთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

პილიგრიმთა ცნობებზე დაყრდნობით გრიგოლ ფერაძე აღნიშნავს, რომ V-X სს.-ის

შემდეგ ქართველებს პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონიათ წმინდა მიწაზე. ასეთი სტატუსი მათ შეინარჩუნეს ლათინთა გაძვების შემდეგაც ეგვიპტის მამლუქთა მმართველობაში 1517 წლამდე, რადგან კავკასიური წარმოშობის მამლუქები მათ დიდად მფარველობდნენ.

გრიგოლ ფერაძის სამართლიანი აღნიშვნით, XVI ს-ის მეორე ნახევრიდან ოსმალთა ბატონობის დროს წმ. მიწაზე შესუსტდა ქართველთა უფლებები, სამეფო-სამთავროებად დამლილი ქვეყანა მატერიალურად ვერ უზრულევლყოფდა მათ დახმარებას, რის გამოც ისინი ოსმალების დაწესებულ გადასახადებს ვერ იხდიდნენ. გარდა ამისა, გრიგოლ ფერაძის დასკვნით, აღმოსავლურ მუსულმანებისაგან თავის დაღწევის მიზნით ქართველები დახმარებას რუსეთისაგან ელოდნენ, რაც ოსმალების გალიზიანებას იწვევდა და ამ მიზეზითაც ისინი აძლიერებდნენ ქართველების შევიწროვებას. დახმარების გარეშე დარჩენილმა ქართველმა ბერებმა წმ. მიწაზე მცირედ შემორჩენილი თავიანთ საკუთრება დაკარგეს. მათი ეკლესია-მონასტრები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება ბერძნებისა და სხვა ეთნოსის ხელში გადავიდა.

უცხოელ პილიგრიმთა მასალის გარდა გრიგოლ ფერაძე 1936 წელს წმინდა მიწაზე ყოფნის დროს მოიძია ტაძრის კედლებზე, საფლავის ქვებზე, საეკლესიო ნივთებზე, შესამოსლებზე არსებული უცნობი ქართული ეპიგრაფიკული მასალები, ზოგიერთი მათგანი გასაშივრად პარიზში ე. თაყაიშვილს გაუგზავნა, ზოგი თვითონ დაამუშავა და გამოაქვეყნა. წმ. მიწაზე მოგზაურობის დროს იგი ეყრდნობოდა ტიმოთე გაბაშვილის (1754-1757 წწ.), ბერი ლავრენტის (1807 წ.), გიორგი ავალიშვილის (1820 წ.), ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის და სხვათა ცნობებს, რომლებმაც წმ. მიწაზე მოგზაურობის შესახებ საინტერესო ჩანანერები დაგვიტოვეს.

ნაშრომის კვლევით ნაწილში გრიგოლ ფერაძე პილიგრიმთა ნაშრომებზე დაყრდნობით განიხილავს ეთნომიმებს, ტოპონიმებს და სხვა და აღნიშნავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მათი ცნობები ზოგჯერ არ არის სანდო (ფერაძე 2012: 313). მისივე განმარტებით, პილიგრიმთა ჩანანერებში სარწმუნოებრივ საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილებულია წმ. მიწაზე მოღვაწე ცალკეული ეთნოსის ეროვნულ მახასიათებლებზე.

გრიგოლ ფერაძის აღნიშნული ნაშრომი საშუალებას გვაძლევს სრული სურათი აღვადგინოთ წმ. მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ. მის მიერ გამოქვეყნებული მასალა პირველწეროს მნიშვნელობისაა, რაც მის მეცნიერულ ლირებულებას კიდევ უფრო ზრდის. გარდა ამისა, როგორც გრიგოლ ფერაძე აღნიშნავს, წარმოდგენილი მასალა არასრულია. მათი დიდი ნაწილი მოსაძიებელია. გარდა ამისა, გრიგოლ ფერაძე მიუთითებს, რომ გამოქვეყნების დროს ზოგიერთი საეჭვო ადგილების გადამოწმების საშუალება არ ჰქონდა და ასეთი ტექსტები გამოქვეყნების დროს გამოიტოვა. მართალია გრიგოლ ფერაძის ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან საკმაო დროა გასული (82 წელი), მაგრამ დღემდე ასეთი სამუშაო ჩატარებული არ არის. მხოლოდ მკვლევარმა გ. ჯაფარიძემ 2018 წელს წმ. მიწაზე ქართული სავანების შესახებ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა, რომელიც ეყრდნობა არაბულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს (ჯაფარიძე 2018). აღნიშნულის მიუხედავად გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამიტომ კვლევა-ძიება ამ კუთხით უნდა გაგრძელდეს და შეძლებისდაგვარად გამოვლენილი უნდა იქნას უცნობი მასალები არა მარტო წმინდა მიწაზე, არამედ უცხოეთში არსებულ სხვა ქართულ სავანეებზე.

ზემოთნარმოდგენილი წყაროების გარდა, გრიგოლ ფერაძემ სხვადასხვა დროს უცხოეთის არქივებში მოიძია ქართული ხელნანერები. სოფიის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა პეტრინონის ქართული მონასტრის ტიპიკონის ასლის ქართული ხელნანერი დათარიღებული 1702 წლით (პატუაშვილი 2006: 74); ოქსფორდის უორდრობის ფონდში ნახა XVIII სის ქართული ქრონიკა. მანვე ათონის მთიდან ჩამოიტანა რამდენიმე ათეული ქართული ხელნანერი. მასვე მიენერება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების აღმოჩენა და სხვა (ჯაფარიძე 1995: 15).

ასეთია ჩვენი ზოგადი შეხედულება გრიგოლ ფერაძის, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარის შესახებ. დასკვნის სახით დავძენთ, რომ გრიგოლ ფერაძის ნაშრომებს ნათლად ატყვია, რომ მისი ავტორი თეოლოგიაში ღრმად განსხვავული პიროვნებაა. ეკლესიის ნიაღმი მყოფი გრიგოლ ფერაძე ბერძნის ისტორიას დავთისმეტყველების კუთხით წარმოაჩინს. ასეთივე დამოკიდებულება ჩანს მის სხვა ნაშრომებშიც, რაც იმის დასტურია, რომ ეკლესიის ისტორია, ეს იქნება საქართველოს ეკლესიის ისტორია

თუ რომელიმე სხვა ქვეყნის ეკლესიის ისტორია, როგორც მეცნიერება საღვთისმეტყველო დარგს განეკუთნება. ამ დარგში მოღვაწე მკვლევარი ღრმად უნდა ფლობდეს ღვთისმეტყველებას, სხვა შემთხვევაში მისი დასკვნები და ნაშრომი არასრულფასოვანი იქნება. აღნიშვნულიდან გამომდინარე საეკლესიო საკითხებისადმი მიძღვნილ მის ნაშრომებს ნათლად ატყვია პროფესიონალის ხელი.

აღსანიშნავია კვლევის დროს გამოყენებული უხვი მრავალენოვანი ისტორიოგრაფიული ნაშრომები და წერილობითი წყაროები, რომელთა კრიტიკული ანალიზის შედეგად ავტორი ახდენს სათანადო დასკვნების გაეთებას. მართალია, გრიგოლ ფერაძის ნააზრევი საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ ქართული ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს ნარმოადგენს, მაგრამ მისი შეხედულებათა უმრავლესობას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

### დამოწმებანი:

**ბუბულაშვილი 2007:** ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სინმინდეები, თბილისი.

**კეკელიძე 1925:** კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, თბილისი.

**მათითაშვილი 2017:** შ. მათითაშვილი, ქართული ბერმონაზვნობის ისტორია, ტ. 1, IV-V საუკუნეები, თბილისი.

**პაპუაშვილი 2006:** ნ. პაპუაშვილი, გრიგოლ ფერაძე სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ქადაგებები, შენიშვნები, დანართი, თბილისი.

**ფერაძე 2012:** ნმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიმ, ვარშავა.

**ხოშტარია 2000:** დ. ხოშტარია, უძველესი მონასტრები საქართველოში, საერთაშორისო სიმპოზიუმი ქრისტიანობა: წარსული, აწყო, მომავალი, 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი.

**ჩხარტიშვილი 2003:** მ. ჩხარტიშვილი, საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორია XXI საუკუნის გადასახედიდან, არტანუჯი, № 11.

**ჯავახიშვილი 1979:** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1984:** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი.

**ჯაფარიძე 1995:** გ. ჯაფარიძე, გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერების და ქართული მონასტრების შესახებ, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ, თბილისი.

**ჯაფარიძე 2018:** გ. ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი ნმინდა მინაზ XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ხარაგიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით), თბილისი.

**ჭუმბურიძე 2006:** თ. ჭუმბურიძე, გრიგოლ ფერაძე ქართული ბერმონაზვნობის შესახებ, ნმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე, ბერმონაზვნობის დასაწყისში საქართველოში, თ. ჭუმბურიძის გამოკვლევით და რედაქციით, თბილისი.

**Епископ Кирион (Садзаглишвили) 1900:** Заслуги грузинского монашества и монастырей для отечественной Церкви и общества. Тифлис.

**შავიზღვისაირათში ქართული პოლიტიკური ერთაულის  
საზღვრებისა და ისტორიული გაობრაფის რამდენიმე საკითხი**

პაკუნა გაგისონია

VIII საუკუნის მეორე ნახევარში ლეონ II-ის მიერ დაფუძნებული „აფხაზთა სამეფო“, რომელსაც ისტორიოგრაფიაში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სახელით უფრო ვიცნობთ, ტერიტორიულად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. დასავლეთით ბუნებრივი საზღვარი შევა იყო. ამ სამეფოს უკიდურეს ჩრდილოეთ მიჯნად ძეველი ქალაქი ნიკოფისია მიჩნეული (ყაუხეჩიშვილი ს. 1952: 223; ლორთქიფანიძე 1963: 186; მუსხელიშვილი 1980: 141). ნიკოფისიას მდინარე ნეჩეფსოხო//ხეგოფსუხოს შესართავთან ახლოს, დღევანდელ დასახლება ნოვო მიხაილოვკასთან მოიაზრებენ (აზუანავა 1959: 110). ამ პუნქტს II საუკუნეში ფლავიუს არიანე „ძველი ლაზიკის“ სახელით მოიხსენიებს (ფლავიუს არიანე 1961: 53), ხოლო V საუკუნის ანონიმი გეოგრაფი პირდაპირ წერს: „ძველი ლაზიკა ამჟამად ნიკოფისად წოდებული, რომლის მახლობლად არის ამჟამად ეგრეთნოდებული ფასხაფისი“ (ყაუხეჩიშვილი ს. 1965: 11). ეს ისტორიული ჯიქეთია, ჯიქთა ადილეური მოდგმის ტომებით დასახლებული ტერიტორია, სადაც ძეველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნიდან არსებობდა ლაზების მიერ დაარსებული სანაპირო დასახლება, რომელსაც ანტიკური ხანის ავტორები აქ მოსახლე ჭანების (ლაზების) მიხედვით ლაზიკას//ძველ ლაზიკას ეძახდნენ. ლეონ II-მ თავისი ძალაუფლება შევიზღვისპირეთის ამ ნაწილზე განავრცო და ის კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს აბაზგიად ანუ აფხაზეთად ინწყდებოდა.

ქართული საისტორიო წყარო – ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში დაცული ცნობის მიხედვით, აფხაზთა ერისთავი ლეონ I არჩილს მიმართავს: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე ძვივიდრობით კეთილად სიმენით თქუენითა ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით საძვივიდრებელი ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების ნუერი კავკასიისა ამის“ (ყაუხეჩიშვილი ს. 1955: 242).

ხაზართა დიდ მდინარეში ყუბანი იგულისხმება, რომელიც XIX საუკუნეში შავ ზღვაში (ყიზილტაშის ყურე) ჩაედინებოდა. დაახლოებით აქამდე წვდება ე.წ. „ნუერი კავკასიისა“. მაგრამ ჩრდილოეთი აფხაზთა საერისთავოს ტერიტორიის ასე გავრცობა ნაკლებად სავარაუდოა (თვალსაჩინოებისათვის, ყიზილტაშის ყურე//ლიმანი დლ. ქ. ნოვოროსიის ჩრდილოეთი მდებარეობს). პ. ინგოროვებას მიაჩნდა, რომ უნდა ყოფილიყო „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ და სქოლიოშვივე მოგვცა მისეული ვარიანტი ამ მდინარის მდინარე შეაფსუხოსთან გაიგივების შესახებ (ინგოროვა 1954: 121).

შევიზღვისპირეთის გაყოლებაზე „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრების შესახებ ჩვენი აზრით ყველაზე უტყუარი ცნობა X საუკუნის ბიზანტიელ იმპერატორს და ისტორიკოს კონსტანტინე პორფიროგენეტს მოეპოვება. ის წერს: „ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი მდინარე ნიკოფისადან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე უჭირავს აბაზგის ქვეყანას“ (ყაუხეჩიშვილი ს. 1952: 223). მდინარე ნიკოფისიაში როგორც ზემოთ აღვინიშნეთ მდინარე ნეჩეფსუხო (ადილეურად ნიჯიფიში) იგულისხმება, სადაც მდებარეობდა ისტორიული ქალაქი ნიკოფისი//ნიკოფისი. ეს იყო „აფხაზთა სამეფოს“ უკიდურესი ჩრდილოეთი მიჯნა X საუკუნისთვის და სავსებით შესაძლებელია VIII-IX საუკუნეებისათვისაც. რაც შეეხება უკიდურეს სამხრეთ სასაზღვრო პუნქტ - სოტერიუპოლისს, ეს დასახლება პ. ინგოროვებაშ ქ. ოფთან (თანამედროვე თურქეთი) გააიგივა (ინგოროვა 1954: 255. 257). უნდა აღინიშნოს, მან სამართლიანად მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ისეთი მეცნიერები, როგორიც იყვნენ კულაკოვსკი, ბოლოტოვი, ლატიშევი, ცდებოდნენ, როდესაც სოტერიუპოლისს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიაზრებდნენ. ამ დასახლების სახელწოდება ბერძნულია და „სოტერ“ მსხენლს, მაცხვარს ნიშნავს. ნიკოფისიდან მოყოლებული რომაულ-ბიზანტიური 300 მილი, ანუ დღევანდელი საზომით დაახლოებით 500 კილომეტრი ემთხვევა ისტორიული ჭანეთის ქალაქ ხოფას (დლ. თურქეთი) მახლობლად, მისი სამხრეთით 15 კმ-ს დამორებით მდებარე დასახლებას, რომლის დღევანდელი სახელია „kiyicik“. ეს დასახლება

ართვინისა და რიზეს ოლქების დღევანდელ ადმინისტრაციულ საზღვარზე, სანაპიროს-თან მდებარეობს. „kiyicik”- ჭანურ//ლაზური ისტორიული სახელწოდებაა მაცხორა//მოცხორე. ეს სახელი XIX საუკუნისთვის ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა ამ სოფელს. ჭანური მაცხორა იგივე მაცხოვარია, მეგრულად მანცხვარი. სწორედ ეს უნდა იყოს ისტორიული სოტერიულობისი, რომლის სახელი ბიზანტიილებმა თავისებურად, ბერძნულად გააუდერეს. ამ დასახლებამდე გრძელდებოდა „აფხაზთა სამეფოს” სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი. აქ, ხოფას სიახლოეს, რომ გადიოდა სახელმწიფო საზღვარი, ეს დასტურდება იმითაც, რომ XI საუკუნისთვის საქართველოს სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის საზღვარი ზუსტად ხოფას, იგივე ხუფათის მიდამოებში გადიოდა. საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072 ნ.წ.) როცა კონსტანტინოპოლიდან ბრუნდებოდა მას „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვისპირსა, ხუფათს” (ყაუჩხიშვილი ს. 1955: 287).

ხოფა//ხუფათი ჯერ კიდევ V საუკუნეში გახდა ბიზანტიის იმპერიასა და ეგრისის (ლაზიების) სამეფოს შორის სასაზღვრო მიჯნა. ეგრისის მეფე გუბაზ I-ს ბიზანტიისათან დაეძაბა ურთიერთობა, რის შემდეგაც იძულებული გახდა კონსტანტინოპოლში ჩასულყო, სადაც მის მიმართ პრეტენზიები გამოითქვა. როგორც ჩანს, გუბაზს მარტო საყვედური არ აქმარეს და ერთი ძველი ქართული ხელნაწერის (ხელნაწერი A -397) ცნობის თანახმად, მას სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთის ნანილის დათმობა მოუნია იმპერიის სასარგებლოდ: „მოვიდა ღობაზიანოს (გუბაზ I- პ.გ.) მეფე აფხაზთა (უნდა იყოს ლაზთა-პ.გ.) ხილვად ლეონ მეფისა (ლეო I დიდი (457-474 ნ.წ.), ბიზანტიის იმპერატორი) ბერძენთაისა, ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაიმე ქუეყანათა დანენარებისათვის, ზღვართა განყოფისა, სადამდის არის საპერძეოთისა (ბიზანტიისა-პ.გ.) ანუ მეგრელთა აფხაზეთის (ლაზიების-პ.გ.) სამეფოისა. . . და დასდევეს საზღვრად ციხე ხუფათი” (Kekeliidze 1913: 188-190). ასე, რომ V საუკუნიდან XIII საუკუნემდე ჯერ ბიზანტიის, შემდეგ ტრაპიზონის იმპერიასა და საქართველოს შორის სასაზღვრო მიჯნა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთში ხოფა//ხუფათის ზონაში გადიოდა, იქ სადაც დღეს დასახლება „,kiyicik”//, იგივე ძველი მაცხორა მდებარეობს. ამას ერთი ცნობაც ადასტურებს. კერძოდ, 1223 წელს იკონის სულთნის ნინააღმდეგ საბრძოლველად ტრაპიზონის იმპერატორმა დაიწყო ჯარის მოგროვება „დაწყებული სოტიროპოლიდან და ლაზიებიდან, ვიდრე ოინებდე”(დღ. უნიე, ტრაპიზონის დასავლეთით, თურქეთი) (Успенский 1929: 51-58). XIII საუკუნეში სამცხის სამთავრომ შეიერთა ჭანეთი ზღვისპირა ზოლით და უკვე ტრაპიზონის იმპერიასთან სასაზღვრო მიჯნა ოფსა და რიზეს შორის გადიოდა (ატლასი 2016: 33).

რაც შეხება მოსაზრებას, რომ ტრაპიზონის მხარე ჯერ ეგრისის სახელწიფოს, შემდეგ კი აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ნაკლებად დამაჯერებელია. მართალია, იოანე საპანისძე დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში ახსენებს ტრაპიზონს, მაგრამ აქ საუბარია ქრისტიანულ მოსახლეობაზე, რომლებიც ჩვენი აზრით მეგრელები და ჭანები//ლაზები არიან, რომელთაგან პირველები „აფხაზთა” ახლადშექმნილ პოლიტიკურ ერთეულში ცხოვრობენ, ხოლო მეორენი ბიზანტიის იმპერიაში. ამიტომ არის ტრაპიზონი „იონთა მეფის” (ბიზანტიის იმპერატორის) საპრძანებელი. ანდრია მოციქულის მიმოსვლათა ქართულ ვერსიაში, რომელიც ეფთვიმე მთანმინდელს ეკუთვნის, ტრაპიზონს „სოფელი მეგრელთა” ეწოდება (საბინინი 1882: 30). ასევე, ვიორგი მთანმინდელი აკათისიტოს ქართულ ვერსიაში ნერს, რომ ჰერაკლე კეისარმა „მიინია ტრაპეზიუნთა და სანახებთა მათ სამეგრელოსათა” (ჟორდანია 1892: 64). ბერძენი ავტორები: ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, თეოფანე აღმსარებელი, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი ტრაპიზონს ლაზიების და ლაზთა ქალაქად მოიხსენიებენ (ინგოროვა 1954: 214-215). ტრაპიზონში და მის სანახებში ჭანები//ლაზები ცხოვრობდნენ და არა მეგრელები. ამ შხრივ ბერძენი ავტორები რეალობას სწორად გვაწვდიან ქართველი ავტორებისგან განსხვავებით. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ძველი ქართველი ავტორები ჭან-ლაზებს და მეგრელებს თვისებრივად ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ და ერთ დასავლურ ქართულ ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევდნენ. ამის გამომწვევი მიზეზი ჭანური და მეგრული მეტყველების მსგავსება იყო. რადგან სამეგრელო და

მეგრელები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ეფთვიმებ და გიორგი მთაწმინდელმა ტრაპიზონი მეგრელებით დასახლებულ სამეგრელოს ქალა-ქად წარმოაჩინეს.

VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში” კოლხეთის აღნერისას ნათქვამია, რომ „ეგე-რი არს ქვეყანა აზიას და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიდან, ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე, რომელიც ჰყოფს მას ივერიი-დან. . . იგი განიყოფა ოთხ მცირე ქვეყანად: მანჩილი, ეგერვიკი, რომელ არს საკუთრივ ევრი, ფასისის მდინარის მოსაზღვრედ, ამავე სახელწოდების ქალაქითურთ, ლაზივი, ჭანივი, რომელ არს ხალტეთი. აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა, როდოპილისი, ათინა, რი-ზონი და სხვა მრავალი ნავსადგური, რომელთა შორის არს ტრაპეზუნტი” (Патканов 1877: 38-39). ეს საისტორიო წყარო ეგერში (ეგრისში) ზოგადად მეგრელ-ჭანებით დასახ-ლებულ ქვეყანას//ტერიტორიას გულისხმობს და არა პოლიტიკურ ერთეულს. ამიტომ არის ტრაპეზუნტი, რიზე და ათინა ეგრისის ქვეყანაში მოქცეული, რომელიც სინამდვი-ლეში ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში შედიოდა.

უფრო საინტერესოა „სომხური გეოგრაფიის“ კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს ეხება, კერძოდ აფხაზეთს: „კავკასიიდან სათავეს იღებს ორი მდინარე: ვალდანისი (ვარდანესი, ყუბანი), მიედინება კრასესისი (სოგდი) მთებამდე, რომელიც იწყება კავკასიასთან და გადაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთით მეოტიდასა და პონტოს შორის. შეორე მდინარე ფსევხოსი, გამოყოფს ბოსფორს იმ ადგილებიდან, სადაც მდებარეობს პატარა ქალაქი ნიკოფიი. . . ბოლგარება და პონტოს ზღვას შორის ცხოვრობენ ხალხები: გარში, კუტი და სვანები ქალაქ პიტიუნთამდე, ზღვისპირას მდებარე ავაზგების ქვეყნამდე, სადაც ცხოვრობენ აფშილები და აბხაზები სანაპიროზე მდებარე ქალაქ სევასტოპოლისამდე, და იქით მდინარე დრაკონამდე, მომდინარე აგვანიდან, რომელიც აფხაზეთს ეგერთა ქვეყნიდან გამოყოფს“ (Патканов 1883: 29).

„უსახელო „სომხურ გეოგრაფიას“ VII საუკუნის ტექსტად მიიჩნევენ, მაგრამ მასში მოგვიანობა ხანის ამბებიც არის შესული. აյ მოტანილი ნაწყვეტი აშკარად VII-VIII საუკუნეთა მიჯნას ან VIII საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ „სომხური გეოგრაფიის“ ეს ცნობა ემთხვევა „ქართლის ცხოვრებაში“, ჯუანშერის თხზულებაში მოთხოვილ ამბავს, რომელიც დასავლეთ საქართველოში არაბთა ლაშქრობას ეძღვნება მირის და არჩილის მოღვაწეობის ხანაში. ჯუანშერის მიხედვით: „ვითარდა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას უამს იყო საზღვარი საბერძნებოსა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფისასა“ (ყაუხჩიშვილი ს. 1955; 235-236). საბერძნებო აქ აფხაზეთის საერისთავო იგულისხმება, რომელიც ვასალური ურთიერთობით იყო ბიზანტიის იმპერიისთან დაკავშირებული. აფხაზეთის ერისთავის რეზიდენცია ანაკოფის (დღ. ახალი ათონი) ციხე-ქალაქი იყო. ამავე საერისთავოს შემადგენლობაში მოიაზრება აფშილთა ქალაქი სევასტოპოლი (დიოსკური, ცხუმი). ამასვე ადასტურებს „სომხური გეოგრაფიაც“. სასაზღვრო მიჯნად ქართულ საისტორიო წყაროში „კლისური ბერძნული სიტყვაა და სიმაგრეს, გამაგრებულ ადგილს ნიშნავს) მიჩნეული და ის ისტორიოგრაფიაში მდინარე კელასურთან არის გაიგივებული. ხოლო „სომხური გეოგრაფია“ დრაკონის მდინარეს აფხაზეთსა და ეგრისს შორის მიჯნად. საფიქრებელია, რომ მდინარე კელასურს გულისხმობდა სომეხი ავტორი. გ. ანჩაბაძემ „დრაკონის მდინარე“ ენცურთან გააიგივა (ანჩაბაძე 2009: 223-229), რაც ჩვენი აზრით მართებული არ უნდა იყოს. „დრაკონის მდინარეს“ მდინარე კელასური უფრო შეფერება, რომელიც შუანელზე მოულოდნელად კალაპოტიდან იყარება (კარსტულ მდინარე ხდება), და მხოლოდ გარკვეული მანძილის შემდეგ ჩნდება მინის ზედაპირზე. ამ მდინარის ასეთი თვისება შეიძლებოდა გამხდარიყ მისთვის დრაკონის მდინარედ მიჩნევის საფუძველი. საზოგადოდ, სახელწილება „დრაკონის მდინარე“ მხოლოდ ამ სომხურ საისტორიო თხზულებაში გვხდება. რაც შეეხება ენცურს, ამ მდინარის ტოპონიმი მხოლოდ მეგრულის მეშვეობით თუ აისხნება. მეგრულად მას ინგირი ჰქვია. მისი თავდაპირველი ფორმა „ყინგური“ უნდა ყოფილიყო, რაც „ცივგულიან“ წყალს ნიშნავს (მეგრულ მეტყველებაში დღიუმდე შემორჩია გამოთქმა

„შქაგურნებარი” რაც სიღრმიდან (ე.წ. შუაგულიდან) ამოღებული წყალია, რომელიც და-სალევად ცივია). ამ მდინარის ფიზიკური შახასიათებელი იძლევა საშუალებას, რომ ეს მოსაზრება გამოვთქვათ. ენგურის წყალი თითქოს ნამქერით არის გაჯერებული. სხვა-თაშორის რუსულ ენაში ამ მდინარის სახელწოდება ინგური პირდაპირ მეგრულიდან შე-ვიდა.

ამ ორი საისტორი წყაროს ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ აფხაზთა ერისთავს სევასტოპოლისი (დიოსეურია, ცხემი) და მცირე ტერიტორია, დაახლოებით მდინარე გუმისთიდან კელასურამდე მიუერთებია, რაც VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მომ-ხდარიყო, რადგან VII საუკუნის II ნახევარში ე.წ. აფშილეთი ქალაქ ცხუმითურთ ეგრი-სის//ლაზიკის მმართველის დაქვემდებარებაში შედიოდა (გაბისონია 2016: 75-86).

რაც შეეხება აფხაზთა საერისთავოს ჩრდილოეთ საზღვარს, „სომხური გეოგრაფია” პირდაპირ მდინარე ფსევხოსს მიუთითებს, სადაც ნიკოფისია მდებარეობდა. ლეონტი მროველთან ეგროსის ნილხვედრი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ მიჯნად „მდინარე მცი-რისა ხაზარეთისა, სადაც ნარსნუთების წუერ კავკასიისა” (ყაუხებიშვილი ს. 1955: 26). ამ ცნობაზე დაყრდნობით, პ. ინგოროვგამ აფხაზთა საერისთავოს უკიდურეს ჩრდილო-და-სავლეთ მიჯნად მდინარე შაფსული მიიჩნია, რაც ვფიქრობთ სწორი არ უნდა იყოს. მდი-ნარე ფსევხოსი (V ს-ის ანონიმთან მდ. ფსახაფსი), სადაც ნიკოფისია მდებარეობდა მდი-ნარე ნეგოფსუხო//ნეჩეფსუხო. ეს ადგილი ითვლებოდა სასაზღვრო მიჯნად ბოსფო-რის ქვეყანასა და აფხაზეთს შორის.

ჩვენი დაინტერესება გამოიწვია არიანესთან და ანონიმთან დასახელებულმა ტოპო-ნიმებმა, რომელიც პიტიუნტი//ბიჭვინთის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობდა. პირვე-ლი ასეთი პუნქტია ნიტიკი (Nitik) (კეჭალმაძე 1961: 52-53), რომელსაც ანონიმი ავტორი სტენიტიკს (Stennitik) და ტრიგლიტეს (Triglite) უწოდებს (კეჭალმაძე 1961: 92). რო-გორც ცნობილია, ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორები ძირითადად მშობლიურ ენაზე გადმოცემდნენ უცხო ტერიტორიების სახელწოდებებს. ი. დვორცეცკის ძველბერ-ძნულ-რუსულ ლექსიკონის თანახმად, სიტყვა ს्टევ“ მინის ვიწრო ზღვის, ვიწრო გასას-ვლელს აღნიშნავს (Дворецкий 1958: 1502). არიანეს და ანონიმის მანძილებს თუ მიახლო-ებით შევუფარდებთ, ეს ადგილი დღევანდელი ძველი გაგრის ტერიტორიას ემთხვევა. თუმცა უფრო საინტერესოა ანონიმთან დასახელებული მეორე სახელწოდება „ტრიგ-ლიტე“. „ტრიგლა“ თევზის სახეობაა, რომელსაც ზღვის მერცხალს ეძახიან (Дворецкий 1958: 1644). ეს თევზი იგივე ზღვის მამალია, რომელიც შავ ზღვაზეც გვცვდება, ძირითა-დად სანაპიროსთან ახლოს და ძვირფასი სარენაო მნიშვნელობა გააჩნდა. დღეისთვის მისი პოპულაცია შემცირებულია. ეს არ არის გამოხაკლისი შემთხვევა.

საინტერესოა სტრაბონთან მოხსენიებული ლაზებით დასახლებულ სოფელ კორდუ-ლას ეტიმოლოგია, რომელიც ათინასთან ახლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპი-რეთში მდებარეობდა. სტრაბონის მიხედვით სოფელს და მის მცირე ნავსადგურს სახე-ლი თევზის სახელწოდების მიხედვით შეერქვა (ყაუხებიშვილი თ. 1957: 205). ეს დასახლე-ბა მოხსენიებული აქვს პლინიუს უფროსს „ნავსადგურ კორდულას“ სახელით (Латышев 1904: 178). კორდილას ვხდებით კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვა-ნელოშიც“ (ლომოური 1955: 42). V საუკუნის ანონიმის ავტორის ნაშრომებში (ყაუხებიშ-ვილი ს. 1966: 17). კორდილა ერთ ქართულ ხელნანერშიც არის ნახსენები (ყაუხებიშვილი ს. 1952: 414-415). ეს ძველი ნავსადგური რიზესა და ათინას შორის მდებარეობდა და ათინადან დაახლოებით 6-7 კილომეტრით იყო დამორებული (ლომოური 1955: 51). ძვე-ლი კორდილას მდებარეობა დღევანდელ თურქეთში სივრი კალეს დასახლებას ემთხვევა (Bryer - Winfield 1985: 334), რომელსაც უფრო ადრე კალეჯუკი ერქვა (სიხარულიდე 1979: 20). სტრაბონის ცნობა სარწმუნო უნდა იყოს, რადგან კორდილა თევზის ჯიშ სტავრი-დის ერთერთი სახეობა აღმოჩნდა (Шатуновский 1988: 257), რომელსაც შავ ზღვაზე დღემდე სარენაო მნიშვნელობა გააჩნია. კორდულა//კორდილასთან ასოციაციის ინვენი მომცრო სპილენძის ქვაბი, რომელსაც გურია-სამეგრელოში კარდილას ეძახიან. სამეგ-რელოში მას მეორენაირად ჭანური ჰქვია. შესაძლებელია, ჭანურ//ლაზური სოფლის სა-ხელი დასავლეთ საქართველოში აგრერიგად საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთმა საუკუ-ნეთა განმავლობაში შემოგვინახა. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია და სტენიტიკე ანუ მი-

ნის ვიწრო ზოლი, იგივე ვიწრო გასასვლელი გაგრის მიდამოებს ემთხვევა, მაშინ თვითონ სახელწოდება გაგრის ნარმომავლობას შესაძლებელია სხვა კუთხითაც შევხედოთ. ზოგიერთი ისტორიკონი გაგრას ეტიმოლოგიას სვანურ სიტყვა „გარას“ უკავშირებს, რაც ნიგვზნარს ნიშნავს (მიბჩუანი: 1989). ამგვარ მტკიცებულებას მყარი დასაბუთება არ გააჩნია. ამ მოსაზრებას საფუძველი დაუდო პტოლემაიოსთან მოხსენიებულმა სისახლის ტომმა, რომელიც მიიჩნიეს არარსებულ სვანო-კოლხურ ტომად. განმარტებაში ნ. ლომოური პირდაპირ წერს, რომ სხვა საისტორიო წყაროებისათვის ამ სახელის ტომი უცნობია და ავტორი ჭანურ-მეგრულ შტოს უნდა ეკუთვნოდეს ო (ლომოური 1955: 44, 55). ჩვენი აზრით, პტოლემაიოსთან დაცული ამ ტომის სახელი უნდა ნავიკითხოთ როგორც „სვანო-კოლხები, რაც იგივე ჭან-კოლხებია. შედარებისთვის, პლინიუსს დასახელებული აქვს „სან-ჰენიონები“ (ჭან-ჰენიონები). უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, სახელწოდება გაგრა მეგრულ-ჭანური სიტყვა „გაგაჩისთვის“ დაგვეკავშირებინა, რაც მთაზე გადასასვლელს ნიშნავს (ქობალია 2010: 72). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ხობის მონასტერში დაცული ნარწერა, რომელიც მოგვითხრობს სამეგრელოს ერისთავთერისთავ ვამეყ დადიანის ლაშქრობას ჯიქების ნინააღმდეგ, სადაც მან „... უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და ულაღნი“ (თაყაიშვილი 1913-1914: 132-133). თ. ბერაძის გამოკვლევით, „გაგარი“ და „ულაღი“ ამ ნარწერაში არა კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტების, არამედ ზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი. „ულაღი“ ძველ ქართულში „მნელად სავალს“ ნიშნავს, ხოლო „გაგარი“ - გასასვლელს და გაგებულ უნდა იყოს, როგორც ადვილად სავალი, მისადგომი (ბერაძე 1973: 122-123). შეიძლება ამიტომაც არის ისმალურ საისტორიო დოკუმენტში გაგრა მოხსენიებული „კალარ დერბენტით“ ანუ გაგრის გასასვლელით.

ფლავიუს არიანგ და ანონიმი ავტორი გაგრის ჩრდილო-დასავლეთით ასახელებენ მდინარე აბასკოს (Aβασκο) (კეჭალმაძე 1961: 52-53, 92), რაც შეიძლება გავიაზროთ როგორც აბაზგების მდინარე. ისტორიოგრაფიაში აბაზგების ეთნიკური კუთვნილების საკითხი დღემდე საკამათო თემაა და ამ საკითხს აქ არ შევეხებით. მაგრამ საინტერესოა ერთი მომენტი: თუ ჩავთვლით, რომ არიანესთან ნახსენები მდინარე ბორგისი და ანონიმი ავტორის ბრუქენტი, იგივე მიზიგი მდინარე მზიმთაა, მამინ აბასკო მდინარე ფსოუს შეესაბამება. ფსოუს აფხაზური სახელწოდება ჯერ კიდევ 1930-იან წლებში იყო ფსპუ, როგორც ეს საქართველოს საზოგადო რუკაზე (1931-32 წნ.) დატანილი. ხოლო ფსოუ ამ მდინარის აფხაზური სახელის რუსიფიცირებული ვარიანტია, რომელიც დღემდე გამოიყენება. ასეთივე შემთხვევა გვაქვს მაღალმთანი აფხაზური თემის, ფსუს შემთხვევაშიც, რომელიც ასევე ფსპუა.

### დამოწმებანი:

**ანჩაბაძე 2009:** გ. ანჩაბაძე, მდინარეების „ეგრისწყლისა“ და „დრაკონის“ იდენტიფიკაციისათვის, ქართველები და აფხაზები, ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი.

**ატლასი 2016:** საქართველოს ისტორიის ატლასი, დ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბილისი.

**ბერაძე 1973:** თამაზ ბერაძე, „გაგარი“ და „ულაღის“ განმარტებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, N1.

**გაბისონია 2016:** პ. გაბისონია, VII ს-ის დასავლეთ საქართველოს (თანამედროვე აფხაზეთის) ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი თეოდოსი განგრელის ცნობების საფუძველზე, კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, თბილისი.

**თაყაიშვილი 1913-1914:** ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, ტფილისი.

**ინგოროვა 1954:** პ. ინგოროვა, გიორგი მერჩიულე, თბილისი.

**კეჭალმაძე 1961:** ფლავიუს არიანგ, მოვზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭალმაძისა, თბილისი.

- ლომოური 1955:** ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32.
- ლორთქიფანიძე 1963:** მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბილისი.
- მიბჩუანი 1989:** თ. მიბჩუანი, ვინ იყვნენ სუანო-კოლხები? სახალხო განათლება 6, XII.
- მუსხელიშვილი 1980:** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი.
- უორდანია 1892:** თ. უორდანია, ქრონიკები, I, ტფილისი.
- საბინინი 1882:** საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა, პეტერბურგი.
- სიხარულიძე 1979:** ი. სიხარულიძე, ჭანეთი, II, ბათუმი.
- ქობალია 2010:** ა. ქობალია, მეგრული ლუქსიკონი, თბილისი.
- ყაუხეჩიშვილი თ. 1957:** თ. ყაუხეჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი.
- ყაუხეჩიშვილი ს. 1952:** გეორგია, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვ. II, თბილისი.
- ყაუხეჩიშვილი ს. 1955:** ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, თბილისი.
- ყაუხეჩიშვილი ს. 1965:** გეორგია, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 2, თბილისი.
- Bryer-Winfield 1985:** A. Bryer and D. Winfield, *The Byzantine Monuments and Topography of the Pontos*, vol.1, Washington.
- Анчабадзе 1959:** З. Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.)*, Сухуми.
- Дворецкий 1958:** Древнегреческо-Русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т: I-II, Москва.
- Кекелидзе 1913:** К. Кекелидзе, Историко-агиографические отрывки, *Христианский Восток*, т. II, вып. 2, Санкт-Петербург.
- Латышев 1904:** В. Латышев, *Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе*, т. II, вып. 1, Санкт-Петербург.
- Патканов 1877:** Армянская география VII века, изд. К. Патканов, Санкт-Петербург.
- Патканов 1883:** К. Патканов, Из нового списка географии, приписываемой Моисею Хоренскому, *Журнал Министерства народного просвещения*, ч. 226, Санкт-Петербург.
- Успенский 1929:** Ф. Успенский, *Очерки из истории Трапезунтской империи*, Ленинград.
- Шатуновский 1988:** М. Шатуновский, Т. Расс, Ю. Решетников, А. Котляр, *Пятиязычный словарь названий животных: рыбы*, Москва.

# 1578-1590 წლების ოსმალეთ-სპარსეთის ომი და რუსულ-კავკასიური ურთიერთობები

გვ. 1 ტყავაშვილი

1578 წელს დაიწყო სპარსეთ-ოსმალეთის ომი (1578-1590), რომელიც ამ უკანასკნელის უპირატესობით წარიმართა. საომარ პატრიარქი მემორანული ყირიმის სახანო (ფეხევი 1964: 53, 57). ყირიმელი მემორანული მიმდინარები ამიერკავკასიაში დარუბანდიდან შემოდიოდნენ, ამიტომ ჩრდილო კავკასიაზე გამავალ გზას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს რუსეთის სამხრეთის ტერიტორიებს უქმნიდა საფრთხეს. მოსკოვში ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ოსმალები ყირიმელებთან ერთად ვოლგისპირეთში ლაშქრობასაც აპირებდნენ (Смирнов 1958: 34), თუმცა ივანე IV ომში ჩაბმისგან თავს იკავებდა.

ამ პერიოდში ოსმალეთთან ომი რუსეთის გეგმებში არ შედიოდა და წინა პლანზე პორტას მოკავშირე იმ სამფლობელოების დაპყრობა-დასუსტება იდგა, რომლებიც რუსეთის მოსაზღვრედ მდებარეობდნენ და მის უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას და ეკონომიკურ სტაბილურობას უქმნიდნენ საფრთხეს.

სპარსეთთან წინ ომი (1532-1555) მოსკოვმა ძვირად დაუსვა ოსმალეთს: 1551 წელს ყაზანის, 1556 წელს კი ასტრახანის სახანოები დაიპყრო და წარმატებით დაასრულა რელიგიურად და პოლიტიკურად ოსმალეთ-ყირიმთან მჭიდროდ დაკავშირებული, ციმბირსა და დანარჩენ რუსეთს შორის ბარიერად აღმართული, ამ ორი სახიფათო მეზობლის შეერთების პროცესი, რითაც ოსმალეთს აღმოსავლეთი საყრდენი გამოაცალა. ამავე პერიოდში რუსეთმა დაიწყო აქტიური პოლიტიკის გატარება ცენტრალურ კავკასიაში და 1557 წელს ყაბარდოს დიდი მთავარი, შამხლისგან დაცვის პირობით, მფარველობაში მიიღო (ბოცვაძე 1968: 35-38). რუსეთმა მდინარე თერგის აუზში ციხესიმაგრის მშენებლობაც სცადა, თუმცა ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრების მისი ყოველი მცდელობა, ოსმალეთ-ყირიმხანის წინააღმდეგობის გამო, უშედეგოდ მთავრდებოდა (Белокурев 1889: XXXV-XXXVI; 9-10).

1578 წლამდე, ოსმალეთ-სპარსეთის ომამდე, სპარსეთი კასპიის ზღვაზე რუსეთთან კავშირში, ნაწილობრივ ანეიტრალებდა ოსმალეთის უპირატესობას რეგიონში.

XVI საუკუნის 80-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში რუსეთს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა: ავარიის, ოქოქის, ყაბარდოს და ა. შ. მფლობელებთან. მათ მოვალეობას ელჩების გაცილება შეადგენდა, რის სანაცვლოდაც საჩუქრებს იღებდნენ. რუსეთის ხელმწიფისგან მათ ჯამაგირიც ჰქონდათ დანიშნული. ერთგულების სანაცვლოდ რუსები მათ მძევლებს ართმევდნენ. ჩრდილოკავკასიელთა უმეტესობის ერთგულება მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და ძირითადად, ერთმანეთის შიშით იყო გამოწვეული. მათ იცოდნენ, რომ ურთიერთკონფლიქტის შემთხვევაში ვის მხარესაც დაიჭერდა რუსეთი, გამარჯვებაც მას დარჩებოდა, ამიტომ იძულებული იყვნენ მასთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ.

ამ პერიოდის რუსეთის სამხრეთის პოლიტიკა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ბალანსის შენარჩუნებაში მდგომარეობდა.

ამასის ზავით (1555), კავკასია სპარსეთსა და ოსმალეთს შორის შუაზე იქნა გაყოფილი, თუმცა ამ რეგიონში წონასწორობა არ დამყარდა. ახალი ომის დაწყების წინ ძალთა უპირატესობა ჩრდილო კავკასიაში ოსმალეთის მხარეს იყო. XVI საუკუნის შუა წლებიდან პორტას შეუცვლელი მოკავშირე გახდა შამხალი, რომელსაც ოსმალეთთან რელიგიურთან ერთად სამეურნეო საქმიანობაც აკავშირებდა (ოსმალეთთვის დალესტნელები ტყვეების ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ) (ტყავაშვილი 2005: 141); ოსმალეთ-ყირიმის ერთგული იყო ჩერქეზთა უმეტესობა; პორტას სანინააღმდეგოდ მხოლოდ რუსული ორიენტაციის ყაბარდოელ მთავართა ჯგუფი იყო განწყობილი, თუმცა სპარსეთის ბანაკში არც ისინი მოიაზრებოდნენ.

ოსმალეთ-სპარსეთის ომამდე, სპარსეთი კასპიის ზღვაზე რუსეთთან კავშირში, ნაწილობრივ ანეიტრალებდა ოსმალეთის უპირატესობას რეგიონში.

ახალი ომი ოსმალეთის უპირატესობით მიმდინარეობდა. 1585 წელს ოსმალებმა ქალაქი თავრიზი აიღეს. სპარსეთის შაპი ხუდაბენდე იძულებული გახდა რუსეთისთვის

დახმარება ეთხოვა. 1586 წელს რუსები საბრძოლო ოპერაციებში ჩაეტნენ. მათ თავის ქვეშვერდომ ჩრდილოეთი გვასიღებთან და ნოლაქლებთან ერთად მონანილეობა მიიღეს სპარსეთ-ოსმალებს შორის დარუბანდთან მომხდარ საბრძოლო შეტაკებაში, მაგრამ დამარცხდნენ. რუსი დიპლომატების მცდელობებს ახალი შაჰის აბას I-გან (1587-1629) დარუბანდის რუსეთისთვის გადაცემაზე წერილობით თანხმობა მიეღოთ, შედეგი არ მოჰყოლია (ბელოკუროვი 1589: 564; ტყავაშვილი 2013: 51-52).

1586 წელს სპარსეთ-ოსმალებს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. სპარსეთ-ოსმალების ომის დამთავრება, მითუმეტეს მთელ კავკასიაში ოსმალების გაბატონებით, რუსების და ევროპელთა ინტერესებში არ შედიოდა (ასეთი შედეგით ომის დამთავრება არც შაჰ აბასს სურდა). ისინი ცდილობდნენ სპარსეთი ომის გაგრძელებისკენ წაექეზებინათ (Белокуроев 1889: 41-43), რასაც მიაღწიეს კიდევ.

ომში ჩაბმისთანავე, 1586 წელს, რუსეთმა კახეთის სამეფოსთან აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ანუ რუსეთი სამართლებრივ ჩარჩოებში სვამს თავის მოქმედებებს.

რუსეთ-კახეთის თავდაპირველი მოლაპარაკებების ამსახველ წერილობით ანგარიშებში იკვეთება ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების, კახეთის მოსახლეობის გამუსლიმანებისგან დაცვის და ჩრდილო კავკასიაში რუსული ციხესიმაგრის მშენებლობის საკითხები (Белокуроев 1889: 14, 16-17).

1586 წლის მოლაპარაკების დროს ოსმალეთის საკითხის წამოწევა რუსეთის მხარის ინიციატივით იყო და მის ერთ-ერთ მთავარ მიზანზე გვიქმნის წარმოდგენას – რუსეთი თავისი ხელმძღვანელობით ახალი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა და მასში კავკასიის ხალხის ჩართვა სურდა. თავისი მოქმედებით რუსეთი სპარსეთს უპირისპირდებოდა, რომელსაც ევროპელი სახელმწიფოები ანტიოსმალური კოალიციის აღმოსავლეთი ფრთის ლიდერად მოიაზრებდნენ.

სპარსეთთან კარგი ურთიერთობით რუსეთიც იყო დაინტერესებული. ეს ორი ქვეყანა, ვოლგისპირეთში რუსეთის გაბატონების შემდეგ, სავაჭრო პარტნიორები გახდნენ. ვოლგა-კასპიის ზღვით ხდებოდა ევროპული სავაჭრო კომპანიების სპარსეთში შესვლა და იქიდან აღმოსავლეთის ბაზრებთან დაკავშირდება. ამასის ზავით, სპარსეთს ამის გაკეთება ეკრძალებოდა, თუმცა სეფიანები ამ მოთხოვნას არ ითვალისწინებდნენ (დემეტრიძევილი 2014: 158).

1578-1590 წლების ომი ამ ვითარებას ძირიფის ვიზუანად ცვლიდა. მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრები: დარუბანდი, ბაქო, შემახა თსმალებს დაექვემდებარენ და ასტრახანიდან შემოსული ევროპული საქონლით ვაჭრობის რეგულირების ბერკეტი პორტს ხელში გადავიდა, რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო კავშირმა აზრი დაკარგა. ამის გათვალისწინებით, რუსეთი სპარსეთთან ურთიერთობის გადახედვას იწყებს და თავის სამოქმედო გეგმებს არსებულ ვითარებას არგებს. ის ცდილობს შექმნილი სიტუაცია თავის სასარგებლობით გამოიყენოს და ანტიოსმალურ კოალიციაში სპარსეთი თვითონ ჩაანაცვლოს (მამისთვალაშვილი 2009: 268-269). მოსკოვი კახეთის გარდა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან კავშირის გზებსაც ექვებს. მათთან ურთიერთობის განმტკიცებას კი დინასტიური ქორწინების საშუალებით აპირებს (ბელოკუროვი 1589: 25, 470-471).

თურქეთის საკითხი დასავლეთის ქვეყნების მთავარი პრობლემა იყო (პაპაშვილი 1997: 50). XVI საუკუნის მეორე ნახევარში. ანტიოსმალურ კოალიციაში არსებობდა ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ოსმალეთ-საშამხლოზე შეტევის გეგმა, რომლის შესახებ ინფორმაცია პორტასაც ჰქონდა. შამხალს რუსეთის მცდელები, ჩრდილო კავკასიაში ციხესიმაგრე ჩაედგა, ამ გეგმის განხორციელებისთვის გადადგმულ ნაბიჯად ესახებოდა და სულთნის კარს სასწრაფოდ ზომების მიღებას ურჩევდა (ბელოკუროვი 1589: 202-203; ტყავაშვილი 2016: 113). კოალიციის ლიდერებმა იცოდნენ, რომ რუსეთს, რომელიც ფაქტიურად გამეზობლებული იყო სპარსეთის იმ ტერიტორიებთან, რომელიც ამ ომში ოსმალეთის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა (კასპიისპირეთი), ოსმალეთთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო.

რუსეთში ანტიოსმალურ კოალიციაში მეორეხარისხოვანი წევრის სტატუსი, თანაც რომის პაპის ლიდერობა, არ ხიბლავდათ. აქედან გამომდინარე, მოსკოვისთვის ანტიოს-

ჰალურ მოლაპარაკებებში მონაწილეობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა (Белокуров 1889: 205, 206, 207). ოსმალეთთან მასშტაბურ სამხედრო კომფლიქტში ჩაბმა არც შედიოდა ივანე IV-ის და მისი მემკვიდრის თევდორე ივანეს ძის უახლოეს გეგმებში, თუმცა რუსეთში იმასაც ხვდებოდნენ, რომ ამ პროცესებიდან განზე დგომაც არ იყო გონივრული საქციელი. ოსმალებზე კოალიციის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთი თამშვარე მდგომარეობაში რომ არ აღმოჩენილიყო, მასში გარკვეული მონაწილეობა უნდა მიეღო. პირველი რიგის ამოცანა იყო, მაქსიმალურად მიახლოვებოდა მოვლენების ეპიცენტრს, რათა საჭიროების შემთხვევაში აქ მიმდინარე მოვლენებში ჩაბმის შესაძლებლობა ჰქონდა. რუსეთში ფიქრობდნენ, რომ კავკასიაში ჰყოლოდათ რაც შეიძლება მეტი მოკავშირე და ქვეშევრდომი და ამისი დამადასტურენელი სამართლებრივი დოკიმენტი, რაც მომავალში წარმატებულად განხორციელებული დიპლომატიური ოქრაციების საშუალებით, ტერიტორიის გაფართოვების, პოლიტიკური დივიდუალური მიღებისა და რეგიონში მთავარ მოთამაშედ გადაქცევის წინაპირობა იქნებოდა.

სავარაუდოდ, რუსეთი მართლმადიდებლობის სახელით ახალი, დამოუკიდებელი კოალიციის შექმნას ცდილობდა. ამ პერიოდში რუსეთს ჰქონდა ამ მიზნის მიღწევის პოლიტიკური და დიპლომატიური რესურსი, რადგანაც ევროპისთვის მისი მნიშვნელობა განუზომლად გაიზარდა. ევროპას უფრო სჭირდებოდა რუსეთი, ვიდრე რუსეთს ევროპა. რუსეთს არ სურდა მართლმადიდებლურ სამყაროში იმ უპირატესობის და ავტორიტეტის დაკარგვა, რაც მან ფერარა-ფლორენციის კრების შემდეგ მოიპოვა. საქმაოდ რთულად მიღწეული რელიგიური ავტორიტეტი რუსეთის ხელისუფლების მთავარი მონაპოვარი და შემდგომი წინსვლის იდეოლოგიური საფუძველი გახდა.

კახელები რუსეთთან ურთიერთობით არა ოსმალეთის, არამედ საშამხლოს პრობლემის მოგვარებას ფიქრობდნენ. ოსმალების მიერ მთელი ამიერკავკასიის დაპყრობისა და სპარსეთთან საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობის პირობებში, რომლის დროსაც პორტა მთელ კავკასიაზე ბატონობის აღიარებას ითხოვდა, კახეთისთვის ოსმალთა პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მით უმეტეს რომ იგი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული საშამხლოს საკითხთან, მაგრამ კახეთის სამეფო კარი რუსეთს არ მოიაზრებდა ოსმალეთის, ან სპარსეთის საკითხის გადაჭრის გარანტად. სავარაუდოდ, კახეთის იმუამად არც ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭება სურდა. მომდევნო მოლაპარაკებებშიც ალექსანდრე კახთა მეფეს რუსეთის წარმომადგენლებმა არაერთგზის შესთავაზეს ოსმალებისა და სპარსელების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებები, თუმცა კახელები ამაზე პასუხობდნენ, რომ მათთვის არც სპარსეთია საშიში და არც ოსმალეთი და მათთან ურთიერთობაში დახმემარე არ სჭირდებოდათ (ბელოკუროვი 1589: 163, 200). მათ ეს აზრი დარწებანდთან მარცხმაც განუმტკიცათ, სადაც ოსმალების პირისპირ რუსები და სპარსელები დამარცხდნენ.

1587 წელს კახეთის მეფის ოჯახმა წარჩინებულებთან ერთად რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა. „ფიცის წიგნის“ ტექსტში მტერი დაკონკრეტებული არ არის. თუმცა რუსეთის სამეფო კარისადმი წარსადგენ ოფიციალურ ანგარიშში ვხვდებით ალექსანდრე II-ის მიერ ფიცის ცერემონიის დამთავრებისთანავე ნათქვამ ასეთ ფრაზას: „რუსეთის ხელმწიფე შამხლისგან თუ დამიცავს, მე მისი ყმა გავხდები“ (Белокуров 1889: 41), რაც კახეთის მთავარ პრობლემაზე მიანიშნებს. აშკარაა, რომ კახეთის მხარისთვის რუსეთთან ურთიერთობის ძირითადი მიზეზი დაღესტნიდან თავდასხმების პრობლემის მოვარების შესაძლებლობაა, რაც კარგად იცის მოსკოვმაც. საერთოდ, კახეთის გეგმებში მოსკოვს ყოველთვის საშამხლოსთან წყვილში ვხედავთ, რაც გამომდინარეობს კახეთის სამეფო კარზე დამკვიდრებული შეხედულებიდან, რომ შამხლის განეიტრალება მხოლოდ მის ქვეყანაზე თავდასხმითაა შესაძლებელი. დაღესტანში ლაშქრობა კი მხოლოდ ჩრდილოეთიდანაა მოსახერხებელი, რადგან სამხრეთიდან ნებისმიერი სამხედრო ექსპედიცია უგზობის გამო მარცხისთვისაა განწირული (Белокуров 1889: 225, 234; ტყავაშვილი 2005: 38).

კახეთისთვის რუსეთთან კავშირი ძალზე სახიფათოა, მაგრამ კახეთი იძულებულია ეს წარმატებაზე დაგდადგას. ამის მიზეზი კი სპარსეთ-ოსმალეთის ომის პირობებში კახეთის უძმიშვის მდგომარეობაა. მართალია, საისტორიო წყაროები მას ძლიერ სახელმწიფო

ხატავენ, მაგრამ კახეთის პოლიტიკურ წრეებში იციან, რომ თუ საშამხლოდან თავდასხმები არ აღვევთეს, ქვეყანას მეტად მძიმე ხვედრი ელის.

ომის დასაწყისში კახთა მეფის მიერ ოსმალებისთვის მორჩილების გამოცხადებაც (Guyseň 2005: 43-44; ფეჩევი 1964: 42; მამისთვალაშვილი 2009: 210-212) საშამხლოსთანაა კავშირში. ალექსანდრემ იცის, რომ ოსმალების მიერ ამიერკავკასიაში ჯარის ჩაყენების და მასთან საომარ კონფლიქტში ჩაბმის შემთხვევაში დაღესტნელთა მხრიდან თავდასხმები მასშტაბურ ხასიათს მიიღებს და კახეთის ტერიტორია მათ სათარეშო ასპარეზად გადაიქცევა. კახეთი ვერ შეძლებს უძლიერეს მტრებთან: დაღესტნელებთან და ოსმალებთან ორ ფრონტზე ბრძოლას. ალექსანდრეს მიერ ოსმალებისთვის მორჩილების გამოცხადების შემდეგ ლალა ფაშამ კახეთის რბევა აკრძალა. წყაროებში შემონახულია ცნობა, რომ თურქმა მეომრებმა მაინც დაარბიეს კახეთის სოფლები. ლალა ფაშამ დამნაშავეთა ჩამოხრჩობის ბრძანება გასცა (მამისთვალაშვილი 2009: 215-216). აშკარაა, ოსმალთა მთავარსარდლობა ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში არც დაღესტნელებს დაინდობს. დასჯის შიშით დაღესტნელებიც თავს შეიკავებდნენ კახეთზე თავდასხმებისგან. კახეთის მეფემ ამ ნაბიჯით საკუთარი სამფლობელო ოსმალთა დარბევისგანაც გადაარჩინა და დაღესტნელთა თარეშისგანაც.

ალექსანდრე მეფის სიფრთხილეს რომ სერიოზული საფუძველი ჰქონდა, მოვლენების შემდგომმა მსვლელობამაც დაადასტურა. ერთ-ერთი წყარო გვამცნობს: ოსმალების მიერ შირვანის აღების შემდეგ „გენერალს . . . მთების მეფე შამხალი ეახლა. . . რადგან შამხალი მაჭადიანური სარწმუნოებისა იყო, გენერალმა საზეიმო მიღება მოუზყო, მრავალი საჩუქარი უბოძა და სთხოვა შირვანის გენერლის ოსმან ფაშას ხელვევით ყოფილოყო. [ოსმან ფაშას] მცირე ჯარი ჰყავდა, ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ შამხალი ოთხ ან ხუთ ათას [მებრძოლს] გაუგზავნიდა. გენერალმა მას სთხოვა ოსმან ფაშასთვის ცოლად მიეცა თავისი ასული. . . და ვადასცა ქალაქი შაბრანი მთელი ოლქითურთ“. (მამისთვალიშვილი 1987: 32-33).

მოყვანილი ფრაგმენტიდან ჩანს, როგორი პატივისცემით ეპყრობა ოსმალეთის უმაღლესი მთავარსარდლობა შამხალს (ფეჩევი 1964: 48-49). მას ამიერკავკასიის ერთ-ერთი ოლქის მმართველად ნიშნავენ და ოსმალეთის დიდმოხელესთან ანათესავებენ, რაც საქმაოდ მძიმე პერსპექტივაა კახეთისთვის.

საშამხლოსთან დაკავშირებით კახეთის მეფის გათვლა რომ ზუსტია, გამომუდავნდა 1589 წელს. დაღესტნელთა თავდასხმები იმდენად გაძლიერდა (ბოცვაძე 1968: 42-43; ნელოკური 1889: 45-46, 53), რომ კახეთს სამეფო რეზიდენციის ზაგემიდან აღმოსავლეთით გადმოტანა დასჭირდა.

ალექსანდრემ იცის, რომ ომის მიმდინარეობის პირობებში მასთან მშვიდობიანი ურთიერთობით ოსმალეთი დაინტერესებულია. ასეთი დამოკიდებულება ომის დამთავრების შემდეგ რომც გაგრძელდეს, დაღესტნელთა თავდასხმების შეჩერება მაინც ვერ მოხერხდება, რადგან ამის ბერკეტი ოსმალეთს არა აქვს. კახეთის მეფეს სიფრთხილეს აიძულებს ის ფაქტიც, რომ ოსმალებისთვის მისი მოღალატეობის შესახებ ცნობილია. აშკარაა, რომ ოსმალების მიერ გადიდკაცებული და ბარში თავისი რაზმებით ჩამოსული შამხალი ორმაგი ძალით გააგრძელებს ქართული სამფლობელოების რბევას. ყოველივე ეს ქართველ პოლიტიკოსებს აიძულებს რუსეთთან კავშირს სერიოზულად მოეკიდონ.

საერთოდ, ალექსანდრეს კავშირს ოსმალეთთან მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. ოსმალების ნინააღმდეგ მისი მოქმედებების შესახებ ინფორმაცია არაერთმა წყარომ შემოინახა (ფეჩევი 1964: 61-62, 72-73).

რუსეთი კახეთის მეფისგან მდინარე თერგის აუზში მშენებარე ციხესიმაგრეში განთავსებული გარნიზონის მომარაგებაში დახმარებასაც ითხოვს. იგი ქართულ მხარეს არწმუნებს, რომ აქედან მოაწყობს საშამხლოზე ლაშქრობას და საჭიროების შემთხვევაში კახეთში რაზმებსაც გაგზავნის (ნელოკური 1889: 24). ციხესიმაგრე ფაქტიურად იყო სამხედრო ბაზა, რომელიც კავკასიაში ოსმალეთის გაბატონებით დარღვეული წონასწორობის აღსაფეხნად იყო გამიზნული. რუსეთს საპირნონის დანიშნულება ჰქონდა. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (რუსეთიდან) და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (საქართველოდან) ოსმალეთზე განხორციელებული შეტევა ადგილობრივი მოსახლეობის ნინააღმდეგობასთან ერთად იქნებოდა ოსმალების ძალების დაქსაქსვის საუკეთესო საშუალება, რის

ჟონზე ანტიოსმალური ბრძოლა უპერსპექტივოდ აღარ გამოიყურებოდა. თერგის ციხესიმაგრიდან და ასტრახანიდან შესაძლებელი გახდებოდა რუსეთის სამხრეთი საზღვრების და ვოლგისპირეთის დაცვა, სტეპის ხალხის კონტროლი, კასპიისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს რუსეთის გავლენის ქვეშ თანდათან მოქცევა, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაზე (თერგის ციხესიმაგრის დასავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე სამფლობელოებზე) რუსეთის გავლენის გავრცელება, ტერიტორიის გაფართოვება და სტრატეგიულ მნიშვნელობის ადგილებზე ახალი ციხესიმაგრების შექნებლობა (Бакиханов 1991: 110-111), რაც მექანიკურად გამოიწვევდა ოსმალეთ-ყირიმხანის დაქვემდებარებიდან აღნიშნული ტერიტორიის ჩამოცილებას. აქედან გამომდინარე, საშამხლოზე ლამქრობა, რასაც კახეთის მხარე კატეგორიულად ითხოვდა, რუსეთის მასშტაბური მიზნის – მომავალში კავკასიაში გაბატონების – მხოლოდ ერთი რგოლი იყო.

კახეთის მხარე რეალურად აფასებდა სიტუაციას. ალექსანდრემ კარგად იცოდა რაფასი ჰერინდა რუსეთისთვის იმას, რასაც მისგან ითხოვდნენ. რუსეთის ერთგულებაზე დაფიცების იურიდიული გაფორმების სანაცვლოდ საშამხლოს პრობლემის მოგვარება, ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს ამ პერიოდის რუსეთ-კახეთის ურთიერთობებს.

საშამხლოს მნიშვნელობა რუსეთისთვის უდიდესი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ საშამხლოდან მეზობელ სამფლობელოებზე აგრესია XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა, ე. ი. მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა ვოლგისპირეთზე, თავის აღმოსავლეთ საყრდენზე, კონტროლი დაკარგა. ოსმალეთმა ასტრახანისა და ყაზანის სახანოების ჩანაცვლება ფაქტიურად დაღესტნით მოახდინა. დალესტან-ყირიმის კავშირი ოსმალეთის ბატონობის გარანტიად გამოდიოდა კავკასიაში და რუსეთის მფარველობაში მყოფ ჩრდილოებურის სიელებს საფრთხეს უქმნიდა. აქედან გამომდინარე, რუსეთი ჩრდილო კავკასიაში საშამხლოს დასუსტების გარეშე თავის სამხედრო პოსტებს და გავლენას ხანგრძლივად ვერ შეინარჩუნებდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კავკასიაში რუსეთის ერთერთი მთავარი სამიზნე საშამხლო იყო. თუმცა რუსეთში იმასაც ხვდებოდნენ, რომ საშამხლოდან თავდასხმები იყო ის მიზეზი, რომლის შიშით კავკასიელები რუსეთს ერთგულებას ეფუძებოდნენ. რუსეთი თუ მოაცილებდა მათ ამ საფრთხეს, დიდი ალბათობით კავკასიაში მოკავშირებს დაეკარგავდა.

XVI საუკუნის ბოლოს რუსეთს არ შეეძლო საშამხლოს პრობლემის მოგვარება. ეს თვალსაჩინო გახადა საშამხლოს ნინაალმდევ მოწყობილმა მისმა ნარუმატებელმა ლაშქრობებმა. XVI საუკუნის ბოლოს სპარსეთი გაძლიერდა და ოსმალების მიერ ზართმეული ტერიტორიების დაბრუნება დაიწყო. რუსეთს კავკასიის დატოვება მოუნია. ქართველ პოლიტიკოსთა სარისკო ნაბიჯები, რუსეთის დახმარებით გაერლვიათ სახიფათო რკალი, შედეგი არ მოჰყოლია. ამ პერიოდის რუსეთის პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც კავკასიის შემდგომი დაბყრობებისთვის იურიდიული საფუძვლის შექმნის მცდელობა.

### დამოწმებანი:

**ბოცვაძე 1968:** თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), თბილისი.

**დემეტრაშვილი 2014:** კ. დემეტრაშვილი. ინგლისელთა VI სავაჭრო ექსპედიცია აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში (1579-1581), ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VIII.

**მამისთვალიშვილი 1987:** თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები 1577-1581, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბილისი.

**მამისთვალაშვილი 2009:** ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, (XV-XVI სს.), თბილისი.

**პაპაშვილი 1998:** მ. პაპაშვილი. საქართველო-რომის საეკლესიო და დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (VI-XVI საუკუნეები), თბილისი.

**ტყავაშვილი 2005:** მ. ტყავაშვილი. კახეთის სამეფოს ურთიერთობა საშამხლოსთან და „ფიცის წიგნი“, კლიო.

**ტყავაშვილი 2006:** მ. ტყავაშვილი. რუსეთის ლაშქრობები და დღესტანში (1591, 1594) და კახეთის სამეფო. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, IX.

**ტყავაშვილი 2013:** მ. ტყავაშვილი. დარუბანდის გასასვლელი რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სფეროში (XVI საუკუნიდან XVIII ს-ის დასაწყისამდე). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (12).

**ტყავაშვილი 2016:** მ. ტყავაშვილი. რუსეთან კახეთის სამეფოს ურთიერთობის პოლიტიკური ასპექტები (XVI საუკუნის მეორე ნახევარი). კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XVII.

**ფერევი 1964:** იძრაპიმ ფერევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბილისი.

**ნითლანაძე თ. ნითლანაძე, XVI საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული წყაროები საქართველოს შესახებ, სპეკალი. #12,**

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/128>

**Бакиханов 1991:** Абас-Кули-ага Бакиханов. Гюлистан-и Ирам, Баку.

**Белокуров 1889:** Белокуров С. Сношения России с Кавказом, Москва.

**Гусейн 2005:** Фарах Адиль қызы Гусейн. Османо-сефевидская война 1578-1590 гг. по материалам трудов османского летописца Ибрахима Рахимиزادе, Баку.

**Смирнов 1958:** Смирнов Н., Политика России на Кавказе в XVI-XIX веках. Москва.

## ახალი ცენტრი დავით სარაჯიშვილის ცხოვრებიდან (პაიდელგარგის უნივერსიტეტის არქივის მასალები)

ი არაპირ-ცხინდენი  
ირინა არაპირ

დავით სარაჯიშვილის კალენადრული ავტობიოგრაფია და მის მიერ სამეცნიერო ხარისხის მოპოვების ახალი დეტალები ჩვენთვის ცნობილი გახდა ჰავდელბერგის უნივერსიტეტის არქივში დაცული მასალიდან. იმ დოქტორანტების საბუთები, რომლებმაც ხარისხი ჰავდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე დაიცვეს, ამავე ფაკულტეტის აქტებში წლების მიხედვითაა ჩაკრული. 1870-1871 წლების ტომში ჩვენთვის საინტერესო შემდეგი დოკუმენტებია წარმოდგენილი:

142r - ფაკულტეტის დეკანისაგან 1871 წლის 10 მარტს დავით სარაჯევის (უნივერსიტეტის საბუთება და დიპლომშიც დავით სარაჯიშვილის გვარი ამ ფორმითა) გამოსაცდელად პროფესორების მიწვევის ფურცელი (იმავე წლის 2 მარტით დათარიღებული). თითოეული მათგანი გამოცდაზე დოქტორანტის დაშვებასა და შეთავაზებულ თარიღზე თანხმობას ხელმოწერით ამავე ფურცელზე ადასტურებს;

142v - გამოცდის ოქმი ანუ გამოცდაზე მიღებული შეფასებები;

143r - დავით სარაჯევის მიმართვა ფილოსოფიის ფაკულტეტისადმი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად გამოცდაზე დაშვების თხოვნით;

144 rv და 145r - კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

146r - დიპლომის სააქტო ანუ საარქივო ეგზემპლარი (თხელ ფურცელზე დაბჭდილი დიპლომის ასლი, ბეჭდისა და ხელმოწერის გარეშე) (არქივი 73: 40a(142-146));

ჩვენთვის ასევე საინტერესო ამავე არქივში დაცული ფილოსოფიის ფაკულტეტზე სამეცნიერო ხარისხის მინიჭების რეგლამენტი (Promotionsordnung der Philosophischen Fakultät zu Heidelberg, 1867), რადგან ყოველ უნივერსიტეტს შეფასების თავისი სისტემა ჰქონდა ჩამოყალიბებული (არქივი 1: 67(1-8)).

დავით სარაჯიშვილის დოკუმენტთაგან მხოლოდ დიპლომის სააქტო ეგზემპლარია ნაბეჭდი, დანარჩენები საკმაოდ რთულად გასარჩევია, რამაც ტექსტის დადგენის პროცესი გაახანგრძლივა. კალენდარული ავტობიოგრაფია და დიპლომის სააქტო ეგზემპლარი დანერილია ლათინურად, დანარჩენი საბუთები – გერმანულად. ძნელად გასარკვევი სიტყვების ამოკითხვაში დაგვეხმარა იქვე, არქივში არსებული ქრონოლოგიურად დალაგებული ასოების მოყვანილობის ნიმუშები.

აღნიშნული აქტების რამდენიმე ტომის დათვალიერების შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მათში საბუთების დედნებია წარმოდგენილი (ტომები ერთანაირი ფურცელებისაგან შედგება, განსხვავებული ხარისხის ფურცელი ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება).

სხვადასხვა დოქტორანტის შესახებ არსებული მასალის შედარებისას აშკარაა, რომ საბუთები აქტებში ერთნაირი, ზემოთ წარმოდგენილი მიმდევრობითაა მოთავსებული.

ჰავდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტისადმი მიმართვა დავით სარაჯიშვილის მიერ არის ხელმოწერილი. ის და კალენდარული ავტობიოგრაფია ვფიქრობთ, ერთი ხელითაა ნაწერი. შესაძლოა, ისინი დანერილი იყოს დავით სარაჯიშვილის მიერ. თუმცა, შესაძლოა, დანერილი იყოს მისი დაკვეთით სხვადასხვა პირის მიერაც. რადგან ამ ორი ტექსტის ასოების მოყვანილობა ერთმანეთისა და ხელმოწერის ასოებისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია.

გამოცდაზე პროფესორების მიწვევა და გამოცდის ოქმი ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანის კარლ გუსტავ ადოლფ კნიესის (1821-1898) ხელითაა ნაწერი. მისი ხელმოწერა ოქმში პირველ ადგილზეა, თუმცა გამოცდის პროცესში არ მონაწილეობდა. დიპლომის დედანზეც სწორედ მისი ხელმოწერა (არქივი 73: 142rv; ფონდი: 573; გრულ 1986: 141).

ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანისაგან დავით სარაჯიშვილის გამოსაცდელად პროფესორთა მიწვევის ტექსტი:

/142r/ Philosophische Facultät. Herr D. Saradjeff aus Tiflis ersucht zur Erlangung der Doktorwürde um eine Prüfung in Chemie als Hauptfach. Physik & Mineralogie als Nebenfächern. Seinem Gesuch hat er beigelegt außer einem curriculum vitae und einem Paße Stüberzeugnisse der Universitäten Petersburg, München, Heidelberg und der polytechnischen Schule zu München.

Für den Fall der Zulassung schlage ich nach dem Wunsch des Candidaten als Prüfungstermin Freitag 10. März abends 6 Uhr vor und ersuche die Herrn Geh[heim] R[ath] Bunsen, Geh[heim] H[ofrath] Kopp, Geh[heim] H[ofrath] Kirchhoff und Prof. Blum mit ihren Voten voranzugehen.

Eine Vorprüfung im Lateinischen ist nicht erforderlich; ich habe mich überzeugen können, daß das russisch geschriebene Zeugnis, entsprechend der Angabe des Candidaten, die Bescheinigung enthält, daß letzterer nach Absolvirung des "russischen" Gymnasiums zu Tiflis und erlangtem Maturitätszeugnis als Student in Petersburg matrikulirt sei und Vorlesungen gehört habe.

Heidelberg. 2. März 1871.

Ich habe kein Bedenken gegen den  
Zulassung und den angesetzten Termin

R. W. Bunsen, Kopp, G. Kirchhoff, Blum, Pagenstecher, Reichlin-Meldegg, Lossen,  
Wattenbach, Zeller, H. Köchly, Stark, Weil, Königsberger.

თარგმანი:

ფილოსოფიის ფაკულტეტი. ბატონი დ. სარაჯევი ტიფლისიდან მოგვმართავს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად გამოცდის თხოვნით ქიმიაში, როგორც მთავარ საგანში. ფიზიკასა და მინერალოგიაში, როგორც მეორად საგნებში. თავის მომართვას მან დაურთო კალენდარული ავტობიოგრაფია და პასპორტის გარდა მოწმობები პეტერბურგის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებისა და მიუნხენის პოლი-ტექნიკური სასწავლებლისა.

ნების დართვის შემთხვევაში გთავაზობთ, კანდიდატის თხოვნით, გამოცდის დროდ დაინიშნოს 10 მარტი, საღამოს 6 საათი და თხოვნით მივმართავ ბატონებს: გეჰაიმ რატ<sup>1</sup> ბუნესენს, გეჰაიმ პოფრატ კოპს, გეჰაიმ პოფრატ კირხჰოფს და პროფ. ბლუმს თავიანთი შეფასებები წინასწარ წარმოადგინონ.

წინასწარი გამოცდა ლათინურში საჭირო არაა. შევძლი, დავრწმუნებულიყოვი იმა-ში, რომ რუსულად დაწერილი საბუთი, კანდიდატის ჩვენების შესაბამისად, შეიცავს მოწმობას, რომ ეს უკანასკნელი ტიფლისის „რუსული“ გიმნაზიის დამთავრების და სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ პეტერბურგში სტუდენტად ჩაირიცხა და ლექციებს ისმენდა.

გამოცდაზე დაშვებისა და შემოთავაზებული თარიღის საწინააღმდეგო არაფერი გამარინია: რ. ვ. ბუნესენ, კოპ, გ. კირხჰოფ, ბლუმ, ა. პაგენშტექერ, რაიხლინ-მელდეგ, ლოსენ, ვატენბახ, ცელერ, ჰ. კოხლი, შტარკ, ვაილ, კიონიგსბერგერ (თითოეულის ხელმოწერა).

გამოცდის რიცხვთან დაკავშირებით დავით სარაჯევილის მიმართვაში (არქივი 73: 143r) არაფერია ნათქვამი. როგორც ჩანს, რომელიმე სხვა საბუთით ან სიტყვიერად მას გამოცდის თავისთვის მისალები თარიღიც დაუსახელებია. ფაკულტეტის დეკანი პროფესორებს გამოცდის დანიშნვას სწორედ დოქტორანტისათვის სასურველ რიცხვში სთავაზობს.

<sup>1</sup> Geheim(er) Rath – საიდუმლო ანუ სანდო მრჩეველი, Geheim(er) Hofrath – კარის საიდუმლო, სანდო მრჩეველი – საპატიო წოდებებია და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში რომის იმპერიის დროიდან I მსოფლიო ომის დასასრულამდე იყო შენარჩუნებული.

მიმართვის ტექსტით დასტურდება, რომ დავით სარაჯიშვილი მიუნხენის პოლიტექ-  
ნიკურ სასწავლებელშიც სწავლობდა, რაც მის ბიოგრაფიებში აღნიშნული არ არის.

საბუთიდან აგრეთვე ნათელი ხდება, რომ დავით სარაჯიშვილს დოქტორის ხარისხის  
მოსაპოვებლად წინასწარ ლათინურის გამოცდის ჩაბარება არ დასტირდა, რადგან „ტიფ-  
ლისის „რუსული“ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ... ჰეტერბურგში სტუდენტად ჩაირიც-  
ხა...“ დეკანისაგან პროფესორებისათვის შეფასებების წინასწარ წარდგენის მოთხოვნა,  
ვფიქრობთ, დავით სარაჯიშვილის მიერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში განვლილ კურ-  
სტანაა დაკავშირდული, რაც კალენდარულ ავტობიოგრაფიაშიც აღნიშულია.

ყურადღებას იქცევს თბილისის „რუსული“ გიმნაზიის დასახელებისას რუსულის  
ბრძყალებში ჩასმა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დიპლომებშიც და, აქე-  
დან გამომდინარე, მათ სააქტო ეგზიმპლარებში მითითებულია ხარისხის მფლობელის  
ეროვნება. დავით სარაჯიშვილთან დაფიქსირებულია მისი ქართველობა, ხოლო გრი-  
გორ არწრუნის (რომელიც ასევე თბილისიდანაა) დიპლომის სააქტო ეგზიმპლარში მი-  
თითებულია, რომ ის სომეხია (არქივი 72: 6a).

ჰეტერბურგის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებისა და მიუნხენის პოლი-  
ტექნიკური სასწავლებლიდან ფილოსოფიის ფაკულტეტისათვის წარდგენილი საბუთე-  
ბი – რომლის შესახებაც დეკანი პროფესორებს აუნყებს, აქტებში დაცული არ არის.

საგამოცდო ოქმი 10 მარტით თარიღდება. ოქმის მარცხენა მხარეს ჩამოთვლილია  
ვამოცდაზე დამსწრე 15 პროფესორის გვარი; მარჯვენა მხარეს დეკანის მიერ დასახე-  
ლებულია ოთხი გამომცდელი. თითოეულ მათგანს საკუთარი ხელით აქვს დაფიქსირე-  
ბული შეფასება, რომელიც დადასტურებულია ხელმოწერით.

დავით სარაჯიშვილის მიერ მიღებულ შეფასებაზე *Insigni cum laude* (შესანიშნავი/აღ-  
სანიშნავი წარმატებით) მაღალი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფაკულ-  
ტეტზე სადოქტორო გამოცდის შეფასებათა ოთხსაფეხურიან სისტემაში არის მხოლოდ  
*Summa cum laude* (უმაღლესი წარმატებით) (არქივი 1: 67(7)).

სწორედ აღნიშნული საბუთი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში 1867 წლიდან მოქ-  
მედი რეგლამენტი და დავით სარაჯიშვილის დიპლომი გვაძლევს საშუალებას დავადგი-  
ნოთ, რომ 1871 წელს ჰაიდელბერგის რუსერტ-კარლის სახელობის უნივერსიტეტის ფი-  
ლოსოფიის ფაკულტეტზე სამი მკაცრი გამოცდის განსაკუთრებული წარმატებით ჩაბა-  
რების შემდეგ დავით სარაჯიშვილს „ქიმიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა  
მაგისტრის სამეცნიერო უფლებები და პრივილეგიები“ მიენიჭა. აღნიშნულ საკითხს შე-  
დარებით ვრცლად ვეხებით სტატიაში – დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიიდან რამდენი-  
მე საკითხის დაზუსტებისათვის (დაბადების 170 წლისთავთან დაკავშირებით), კრებულ-  
ში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 2018, 1-2 (22), გვ. 84-102.

დავით სარაჯიშვილმა ზეპირი გამოცდები ქიმიაში, როგორც მთავარ საგანში პროფე-  
სორებს რობერტ ვილჰელმ ბუნსენსა (1811-1899) და ჰერმან კოპს (1817-1892) ჩააბარა. ფი-  
ზიკის გამოცდა გუსტავ რობერტ კირხჰოფს (1824-1887) და მინერალოგია - იოჰან რიჩარდ  
ბლუმს (1802-1883) (არქივი 73: 142v; დრულ 1986: 22-23, 35, 135, 145; განრიგი: 18-20).

დავით სარაჯიშვილის მიმართვა ფილოსოფიის ფაკულტეტისადმი გამოცდაზე დაშ-  
ვების თხოვნით.

/143r/ Einer hohen Philosophischen Fakultät der Universität

Erlaubt sich der ergebenst Unterzeichnete die Bitte um Zulassung zur Doktor-Promotion  
aufgrund seiner beiliegenden Zeugnisse und eines curriculum vitae auszusprechen.

Derselbe ersucht eine Hohe Philisophische Fakultät mit ihm ein Examen in Chemie als  
Hauptfach in Physik und Mineralogie als Nebenfächern, abhalten zu wollen.

Ergebnest  
An Eine Hohe Philo-  
sophische Fakultät  
der Universität  
Heidelberg

D. Saradjeff.

## თარგმანი:

მის აღმატებულება უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს  
თავს უფლებას აძლევს ქვემორე უმორჩილესად ხელის მომზერი, გამოთქვას თხოვნა,  
თავისი თანდართული მოწმობებისა და კალენდარული ავტობიოგრაფიის საფუძველ-  
ზე დაიშვას სადოქტორო გამოცდაზე.

იგივე [პირი] თხოვნით მიმართავს მის აღმატებულება ფილოსოფიის ფაკულტეტს,  
ინგბოს მისთვის გამოცდის ჩატარება ქიმიაში, როგორც მთავარ საგანსა და ფიზიკასა  
და მინერალოგიაში, როგორც მეორად საგნებში.

უმორჩილესად

მის აღმატებულება პაიდელბერგის  
უნივერსიტეტის ფილოსოფიის  
ფაკულტეტს

(ხელმოწერილია)

აქ კიდევ ერთხელაა დამოწმებული, რომ დავით სარაჯიშვილმა სადოქტორო გამოც-  
დის ჩასაბარებლად პაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს მიმარ-  
თა. ალნიშნულ სასწავლებელში მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განხრა 1871  
წელს ფილოსოფიის ფაკულტეტის შემადგენლობაში შედიოდა (არაბიძე 2018: 85).

ამავე დროს მიმართვა მოწმობს, რომ დოქტორანტი ძირითად და მეორად (დამატე-  
ბით) საგნებს, საძიებელი ხარისხიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრავდა. თანდარ-  
თული მოწმობები მიმართვაში ჩამოთვლილი არ არის და, როგორც უკვე აღვნიშნეთ,  
არც აქტებშია დაცული.

დავით სარაჯიშვილის კალენდარული ავტობიოგრაფია, დედნის ტექსტი:

/144/ Natus sum Davith Saradjeff die vicesimo tertio mensis Novembris anni MDCCXLVIII  
Tifli, quod est caput regionis Georgeorum, patre Zacharia, privatam ibi vitam agente eodemque  
agrorum possessore... Religionis confessionem sequor Christianam et eam quidem, quam Graeci  
dicunt orthodoxam.

Discipulus gymnasii, quod in urbe mea natali floret, per septem annos studiis literarum et  
linguarum imbutus aestate anni sexagesimi sexti exeunte, utimos ibi est, examen meum superari.

Quo facto urbe relicta eodem anno Retropolim me contuli, ut summam rerum, quae exstudio  
naturae redundant, cognoscere ibi inciperem. anno past in Germaniam transivi.

/144v/ transivi consilio ductus, studia quae in ejus universitatibus Tractantur cognoscere pergendi:  
quam-quam Ienae, ubi per duo semestria moratus sum, nondum studiosus adscriptus eram, tamen  
notitiam sermonis Germanorum adeptus quibusdam scholis et exercitationibus chemicis interfui.

Ineumte autumno anni sexagesimi octavi Monaci nomen meum apud magistratum universitatis,  
quae ibi floret, professus studiis praecipue chemicis iisque quae proxime ad ea accedunt, totum me  
dedi:

Postquam universitate mutata per aestatem anni inequentis Heidelbergae, tum iterum per duo  
semestri Monaci iisdem studiis incubui, postremum Heidelbergae ea laetus repetii.

Cum jam in eo sim, ut examina pro gradu Doctoris rite impetrando subeam, restat, ut nomina  
professorum, quorum scholis et exercitationibus indolem esse pie fateor, gratum animum  
exhebendi causa hac occasione proferam. Studivi

/145/ Studivi autem Ienae professorem Geutherum (gunter), Monaci professores Joli, Kobbela,  
Gümbel, Pettenkofer, Erlenmeyer, Haushofer, Betz.

Heidelbergae professores Bunsen, Kirchhoff, Kopp, Blum, Helmboltz, Fuchs, Lossen, Wundt.

## თარგმანი:

მე, დავით სარაჯევი, დავიბადე *MDCCXLVIII* (1848) წლის ნოემბრის თვის 23-ე დღეს  
ტიფლისში, რომელიც არის ქართველთა რეგიონის დედაქალაქი, მამისაგან ზაქარია,  
რომელიც იქ კერძომესა კუთრულ ცხოვრებას ეწევა და იქვე ფლობს მამულს. მივსდევ

ქრისტიანულ რელიგიურ სარწმუნოებას, ანუ იმას, რომელსაც ბერძნები მართლამ-დიდებლობას უწოდებენ.

იმ გიმნაზიის მოსწავლემ, რომელიც ჩემს მშობლიურ ქალაქში ჰყვავის, შვიდი წლის განმავლობაში ლიტერატურისა და ენების სწავლაში ჩაფლულმა [18]66-ე წლის ზაფხულში, იქაური წესისამერ, დავძლიერ გამოცდები.

ამის შემდგომ დავტოვე ქალაქი და იმავე წელს გავემართე პეტრეს ქალაქში, რათა იქ შევდგომიდი

საგნების მთავარი არსის შემეცნებას, რაც ბუნების შესწავლიდან გამომდინარებს. რჩევას მიყოლილმა გაგაგრძელებული შესწავლა იმ საგნებისა, რომლებიც იქაურ უნივერსიტეტებში ისწავლება. მიუხედავად იმისა, რომ იენაში, სადაც მე ორი სემესტრი დავრჩი, სტუდენტად არ ვყოფილვარ ჩანერილი, მაინც მივაღწიე გერმანული ენის/საუბრის ცოდნას და ვესწრებოდი გარკვეულ ლექციებსა და ცდებს ქიმიაში.

[18]68 წლის შემოდგომის დასაწყისში მიუნხენში ჩავენერე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, რომელიც იქ ჰყვავის, და თავი მთლიანად მიუძღვენი განსაკუთრებით ქიმიის მეცნიერებისა და იმათ შესწავლას, რომლებიც მასთან ახლოს დგას.

უნივერსიტეტის შეცვლის შემდეგ ვყყავი შემდეგი წლის ზაფხულის განმავლობაში ჰაიდელბერგში, შემდეგ ისევ მიუნხენში ჩავუჯერე იორი სემესტრის გამავლობაში იმავე სწავლებას. შემდგომ კი იგივე ბეჭითად გავიმეორე ჰაიდელბერგშიც.

რადგანაც უკვე იქამდე მივედი, რომ თავსვიდებ დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი გამოცდების ჩაბარებას ისე, როგორც საჭიროა, ის მრჩება, რომ ჩემი მადლიერების გამოსახატავად აქ ჩამოვთვალო სახელები პროფესორებისა, რომელთა შესახებაც გულითადად ვალიარებ, რომ სწავლებისა და მოძღვრების ნიჭი თანდაყოლილი აქვთ.

ასე, რომ ვსწავლობდი იენაში პროფესორ გუნტერთან, მიუნხენში პროფესორებთან: ჯელი, კობელ, გიუმბელ, ბეტენკოფერ, ერლენმაიერ, ჰაუსპონფერ, ბეტც.

ჰაიდელბერგში პროფესორებთან: ბუნსენ, კირხპოფ, კოპ, ბლუმ, ჰელმბოლტც, ფუხს, ლოსენ და ვუნდტ.

აღნიშნული დოკუმენტი დღემდე უცნობ რამდენიმე ინფორმაციას გვაწვდის. კერძოდ, მასში დავით სარაჯიშვილი თავისი დაბადების თარიღად 1848 წ. 23 ნოემბერს ასახელებს და არა – 28 ოქტომბერს, რომელიც მის შესახებ დაწერილ ყველა ნაშრომში თუ მის სახსოვრად გამოცემულ კრებულებშია მითითებული. ამ თარიღის წყარო ჩვენთვის ცნობილი არ არის, ამიტომ არ გვაქვს საშუალება მისი ჭეშმარიტების შესახებ ვიმსჯელოთ. ავტობიოგრაფიაში, რომელიც აღბათ, თვითონ დავით სარაჯიშვილის მიერ ან მისი დაკვეთითა დაწერილი, მითითებული თარიღი – 23 ნოემბერი, ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს.

ჩვენ საკითხის დასაზუსტებლად საისტორიო ცენტრალური არქივის შესაბამისი პერიოდის თბილისისა და სოფელ დიღმის მეტრიკული წიგნები დავამუშავეთ (დავით სარაჯიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ორთოდოქსული სარწმუნოებისაა). მაგრამ ჯერჯერობით მისი დაბადებისა და ნათლობის შესახებ ჩანაწერს ვერ მივაკვლიერთ.

თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის ფონდის საბუთებში კი, სადაც 1908 წლისათვის დაცით სარაჯიშვილის ნამსახურების სიად დაცული, დაბადების თარიღად 1848 წლის 5 ნოემბერია მითითებული (ფონდი 441: 1-2; ფონდი 441ა: 3-4). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავით სარაჯიშვილის დაბადების 3 თარიღი გვაქვს – 28 ოქტომბერი, 5 ნოემბერი, 23 ნოემბერი – ჩვენი აზრით, კალენდარულ ავტობიოგრაფიაში მითითებული 23 ნოემბერი თოვიციალურად გაფორმებული, ე. ი. პასპორტში დაფიქსირებული თარიღი უნდა იყოს. იმედია, მომავალში რომელიმე თარიღის გასამყარებლად მასალას მივაკვლევთ.

კალენდარული ავტობიოგრაფიდან ცნობილი ხდება, რომ დავით სარაჯიშვილს იენას უნივერსიტეტთანაც ჰქონია კავშირი. იქ ესწრებოდა ლექციებს, გერმანულ ენასა და ქიმიაში ცოდნას იღრმავებდა. 1868 წელს კი მიუნხენის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ჩაბარა. განსაკუთრებული გულმოდგინებით ქიმიასა და მის მომიჯნავე დისციპლინებს სწავლობდა (არქივი 73: 144v).

ამავე დოკუმენტში საინტერესოა დავით სარაჯიშვილის მიერ თავისი დაბადების ადგილის დასახელების ფორმა – ქართველთა რეგიონის დედაქალაქი.

ორიოდე სიტყვით შევეხებით დავით სარაჯიშვილის დიპლომის ლუქიან ბეჭედს. დიპლომი საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმშია დაცული. ის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივის თანამშრომელთა რჩევის გათვალისწინებით გაისანა. წითელ საბეჭდე ლაქზე გამოსახულია წმ. ეკატერინე ალექსანდრიის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ლერბი, რაც XVII-XIX სს-ებში ფილოსოფიის ფაკულტეტის ბეჭდის უცვლელი გამოსახულება იყო. 1900-იანი წლების ახლო ხანებში ბეჭდის დაიმეტრი 30 მმ-დან 70 მმ-დე გაზრდილა. ჩვენგან მიწოდებული ბეჭდის გამოსახულება ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივის თანამშრომლებს ფაკულტეტის ბეჭდის ისტორიის კვლევის პროცესში დაეხმარა.

ამრიგად, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივში მიკვლეული მასალით დოქტორის ხარისხის მოპოვებისას დავით სარაჯიშვილის წარმატებების შესახებ შემდეგ ინფორმაციას გავეცანით:

1871 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტი დამოუკიდებელად ჯერ კიდევ არ არსებობდა. მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო განხრაში ხარისხს 1890 წლამდე ფილოსოფიის ფაკულტეტზე იცავდნენ.

ამავე ფაკულტეტზე 1867 წლიდან მოქმედი რეგლამენტის მიხედვით დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვა აუცილებელი არ იყო. მის ტოლფასს სამ საგანში ორსაათიანი მკაცრი გამოცდის ჩაბარება წარმოადგენდა (რეგლამენტში და დიპლომშიც სწორედ სიტყვა – მკაცრია ჩანწრილი). ჩასაბარებელ საგნებს დოქტორანტი თვითონ ირჩევდა. ის ასევე ასახელებდა სამი საგნიდან რომელი უნდა ყოფილიყო მთავარი და რომელი მეორადი. რომელ დისციპლინაში მიენიჭებოდა ხარისხი მაძიებელს, სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავდა.

დავით სარაჯიშვილმა ფილოსოფიის ფაკულტეტზე სამ საგანში „განსაკუთრებული წარმატებით დაძლეულ მკაცრ გამოცდაზე“ დაიმსახურა შეფასება – Insigni cum laude (შესანიშნავი/აღსანიშნავი წარმატებით). შედეგად მას „ფილოსოფიის დოქტორისა და თავითუფალ ხელოვნებათა მაგისტრის სამეცნიერო უფლებები და პრივილეგიები“ მიენიჭა. უმთავრეს საგნად ქიმიის ჩაბარების გამო, რაც დიპლომშიც აღნიშნულია, ეს ხარისხი ქიმიის დოქტორის ხარისხსაც გულისხმობდა.

ამავე მასალიდან გავეცანით ინფორმაციას დავით სარაჯიშვილის იენას უნივერსიტეტთან კავშირისა და მიუნხენის პოლიტექნიკურ სასწავლებელში სწავლის შესახებ.

მისი დაბადების ზუსტი თარიღის დასადგენად ახალი მასალის მოიხსება საჭირო.

დავით სარაჯიშვილის მიერ კალენდარულ ავტობიოგრაფიაში თავისი დაბადების ადგილად ქართველთა რეგიონის დედაქალაქის და არა რუსეთის იმპერიის მითითებით, მისი პატრიოტული გრძნობის შესახებაც გვექმნება წარმოდგენა.

### დამოწმებანი:

**არქივი 73:** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივი, H-IV-102/73;

**არქივი 1:** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივი, H-IV-100/1;

**არქივი 72:** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივი, H-IV-102/72;

**დრულ 1986:** Dagmar Drüll, *Heidelberger Gelehrtenlexicon 1803-1932*.

**განრიგი 1871:** Anzeige der vorlesungen welche im Winter-halbjahr 1870-71 auf der

Grossherzoglich Badischen Ruprecht-Carolinischen Universität zu Heidelberg, ვებ-გვერდი  
<https://digi.ub.uni-heidelberg.de/diglit/VV1870WSbis1875SS/0047/image>

**ფონდი 441:** საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 441, აღწ. 1, საქმე 2243.

**ფონდი 441ა:** საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 441, აღწ. 1, საქმე 2473.

ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და მოაზროვნე ნიკოლოზ ბერდიავი გვთავაზობს მეტად საინტერესო შეხედულებას კარლ მარქსზე, რომელმაც, მისი აზრით, „... შექმნა ნამდვილი მითი პროლეტარიატზე. პროლეტარიატის მისია რჩმენის სიმბოლოა. მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა, არამედ რჩმენა და რელიგიაცა, სწორედ ამაშია მისი ძლიერება“ (Бердяев 2000: 27). ამ თვალსაზრისის ჭეშმარიტება აშკარაა მათ-თვის, ვინც მეტ-ნაკლებად კარგად იცის მარქსიზმ-ლენინიზმის დამკვიდრებისა და განვითარების კონკრეტული პრაქტიკა საბჭოთა სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც. მიგვაჩნია, რომ რუსი ბოლშევიკების ყოველდღიურ პოლიტიკაში სწორედ ეს იდეა ყველაზე უფრო აშკარად გამოვლინდა და რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული და მორალურ-ფსიქოლოგიური შედეგებიც მოიტანა. რამდენადაც ბოლშევიკების ნამდვილად ეგონათ, რომ აშენებდნენ ახალ, წარსულისგან რადიკალურად განსხვავებულ სამყაროს და პქონდათ ამ ახალი საზოგადოების ასაშენებლად კონკრეტული გეგმაც - მარქსისტული მოძღვრების სახით, მათ არ შეიძლება სერიოზული პრობლემები არ შექმნოდათ საზოგადოების იმ ჯგუფებთან, რომლებიც ტრადიციული სულიერი ფასეულობების საფუძვლებზე ზრდიდნენ ახალგაზრდა თაობას და აღიარებდნენ ტრადიციულ რელიგიურ მსოფლმხედველობათა ჭეშმარიტებას. აქედან გამომდინარე რელიგიურ კონფესიებთან დაპირისპირება გარდაუვალი იყო და ამ დაპირისპირებამ საქართველოში მეტად დრამატული ფორმები მიიღო.

საქართველოში ძალით დამკვიდრებულმა ახალმა ხელისუფლებამ ათეიზმი, როგორც თავისი იდეოლოგიური მრწამსის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი, თავიდანვე პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითად შემადგენელ ნანილად გაიხადა. უკვე საქრთველოს რევოლუციაში, ხელისუფლების უზურპაციასთანავე, სპეციალური დეკრეტით 1921 წლის 15 აპრილს სკოლა და ეკლესია გამიჯნა ერთმანეთისაგან და ქვეყანაში ფორმალურად სინდისის თავისუფლება გამოაცხადა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ ამით ბოლშევიკებმა ფაქტორივად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშე გამოაცხადეს (ვარდოსანიძე 2001: 59). ეს თვალსაზრისის სრულად არის დადასტურებული 1922 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში (Конституция 1972: 239), მაგრამ საბჭოთა იდეოლოგები ფიქრობდნენ, რომ ამ კონსტიტუციური პრინციპის დაცვა არ იყო აუცილებელი

ახალმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, თავისი „მებრძოლი ათეიზმი“ თავიდანვე ძირითადადლ ირი მიმართულებით წარემართა: 1. არსებული რელიგიური ცნობიერებისა და რელიგიური პრაქტიკის ყოველგვარი გამოვლენის ტოტალური ლიკვიდაცია; 2. მათი „ახალი რელიგიით“ - ახალი რჩმენა-ნარმოდებით ანუ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით ტოტალური ჩანაცვლება.

ამ ამოცანის შესრულებას ქართველი ბოლშევიკები საკმაოდ სწორად და საკმაოდ ენერგიულად შეუდეგი მეთოდების გამოყენებით:

საზოგადოების თვალში კონფესიების ავტორიტეტის მაქსიმალური შეღახვა გულისხმობდა არსებულ კონფესიებში შემნეული დარღვევების, ნაკლოვანებების, გადაცდომების საჯარო აფიშირებას, მხილებას და იმის დამტკიცებას, რომ „რელიგიის მსახურები არიან საზოგადოების წურბელები“. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ამ მიზნით ენცობოდა საზოგადოებრივი რევიზიები კონფესიებში, სააღრიცხვო დოკუმენტაციების შემოწმება, საფინანსო დისკიპლინის დარღვევის შემთვევების საჯარო განხილვები, რულიგიურ კულტთან დაკავშირებული ძვირადლირებული მატერიალური ნივთების დანაკლისების აღრიცხვა და ამ ფაქტების სააშკარაოზე გამოტანა. აუცილებელ ნორმად იქცა პარტიული, კომუნისტული და პროფესიონული ორგანიზაციების შინსახვომის, „ჩეკას“, „მუშგლებინის“ წარმომადგენელთა ერთობლივი რეიდები ტარებში, მეჩეთებსა და სინაგოგებში. შემოწმებების დროს საფინანსო და საინვენტარო აღნერები დიდ მონდომებით მონძღვებოდა: ქაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში კომისიამ დაადასტურა, რომ სპეციალურ წიგნებში დაფიქსირებული ძვირფასი სა-

კულტო ნივთები ადგილზე არ აღმოჩნდა, რომ შემოსული თანხებისა და სანთლების ხარჯვის შედეგები არ იყო გატარებული საბუღალტრო ნიგნში და ა.შ. და ა.შ. საბჭოთა კომისიამ ეკლესიას დაუფიქსირა დანაკლისი – 1 374 ათასი მანეთი (სუიცსა, ფ. 300, ს. 492: 50). დიდუბის ეკლესიაში აღმოაჩინეს 30 ფუნტის ძვირფასეულობა – ბრილიანტები, მარგალიტები, ოქროს ნივთები, რომელიც არ იყო აღრიცხული. ასეთივე შემოწმება ჩატარდა ხარფუხის ეკლესიაში, ბოდბის დედათა მონასტერსა და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში. შემოწმებას დაუკვემდებარეს საქართველოში კათოლიკური ეკლესიებიც – თბილის პეტრე-პავლეს ეკლესიის, გორის, ოზურგეთის, ბათუმის და სხვა კათოლიკური ტაძრების შემოსავლებსა და გასავალს, მატერიალური ფასეულობების შენახვის ხარისხს მუშ-გლეხინის წარმომადგენლები საგულდაგულოდ სწავლობდნენ (სუიცსა, ფ. 285, ს. 802: 15). შეამოწმეს მუსლიმური მეჩეთებიც – ახალციხის უდის თემის სოფელ კახარეთის მეჩეთში 1923 წლის 9 მაისს ზარბაზანიც კი აღმოაჩინეს (სუიცსა, ფ. 285, ს. 646: 121).

ათეიისტური მუშაობის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო სასულიერო პირებისათვის მოცვანამობისათვის აუტანელი პირობების შექმნა, რათა მათ თვითონ ეთქვათ უარი ღვთისმსახურებაზე. საზოგადოების პროკომუნისტურად განწყობილი ფეხების, ორგანიზაციების მხრიდან აუტანელი ზეწოლა, დაცინვა, შარქების გავრცელება ასეთი მუშაობის ყველაზე მსუბუქი ფორმა იყო. მოვიტანთ ერთ-ერთ დრამატულ მაგალითს: სამეგრელოს სოფ. კიცხის წმ. გიორგის ტაძრის მოძღვარი მამა აკაკი (გომუა) ადგილობრივმა კომუნისტებმა და კომეკუმინისტებმა სასტიკად ანამეს – სახლში შეუვარდნენ, ფეხებზე თოკი მოაძეს და გარეთ ისე გამოათრიეს. მას ჯერ ჭაში ჩაგდება დაუპირეს, შემდეგ გადაწყვიტეს, საჯაროდ შეურაცხოყოფა მიყენებინათ; ამის გაკეთება კი დაავალეს მისსავე აღზრდილს – ახალგაზრდა მღვდელს; ასეთი საჯარო დამცირების შემდეგ მოძღვარს აუკრძალეს ღვთისმსახურება.<sup>1</sup> იყვნენ მღვდლები. რომლებიც ვერ უძლებდნენ ასეთ სასტიკ მოპყრობას და მიდიოდნენ კომპრომისზე – გამოდიოდნენ კომუნისტურ პრესაში აღიარებითი ჩვენებით, უარს ამბობდნენ სასულიერო წოდებაზე და რელიგიურ რიტუალები მონაწილეობაზე და ა.შ.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი კონსტიტუციური უფლებების დაცვას. სილალის მკაფიორმა მღვდელმა დავით ბაქიაშვილმა საქართველოს მთავრობაში უჩივლა სილნალის რაიონმის ალმასკომის თავმჯდომარეს იმის გამო, რომ მან ძალით შეაწყვეტინა საეკლესიო პირებს მსახურება (სუიცსა, ფ. 284, ს. 811: 64).

ათეიისტური მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ტრადიციული კონფისიების შენით ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმართვა, გარედან გახეთებილების შეტანა, სასულიერო პირების ერთმანეთზე დაპირისპირება და ა.შ. მოსკოვიდან 1922 წელს ამ მიზნით სპეციალური ცირკულარიც კი გამოგზავნეს, სადაც ხაზგასმულია: „უნდა შეანჯღლით ხუცები. დაუპირისპირეთ ზედა და ქვედა ფენის სამღვდელოება“ (ГАСПИ РФ, ფ. 17, ი. 112, დ. 411: 3).

ამ ცირკულარის აღსასრულებლად საქართველოში მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა – ზოგიერთ ღვთისმსახურზე განხორციელდა სასტიკი ზეწოლა, მაგრამ იყენებდნენ სხვაგვარ ზემოქმედებასაც, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ზოგიერთ მაღალდ იერარქს შესთავაზეს გარკვეული პრივილეგიერებული მდგომარეობა, წაახალისეს მატერიალურად და დედა ეკლესიის წინააღმდეგ შეაგულიანეს (სუიცსა, ფ. 300, ს. 36: 10). სულ მალე შედეგიც სახეზე იყო – მაგალითად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ზოგიერთმა ეპისკოპოსმა დაიწყო რეფორმებზე საუბარი. მათი შეხედულებები ძალიან უახლოვდებოდა რუსეთში მიმდინარე ე.ნ. „განახლების მიმდრაობის“ იდეოლოგების თვალსაზრისს (ვარდოსანიძე 2001: 125). ზოგიერთი ქართველი საეკლესიო იერარქი აშკარად დაუპირისპირდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ხოლო ზოგი სასულიერო პირი ასეთი ოფიციალური განცხადებითაც კი გამოვიდა: „საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენი ეკლესია რუსეთის ტყვეობაში იყო და... რუსეთის ეკლესის ცოდვათა თანაზიარი გახდა. ეკლესია გაიყინა მკვდარ, და ძველებურ გარეგან ფორმათა შესრუ-

<sup>1</sup> აღნიშნული ფაქტი მოგვანდა მოძღვრის შვილიშვილმა ი. გელენავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ლებაში და ჩავარდა სწორედ იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა ფარისეველთა სექტა ქრისტეს დროს და რომლის წინააღმდეგ გაიღაშერა ქრისტემ“ (არაბიდე 2005: 23). ასეთმა დამოკდებულებამ, განსააკუთრებით XX საუკუნის 20-იან წლებში, სერიოზული პრლობლემები შეუქმნა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას.

დაიგეგმა ტრადიციული კოფესიების ტოტალური გაღატაცება იმ მიზნით, რომ მათ არ შეძლებოდათ მრევლისათვის გაეკეთებინათ ის, რასაც საუკუნეების მანძილზე აკეთებდნენ – გაელოთ ქრისტიანული გულმონყალება, შეექმნათ ტრადიციულ სულიერ ფასეულობაზე დამყარებული ახალი კულტურული და სამეცნიერო ფასეულობები და ა.შ. ლევ ტროცის მითითების თანახმად სხვადასხვა გამოგონებული მიზეზით (ვოლგის დამშეულთა დახმარება, „გოელონს“ ელექტროფიკაციის გეგმის რეალიზება და ა.შ.) კომუნისტებისა და კომედიირლების ჯგუფები მთლიანად ძარცვავდნენ ეკლესია-მონასტრებს, სამლოცველოებს, წმინდა ადგილებსა. მოვიტანთ ერთ მაგალითს: ახალციხის ეკლესი მონასტრებში უზარმაზარი მატერიალური ქონება შეგროვდა. ქედან ოქროსი და ვერცხის ნივთები ადგილზევე გაიყიდა და მან შეადგინა 688 070 000 მანეთი. აქედან 7 ფუთის მარტო ვერცხლის ნივთი იყო, ხოლო 191 გრამი ოქრო. თანხა გადარიცხეს ზაჰესის მშენებლობის ფონდში (ГАСПИ РФ, ფ. 17, ი. 3, დ. 411: 780). მსგავსი მაგალითებს მოტანა ძალიან შორს წავიყვანს.

ქართველმა ბოლშევიკებმა განიზრახეს საქართველოს დედა-ეკლესის დაობლება – იგეგმებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) მკვლელობა. ასეთი განცხადების საფუძველს მაძლევს მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ არქივში (ყოფილი იმელის არქივში) მიკვლეული მასალა – რკპ (ბ) პოლიტბიუროს სხდომაზე განხილულ ერთ-ერთ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი. პოლიტბიურომ, როგორც ოქმის შინაარსი მიანიშნებს, განიზილა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისაგან მიღებული დეპეშა, რომელშიც, როგორც ჩანს, ითხოვდნენ უფლებას კათოლიკოს პატრიარქი ამბროსი სიკვდილით დაესავას. უშუალოდ დეპეშას ჯერჯერობითც ვერ მივაკვლიერ ვერც მოსკოვში და ვერც თბილისის არქივებში, თუმცა ამ მიმართულებით კვლევა შეიძლება გაგრძელდეს. არ არის გამორიცხული, რომ ეს დეპეშა ინახებოდეს ი. სტალინის ჯერ კიდევ დახურულ ფონდებში. ოქმიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საკითხის მომზადება და პოლიტბიუროს სხდომაზე მისი გამოტანა დაევალა ი.ბ. სტალინს, რომელმაც თბილისიდან მიღებული დეპეშა, როგორც ჩანს, გააცნო პოლიტბიუროს წევრებს. ოქმში არ არის ასახული ამ თემაზე გამართული დისეუსია, გამომსვლელთა გვარები. მაგრამ არის დადგენილება, რომელიც ი. სტალინის მომზადებული უნდა იყოს: „პატრიარქ ამბროსის და საქართველოს სხვა სასულიერო წევრების მიმართ საჯელის უმაღლესი ზომი გამოყენება მიზანშენონილი არ არის, უპირველეს ყოვლისა საერთაშორისო ვითვარების გათვალისწინებით. გთავაზობთ 1. საჯელის გამოტანისას შემოიფარგლეთ 10 ნლის თავისფლების აღკვეთით; და ა.შ. (სუიცას, ფ. 284, რ. 1, ს. 215: 119).

ამ დადგენილებამ, მართალია, სიცოცხლე შეუნაჩუნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, თუმცა თავიდან ვერ ააშორა ციხეში რამდენიმე წლით გამოკეტა. ეს იყო პასუხი საქართველოს ეკლესის მეთაურის იმ პატრიოტულ ქმედებაზე, რაც მან გენუის საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორებისათვის თავისი ცნობილი მემორანდუმის გაგზავნის გამო ქართველი ბოლშევიკებსაგან დაიმსახურა.

საქართველოში ათეოისტურმა პროპაგანდამ განსაკუთრებული სასტიკი ფორმა სწორედ კათოლიკოს-პატრიარქ მბროსის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე ამ გაზავნილი მემორანდუმის შემდეგ მიიღო. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მიხეილ კახიანის საგაზეთო წერილი პირდაპირი მონადება იყო კომუნისტებისა და კომუნისტირლებისათვის ფართო მასშტაბით გაემალათ ათეიისტრი პრეტიკა და საფუძვლებივე აღმოეხვრათ რელიგიური ცნობიერების ყოველგვარი შემთხვევა.

რას სთავაზობდნენ სამაგიეროდ საქართველოს მოსახლეობას ქართველი ბოლშევიკები?

მარქსისტულ-ლენინურ ფასეულობებს! თავიდანვე აშეარა იყო, რომ კომუნისტური პარტია არ დაუშვებდა კონკურენტს ადამიანის სულისათვის ბრძოლის საქმეში. სწორედ ამ პარტიის იდეოლოგიური და პრაქტიკული პრინციპებიდან გამოდინარე მას ტრადიციული „მოძღვარი“ უნდა აღარ ჭირდებოდა. ის საბოლოოდ უნდა შეეცვალა „პარტიული

კომიტეტის მდივანს”, რომელიც ადამიანისათვის უნდა გამხდარიყო დამრიგებელიც, მასნავლებელიც და გზის გამკვალავიც. მიტომაც კომუნისტუბმა ტრადიციული რელიგიური ფასეულობების აღმოფხვრის პარალელურად დაიწყეს მათი ჩანაცვლების შეუქცევადი პროცესი. მაგალითად, ცდილობდნენ დაენერგათ კომუნისტრი ნათლობები, კომკავშირული ქორნილი, პროლეტარიატის საქმისადი თავდადებული ადამიანების კულტი, დაემკვიდრებინათ კომუნისტებსათვის მნიშვნელოვანი მემორიალური ადგილების მონაცენების პრაქტიკა და ა.შ.

არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ისიც, რომ ბოლშევიკებმა ძალიან ბევრი რამ თავის იდეოლოგიურ საქმიანობასა და პრაქტიკაში გადაიღეს სწორედ ტრადიციული რელიგიების გამოცდილებიდან – მათ მოიგონეს საკუთარი „რწმენის სიმბოლოები“. კომუნისტური „ღვთაების“ კულტი, კომუნისტი „წმინდანები“, „წმინდა ადილები“ და ა.შ. ყველაფერი ამის მიზანი იყო მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ჩამოშორება უფლისაგან, ტრადიციული რელიგიური და სულიერი ფასეულობებისაგან მოწყვეტა.

ამ საქმეში ბოლშევიკებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს – საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მებრძოლი ათეიზმის თეორია და პრაქტიკა თავის ცხოვრების წესად აქცია. ეს უკვე შესამჩნევია XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს. საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში თიქმის სულ არ არის შესწავლილი ყოფილი მრევლის ათეისტურ ბრძოლ მეტამორფოზის საკითხი: ხომ ცნობილია, რომ ეკლესიებს და მონასტრებს ანგრევდნენ, მღვდლებს შეურაცხყოფას აყენებდნენ – „კრეჭდნენ“, ზარებს ხსნდნენ, საეკლესიო ქონებას იტაცებდნენ არა კომუნისტური პარტიული ლიდერები, არამედ რიგითა ადამიანები – სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ანუ ყოფილი მრევლი, რომელიც ხშირად „პირად ინიციატივასაც“ კი ავლენდა. იმედია რომ ახლო მომავალში ეს პრობლემაც სათანადო იქნება შესწავლილი.

რა მიღო საზოგადოებამ მებრძოლი ათეიზმის კულტივირების შედევად?

1. საქართველოში დამკვიდრა დალადობის კულტი. სოფლის პრიკომუნისტური, რადიკალური ნაწილი შეესია ქართველი და არაქართველი თავადაზნაურობის ოჯახებს და ძირიფესვიანად გაძარცვა ისინი, იყო მკვლელობებიც. ამის მაგალითები უამრავია; ქაქუცა ჩოლოყიაშვილის ნათესავის, თავად იაშვილის ოჯახის დარბევა კახეთში ამის ჩინებული მაგალითია.

2. დამკვიდრდა მიყურადლებისა და თვალოვალის პრაქტიკა. „კომუნისტური პირდაპირობის სინდრომი“ აუცილებლად გულისხმობდა საკუთარი და გარშემომყოფთა ცხოვრების დაფარული მხარეების სააშეარაოზე გამოტანას; ამის მაგალითებიც უამრავია;

3. დაიწყო ტრადიციული ქართული ოჯახის ნგრევა. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული საოჯახო ტრადიციები გამოცხადდა ანაქრონიზმად. ბოლშევიკები თავისი საქმიანობის დასაწყისში საერთოდ აპირებდნენ ტრადიციული ოჯახის აფეთქებასაც – ბავშვის განცალკევებას თვალისაზრისა და სახელმწიფოს მიერ მის აღზრდას. მაგრამ ეს ვერ მოახერხეს ამ პროექტის კოლოსოალური ღირებულების გამო. თუმცა, მაქსიმალურად შეძლეს ტრადიციული საოჯახო ურთიერთობების შელახვა. ამის მაგალითებიც ბევრია.

4. მოხდა ქრისტიანული შრომითი ურთიერთობებისა და ტრადიციული შრომითი კულტურის ტოტალური განადგურება და ახალი, საბჭოთა შრომითი ურთიერთობების დამკვიდრება. დადასტურებული ფაქტია, რომ ქრისტიანული წეს-ჩვეულებების ნაცვლად კოლექტივისტური მეურნეობრიბის პრინციპების დანერგვამ დააწინა და გააღარიბა ქაციის შრომითი ტრადიცია. ამის მაგალითი ბევრია.

5. ღრმერთან კავშირის განწყვეტამ საქართველოში ზნეობრივა დეგრადაცია გამოიწვია. დამიანს აეკრძალა რა ეკლესიასთან ურთიერთობა, ის დარჩა მარტო ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან, რომელსაც მატერიალური და სულიერი ზემოქმედების უზარმაზარი არსენალი გააჩნდა. ქრისტიანული ფასეულობებისაგან განდგომამ გამოიწვია საზოგადოების დეზორიენტაცია, კორუფციის გავრცელება, მექრთამეობა, პროტექციონიზმი, გულგრილობა ადმაიანების პრობლემებისადმი. ამის მაგალითები ბევრია.

საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. აღორძინდა რელიგიური ცხოვრება, იმატა მრევლმა, დაფასდა ტრადიციული ფასეულობები. მაგრამ

ჩვენი წინსვლა დასახული მიზნისაკენ მაინც არ არის შედეგიანი, ჩვენს გარშემო უამრავი ნაკლია, ილახება ადამიანების უფლებები, ღირსეული დამცრობილია-დაჩაგრულია, შეურაცხყოფილია, უკეთური – ზეობს, გალალებულია. „ყუფარაძის სინდრომმა“ ლამის ნალექოს საქართველო. რატომ ხდება ესე, რა არის ამის მიზეზი?

ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვცემს მისი უნიმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ჩვენს მოხსენებასც მისი შეგვნებით დავასრულებთ: „ამპარტავნება ეს არის უბირველესი, უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს მეტნაკლებად ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამბარკოლებელი მიზეზი ღმერთთან ჩვენი მიახლოებისა... რა განაპირობებს მის განსაკუთრბულობას? უბირველეს ყოვლისა ის, რომ იგი შობს ყველა სხვა სიბილნეს... უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ადამიანმა შეიძლება დაძლიოს ყველა ცოდვითი მირეკილება და მიხვდეს, რომ ესა თუ ის ვნება აღარ ანუხებს, მაგრამ ამას ვერასოდეს იტყვის ამპარტავნების შესახებ. მან ყველგან და ყოველთვის შეიძლება დაგვიგოს მახე და მსწრაფლ განაქარვოს წლების მანძილზე ჩვენი ღვანლით მოპოვებული მადლი“ (საშობაო ეპისტოლე 2011: 4-5).

შევძლოთ პატრიარქის ამ შეგონების აღსრულება და ჩვენ საბოლოოდ დავამარცხებთ საქართველოში ათეიზმის ბატონობის ყველა შედეგს.

#### **დამონშებანი:**

**არაბიძე 2005:** ირ. არაბიძე, „განახლების მოძრაობა“ საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში. თბილისი.

**ვარდოსანიძე 2001:** ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მათლმადიდეულებელი ეკლესია 1917-1952 წწ., თბილისი.

**საშობაო ეპისტოლე 2011:** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. 2011 წლის საშობაო ეპისტოლე, თბილისი

**Бердяев 2000:** Н. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, *История России*, Москва.

**Конституция 1972:** Конституция ССР Грузии, *Образование Союза Советских Социалистических Республик*. Москва.

## რელიგიის აღქმა ქართულ კულტურულ და არელიგიურ ელიტაში საპროტა არიოდში

### ნატო სონდულაშვილი

1921-1991 წლები საქართველოს რელიგიული და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდია საქართველოსთვის. აქ შესაძლებელია გამოიყოს სხვადასხვა ქრონილოგიური მონაკვეთები, მოვლენები, რომლებმაც განსაზღვრა და გარკვეული გავლენა იქონია აღნიშნული პერიოდის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, რელიგიურ თუ კულტურულ მდგომარეობაზე. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მიმართული იყო მის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოების სრული დაქვემდებარებისაკენ, რისთვისაც მიმდინარეობდა აქტიური ბრძოლა როგორც იდეოლოგიურ დონეზე, აგრეთვე პრატიკული ხაბიჯებით.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას ქართველი ხალხი არ შეგუებია და დღიდან გასაბჭოებისა იწყებს ბრძოლას თავისუფლებისათვის. მთელი 1921-1991 წლების განმავლობაში საქართველოში მყოფი თუ საზღვარგარეთ არსებული ძალები, ბუნებრივია, ქართველების სახით იბრძვიან სხვადასხვა საშუალებით: ეს იქნება შეიარაღებული ფორმით თუ იდეოლოგიურად. შეიარაღებული გამოსვლებით, როგორც ცნობილია გამოირჩევა XX საუკუნის 20-იანი წლები. 30-იანი წლებიდან მოყოლებული კი უფრო თვალსაჩინოა ბრძოლა კულტურული, ეროვნული იდეოლოგიის ფორმით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ქართული ემიგრაცია. მთელი აღნიშნული წლების მანძილზე ქართველთა ბრძოლის ფორმები იცვლებოდა, თუმცა მიზანი უცვლელი იყო – თავისუფლების მოპოვება. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოპოვებისათვის ბრძოლაში დიდი ადგილი ეკავა რელიგიის საკითხის წინა პლანზე წამოწევას.

სარწმუნოება – რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას სამღვდელოებასთან. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მიზანს რელიგიის უარყოფა და მისი საზოგადოების ცნობიერებიდან ამოშლა წარმოადგენდა. სამოღვაწეო ას-ჰარეზზე გამოსვლიდან საბჭოთა იდეოლოგებმა სწორედ სამღვდელოების და რელიგიის დასუსტება-განადგურება დაისახეს მიზნად. გარდა იმისა, რომ მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა სასულიერო წოდებისათვის ეკონომიკური ბერკეტების გაუქმება, ზოგადად, რელიგიური გავლენის შესუსტება საზოგადოებაზე. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ანტირელიგიურ აგიტაციას და პროპაგანდას, რაც სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს მოსახლეობაში..... ჩვენი ვალია გავაძლიეროთ ყოველდღიური რელიგიის წინააღმდეგ, მასების ანტირელიგიურ აღზრდისათვის... მთავარი მიზანია განუმარტოთ მშრომელ მასებს რელიგიისა და ყოველგვარი რელიგიური დღესასწაულების და კერძოდ, აღდგომის სიყალბე~ (სუიცსა, ფ. 300, აღნ. 6, საქ. #8: 138). ამას ემატებოდა მეორე ფაქტორიც – სკოლის გამიჯვნა სამღვდელოებისაგან. საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე საქართველოში დამკიდრებული სისტემის შეცვლა. სკოლა უნდა ყოფილიყო, არა ეროვნული იდეების მატარებელი, რასაც ეკლესია ხელს უწყობდა, არამედ საბჭოთა იდეოლოგიის მთავარი დასაყრდენი.

საერთოდ, განათლების ფაქტორს ერთს არსებობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თანამედროვე ნაციისთვის სკოლის და ზოგადად, განათლების როლი ორმაგად მნიშვნელოვანია. ეს არის ადგილი, სადაც ახალგაზრდობა ეცნობა საკუთარ ეროვნულ ისტორიას, ტრადიციებს და ამასთან ეუფლება სხვადასხვა საგნებს, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მათი ეროვნული ცნობიერების ამაღლებას. თუმცა, საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აეთებდა იმისთვის, რომ სკოლა საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა.

მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის ამგვარი დამოკიდებულებისა სამღვდელოებისადმი ქართველი ერი და კერძოდ, ეროვნულად მოზროვნე ქართული კულტურულ-პოლიტიკართველი ერი და კერძოდ, აცნობიერებდა ქრისტიანული რელიგიის და ქართველი სასულიერო წოდების დიდ როლს საქართველოს ისტორიაში. „ვინ დათვლის? ვინ ანონავს ჩვენი წმინდა მამების დვანლა და ამაგს? როგორი მუყაითობით, მძიმე მშრომით და დაუშრეტელი ენერგიით შექმნეს ქართული, ეროვნული კულტურა და ის ქრისტიანული

ცივილიზაციის უძველეს ერთა შორის პატივითა და დიდებით შეიყვანეს... ჩვენი ისტორიის ყველა ეპოქაში, როცა კი ერი განსაცდელის პირისპირ იდგა; გამოჩენდებოდნენ ხოლმე ითანა საბანისძენი, იყობ ხუცესები და ქართველ ხალხს სწორედ მაშინ მისცემდნენ სულიერ საზრდოს და ზნეობრივი ძალის საჭედ გრდებოდნენ ჩაქუჩის მაგრად დაარტყამდნენ. ჩვენი ერის რჩეული შვილები მაღალი შთაგონებით თავიდანვე მიხვდნენ, რომ ერის სულიერ-ზნეობრივი ძალის საფუძველი ქრისტიანული მორალია: სათნოება, სიკეთე, სიყვარული და კეთილშობილი მაპატიებელი ბუნება: ადამიანის ღირსების დაცვა და დაფასება... ერის ზოდება არ იქმნება მისი მრავალრიცხოვანობით, არც იარაღის ჩხარუნით, არამედ და მხოლოდ, მისი ზნეობრივ სულიერი მორალით, სათნოებით, შემწყნარებლობით, კეთილშობილებით და მაღალი იდეებისადმი მიძღვნილობით. ეს დაანათლა საქართველოს ქრისტიანიზმა და ჩვენმა წმინდა მამებმა ჩვენი სამშობლო უძლეველ და უკვდავ ქვეყნად აქციეს ქრისტიანულ სათნოებასთან ზიარებით" (გაზ. ქართული აზრი, # 74, 1956: 1).

ლეო კერესელიძე უურნალ „გუშაგში“ 1985 წელს წერდა: „მიუხედავად პოლიტიკური დანანილებისა და პროვინციალური განკერძოებისა, საქართველოს ცხოვრებათაგან შესაძლებელია დიდი სინთეზების გამოტანა. მათ შორის ერთ-ერთია ეკლესია. ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ უამთა განმავლობაში მიიღო თავისი განსაკუთრებული, ინდივიდუალური სახე. დიდად განსხვავებული ბერძნული—ანტიოქიის, სომხურ და სხვა ეკლესიათაგან. მას ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ქართული თვისებები და ბუნება, ქართული სული, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაშიც კი რუსეთის ბარბაროსულმა ეკლესიამ ბიუროკრატიული სინოდით ვერ ამოხადა. ეს ქართული სული მას ქართველმა ხალხმა ჩაუდგა. ქართველმა ხალხმა თავისი საერთო ეროვნული შემოქმედებით მიანიჭა თავის ეკლესიას ის ზნეობა და ტრადიცია, რაც საერთო ქართველი ერის ზნეობრივი შეგნების, ბუნების და თვისებათა ნაყოფი იყო. ამიტომ ქართულ ეკლესიას პროვინციალური კოლორიტი ნაკლებად ჰქონდა. არამედ, არსებობდა მხოლოდ წმინდა, საერთო ქართული ტიპის ქართული ეკლესია“ (კერესელიძე 1931: 2).

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი იწყება, რასაც ხელი შეუწყო საერთამორისო ვითარებამ. მართალია, ეროვნულად მოაზროვნე ქართული პოლიტიკური და კულტურული ძალები საბჭოთა რეჟიმის დამყარების დღიდან ახორციელებდნენ სხვადასხვა გეგმებს, თუმცა რეალური შედეგი ამას არ მოჰყოლია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერებული საბჭოთა რუსეთი უკვე აღარ აწყობდა დასავლეთს და ამიტომ აქტიური ნაბიჯებს გადადგმას იწყებს აღნიშნულის აღმოსაფხვრელად. ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრე. დავამატებ იმას, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველები ამ ვითარების გამოყენებას შეეცადნენ. ამას ემატება ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა ახალგაზრდობა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდობას ეროვნულად მოაზროვნე ძალები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამიტომ მათი ასეთი გააქტიურება დასახული მიზნების განხორციელებისაც იყო მიმართული. სამოციან წლებში არსებული კომუნისტური წეს-წყობილების მიმართ სიძულვილის გამოხატვის ფორმას საქართველოში ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის ეკლესიისადმი მისწრაფება წარმოადგენდა. განსაკუთრებით ეს ვლინდება სააღდგომო დღესასწაულების დროს. ამ დღეებში ეკლესიები გავსებული იყო ხალხით. ახალგაზრდობამ დაიწყო პატრიარქის ქადაგებებზე დასწრება“ (გელოვანი 1985: 1).

II მსოფლიო ომის გამოხატულება იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღმავლობა. მომის და შემდგომ წლებში ეკლესია მაქსიმალურად აქტიურდება, რამაც დადებითი გავლენა იქონია ეროვნულ მოძრაობაზე.

საქართველოს ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდებში, როგორც ცნობილია მართლმადიდებელი ეკლესია გამაერთიანებელ როლს თამაშობდა და საუკუნეების მანძილზე სწორედ ის ახერხებდა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას. ქართულ სინამდვილეში საბჭოთა სისტემის პირობებში ეკლესია შეზღუდული აღმოჩნდა. ამ მხრივ მეტნაკლებად გააქტიურდა II მსოფლიო ომის და შემდგომ პერიოდში.

II მსოფლიო ომის შემდეგ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას მეტი შესაძლებლობა მიეცა ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამას ემატებოდა

აგრეთვე ზემოთ განხილული მოვლენები, რამაც საბოლოო ჯამში საბჭოთა რეჟიმი აიძულა გარკვეულ და ომობრებზე ნასულიყო. 1978 წლიდან საქართველოში გამოსვლას ინკუბს საპატრიარქოს უურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესის იდეებს გამოხატავდა და საზოგადოებას საკუთარი ეკლესის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. „ქართველი ხალხი ამ ცხოველმყოფელი პურით (იგლისხმება ქრისტიანობა – ნ.ს.) იკვებებოდა პირველი საუკუნიდან, ამ პურის მადლმა მოგვანიჭა ყველა სიკეთე, ამ პურის მადლმა აღაშენა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, მცხეთის ჯვარი, ბოლნისის სიონი, ათონის ივერიის მონასტრის გასაოცარი კომპლექსი, გელათი და სვეტიცხოველი და ბევრი სხვა. ამ პურის ცხოველმყოფელმა მადლმა ჩამოიყვანა საქართველოში ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და წმინდა ნინო, იგივე მადლი ეზიდებოდა ჩვენი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში ქართველ ბერებსა და მონაზენებს, რათა მათ იქ სხვებისათვის ეთქვათ „სიტყვაი ღვთისა“ (უურ. ჯვარი ვაზისა 1980: 37). ამიტომ უურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“ 1974 წელს ქართულ საზოგადოებას მოუწოდებდა: „საჭიროა მთელი ქართველობის მობილიზაცია, ყველა ქართველს კარგად უნდა ესმოდეს, რომ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ამჟამად, ერთადერთი ეროვნული დაწესებულებაა, რომელიც ქართველი ერის თვითხელმწიფებას განაპირობებს, სხორცედ ამიტომ ჩვენი დამპყრობლების უურადღება მიპყრობილია მის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ, მთელი ქართველობა უნდა აღსდგეს, როგორც ერთი კაცი მის დასაცავად. არ მისცეს მტერს ნება, არც მისი ფიზიკურად მოსპობის და არც მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის“ (თავისუფლების ტრიბუნა 1974: 7).

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი იარაღი ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება და განვითარება იყო. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი ერთადერთ გამოსავალს იდეოლოგიური ბრძოლა წარმოადგენდა. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები ევროპიდან და ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენცია საქართველოში მიზანმიმართულად ცდილობდა ყველა ლონე ემარა, რათა ქართველობა ერთიანი ყოფილიყო ცოდნის საშუალებით. შეიარაღებული გამოსვლის შეუძლებლობის პირბებში, ისე როგორც ხდებოდა XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, როდესაც ეროვნულად მოაზროვნე ნანილი გადავიდა ბრძოლის ახალ ფორმებზე, კულტურით, ცოდნით და ერთიანობით მოეპოვებინა საქართველოს თავისუფლება, დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულება ჩანს XX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველო-ში. ეროვნულად მოაზროვნე ქართველთა ნანილი ქართულ საზოგადოებას მუდმივად მოუწოდებდა საქართველოს თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლისკენ. ამ პროცესში კი მთავარი როლი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა ეთამაშა.

საბჭოთა სისტემამ საქართველოს ოკუპაციიდან მოყოლებული განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. სხვადასხვა მეთოდების გამოყენების საშუალებით საბჭოთა ხელისუფლება ყველა ლონეს ხმარობდა დასახული მიზნის მისაღწევად და ავტოკეფალური ქართული ეკლესის დასუსტებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობდნენ ქვეყნის ინტერესების დაცვას საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის პოპულარიზაციას ემსახურებოდა მიზნად საქართველოს უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრის, რომში მთავრობის წარმომადგენლის რაფიელ ივანი კვი-ინგილოს მოღვაწეობა, რაც კარგად არის აღწერილი მის მიერ აკაკი ჩხერიელისადმი გაგზავნილ წერილებში 1927-1928 წლებში. ერთ-ერთ მიმართვაში აღნიშნულია: „... მე მანც ვსარგებლობ იმ გარემოებით, რომ გერმანული სამღვდელოების გავლენა დიდია ვატიკანში და მასში კი მეგულებიან კეთილისმსურველი და მეგობარიც. ამ მხრივ ცდას არ აკლებს ვისადენელი გავლენიანი ბენედიქტელი აბბატი graf galen -ი (ბენედიქტელები, როგორც ლიტურგისტები, ცნობილი არაან თავისი სიმპატიური განწყობილებით ორიენტაციური ეკლესისადმი. მათსავე ორდენს ანინდელი პაპის მიერ სპეციალი მინდობილობა აქვს მიცემული მუშაობისა ეკლესიათა დაახლოებისათვის). გერმანელები მოქმედებენ სტატის-სეკურეტარი კარდინალი გასპარის საშუალებით (სხვათა შორის ამათ გავლენას მიაწერენ პაპის განკარგულებას ‚აქსიონ ფრანსესის ~ წინააღმდეგ) – უპირველესი იდეა, რაც ასულდებოდა ჩემს საეკლესიო მუშაობას საზღვარგარეთ, არის საქართველოს ეკლესის პოპულარიზაცია და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ რო-

გორც უნინ გერმანიასა და ავსტრიაში, ეხლაც აქ – იტალიაში – ზოგი რამ ჩვენი ეკლესიის სასარგებლოდ გაკეთდა, ყოველ შემთხვევაში მის თანამგრძნობთა რიცხვი იზრდება, ხოლო ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საპერსეპტივოდ. ძალიან სამწუხაროა, რომ ჯოვანეთურ პირობებში ჩაყენებული ჩვენი ეკლესის მმართველი პრაქტიკულად მოკლებული არიან საშუალებას თვითონაცი. გააბან კავშირი აქაურ დაწესებულებებთან” (სცსა, 1831, აღნ. 2, საქ. #309:4, 5).

1928 წლის 20 ოებერვალს რაფიელ იგანიცი-ინგილოს მიერ გაიგზავნა წერილი რომის პაპის სახელზე, სადაც აღნერილია ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ: „... რომ ნარმოსადეგნი გახდეს მთელი საშინელება საქართველოს ეკლესის მდგომარეობისა, საკმარისისა თუნდაც მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ საქართველოს დაპყრობის შემდეგ კომუნისტებმა ორი პირველი წლის მანძილზე გააუქმეს 500-ზე მეტი საყდარი, რომელთა უმეტესობა მათ მიერ შეგინებულ იქნა, ხელისუფლების სპეციალი დეკრეტით ეკლესის წარმეული აქვს უძრავ ქონებაზე მფლობელობის უფლება. ამას გარდა, კომუნისტებმა ეკლესის მოძრავი შენობის ექსპროპრიაციაც მოახდინეს „საეკლესიო განძეულობათა ჩამორთმევის“ სახით. ქართულ ეკლესის აყრილი აქვს უფლება საკუთარი სასწავლებლების გახსნისა კულტის მსახურთა მოსამზადებლად, კომუნისტურ სკოლებში კი, როგორც ცნობილია, სწავლების სისტემა დამყარებული არის მატერიალისტურ-ათეიისტურ პრინციპზე და მოზარდ თაობას სარწმუნოებისადმი მტრობა და სიძულვილი ენერგება. კომუნისტური ძალაუფლების ეს უკანონო მოქმედებანი და საზოგადოთ მათ მიერ გამოწვეული ცხოვრების უწესობანი ჩამოთვლილია სპეციალ მემორანდუმში, საქართველოს ეკლესის მეთაურმა 1922 წლის ჯენოვის (იგულისხმება გენუა – ნ. ს.) საერთაშორისო კონფერენციას რომ წარუდგინა.

გარნა ყველივე ეს არ იქმნა კმასაყოფელად მიჩნეული: კომუნისტური ღვთისმგმობელი ხელი შეეხო განსაკუთრებულად პატივცემულ ცნობილ სარწმუნოებრივ ცენტრებსაც, რომლებიც უძველეს უამთაგან წარმოადგენდნენ მთელი ქართველი ხალხის უღრმეს სასორებისა და თაყვანისცემის საგანს. მათ აიკლეს და გააუქმეს სხვათაშორის როი უმეტესად გამოჩენილი მონასტერი: ბოდბისა (აღმოსავლეთ საქართველოში), სადაც ასვენია ცხედარი საქართველოს მოციქულის წმინდა ნინოსი (338) და მონამეთისა (დასავლეთ საქართველოში); უკანასკნელში მთავრობის მიერ წაქეზებულმა ბრძომ შებილნა განსასვენებელი მე-VIII საუკუნეში არაბთა მიერ წამებულთა არგვეთელთა მთავართა ძმათა დავით და კონსტანტინე“ (სცსა, 1831, აღნ. 2, საქ. #309:11).

საბჭოთა ხელისუფლების არ ერიდებოდა არანაირი მეთოდის გამოყენებას სასულიერო წოდების უფლებების შესაკვეცად და ეკლესიებზე ეონტროლის მოსაპოვებლად. როგორც უკვე აღვნიშენ, საბჭოური რეჟიმი სარწმუნოების და კერძოდ, ქრისტიანული რელიგიის მიმართ განსაკუთრებული წეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებასთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლები არ ერიდებოდნენ ეკლესიების ძარცვას. ამასთან დაკავშირებით დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვალენტინა ფაილოძე უურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში აქვეყნებს სტატიას სათაურით „ეკლესია და კომუნისტები“, სადაც ამგვარ ფაქტზე საუბარი. „სოფელ წაკანში, 1974 წელს უცნობმა პირებმა გაძარცვეს ეკლესია, მილიცია დიდხანს ამაღლ „ეძებდა“ მძარცველებს. თუმცა შემდგომში ამ სოფლის მცხოვრებლებმა ზოგიერთ ხატი მესტიის მუზეუმში იხილეს. /1966 წელს მესტიის წმინდა მთავარანგელოზის ეკლესიიდან გაიტაცეს ძვირფასი სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც საზღვარგარეთ მოხვდა, საიდანაც იგი ქართველმა ემიგრანტებმა დააბრუნეს/. სვანები იმანაც აღაშფოთა, რომ წმინდა გიორგის ტრადიციული დღესასწაული მთავრობამ ძალმომრეობით გადაატანინა 3 მაისიდან 9 მაისს, ე. ი. გამარჯვების დღეს.

მესტიის რაიონულ ცენტრში 1976 წელს უცნობმა პირებმა გაძარცვეს აგრეთვე მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც მარგანების გვარს ეკუთვნის. წალებულია 21 ძვირფასი ხატი. დანარჩენი ხატები მუზეუმში გადაიტანეს. ხელისუფლება არავითარ რეალურ ზომებს არ მიმართავს დამნაშავეთა აღმოსაჩენად. დაახლოებით იმავე დროს გაიძარცვა მაცხოვრის ეკლესია სოფელ მულახში, წალებულია 9 ხატი. იქვე მაცხოვრის ეკლესიაში, რომელიც მადლიანთა გვარს ეკუთვნის, მოხუც მცველს აქვს სამალავი, სადაც

ხატებია შენახული. მთავრობა ცდილობს აიძულოს იგი ჩაბაროს ხატები, მაგრამ იგი არ თანხმდება, ხალხი ერთობ აღშფოთებულია ამგვარი აქციების გამო. სვანებს მიმჩნიათ, რომ ეკლესიებს თავად კომუნისტები ძარცვავენ, ვინაიდან ხალხი ნებაყოფლობით არ აბარებს ხატებს” (შსს, ფ. 6, საქ. #29218-78, ტ. 8:71).

1974 წელს სააღდგომო დღესასწაულზე სხვადასხვა ეკლესიებში სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მლოცველებს. „სიონის ტაძართან სპეციალური შტაბი იყო მოწყობილი, სადაც აგრეთვე ახალგაზრდების დაკითხვა მიმდინარეობდა. დაკავებულთა შორის იყვნენ: ვ. ქურციკიძე – პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, გ. გედევანიშვილი – უნივერსიტეტის მესამე კურსელი სტუდენტი, ე. ვასილიევა – გზათა მშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, მ. ვასილიევა – ტრიკოტაჟის მეორე ფაბრიკის მუშა ქალი, ლ. ნედოსევინა – სამოცდამეხუთე პროფექსიასწავლებლის მოსწავლე, ე. ბაბილოვი – მესამე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, სათამაშოების ფაბრიკის მუშა – ნ. მალახიევა, მეათე კლასის მოსწავლე – გ. ჩიბურდანიძე, სამოცდამეერთე საშუალო სკოლის მეათეკლასელი – გ. უზილაშვილი, კამოს სახელობის მექანიკური ჩამომსხმელი ქარხნის მუშა – მანჯავიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მბეჭდავი ქალი – დ. დადვაძე, წიგნების გამყიდველი ქალი – თ. ოჩიგავა, პედაგოგი – ნ. დუღაშვილი დით დ. დუღაშვილით, მათი მეგობრები – ნ. ზვიადაური, ო. მეტრეველი, ოთხმოცდამეშვიდე საშუალო სკოლის მეორე კლასელი გოგონა – ნ. მეტრეველი, ონის რაიონის საშუალო სკოლის მეათეკლასელი გოგონა – რ. ჩიკვაძე, უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გოგონა – გ. ტყებუჩავა, ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, კომკავშირელი – თ. თვარაძე, ეთერზეთების ქარხნის ყოფილი მუშა გოგონა – დ. ცომაია, გამომთვლელ მანქანათა ქარხნის უფროსი ინსპექტორი კადრების განყოფილებაში – ლ. პოჩიკალო, კომკავშირლები: გ. სირაძე, მ. სულავა და ა. შ.“ (შსს, ფ. 6, საქ. # 29237-79, ტ. 7:163).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებისთვის ბრძოლას დიდი ადგილი ეკავა დისიდენტური მოძრაობის წარმომადგენლებში. ქართველი დისიდენტების მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად საქართველოს სრული თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. მათ სამოქმედო პროგრამაში შეიძლება ითქვას დიდი ადგილი ეკავა კუველა იმ საკითხს, რომელსაც საბოლოო ჯამში საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მიყავდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ისინი ხშირად აკრიტიკებდნენ სამღვდელოებას ეკლესიის სრულყოფის მიზნით. ამასთან ცდილობდნენ არ დაეშვათ საბჭოთა რეზიმის მომხრე პირების გაძლიერება და დამკვიდრება ეკლესიაში. 1975 წელს ურნალ „ოქროს სანმისიში“ ელისაბედ ქავთარაძე სტატიაში „ქვეყანა დაკარგული საფლავებისა“ აღნიშნავდა: „რელიგია ხომ უფრო თავდაცემის დროშა იყო, ვიდრე ცეცხლით და მახვილით ღმერთმსახურობა, აზრის მეტაფიზიკური მნვალებლობა, მისტიკურ ჭრეტის ბინდ-ბუნდები და ასე შემდეგ. თვით ჩვენი ეკლესიაც თავიდანვე ცეცხლის ხაზზე იყო გამოსული. უმაგალითო მსხვერპლის გაღებით იგი გვერდში ედგა არაქათგამოცლილ ხალხს ბრძოლა-გადარჩენის მძიმე საქმეში, უდიდესი წვლილი შექონდა ეროვნული კულტურის საგანძურებში და უფრო მეტიც: ცონბიერეად თუ შეუცნობლად, ეროვნული გამძლეობის ერთ-ერთი კატალიზატორის როლი მან შესასრულა“ (შსს, ფ. 6, საქ. #29218-78, ტ. 44:210). სწორედ ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლებამ მთავარი დარტყმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიაყენა. 1976 წლისთვის საქართველოში ასეთი მდგომარეობა იყო. „... ეკლესიას თანდათან შეუმცირდა მრევლი, ეკლესიები იკეტებოდა ზედიზედ, 35 მოქმედი ეპარქიიდან 100-მდე საეკლესიო პირია /ყველა თანამდებობის/, კურსებში სწავლობს ყოველწლიურად 13 კაცი. საქართველოს ეკლესიის უკიდურეს ჩაგვრაზე და დისკრიმინაციაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დღემდე საქართველოში არ არსებობს საეკლესიო ურნალი, მაშინ როდესაც ასთი ურნალები არსებობს რუსეთში, სომხეთში, ბალტიისპირეთში და უკრაინაში. საქართველოს ეკლესიას არ აქვს არავითარი პუბლიკაციების უფლება /გარდა კალენდრისა/, არ არსებობს სასულიერო სემინარია, ხოლო ის კურსები, რომელიც მის მაგივრობას სწევენ, ახალგაზრდებს არაფერს ასწავლიან გარდა საეკლესიო რიტუა-

ლისა და ხუცური ანბანისა /ფიქტიურად არსებობს დანარჩენი საგნები: ეკლესიის ისტორიის, საღვთო წერილი და სხვა, თუმც ლექციები ამ საგნებში არ იყითხება/. კურსებზე სწავლობს ყოველწლიურად 13-მდე კაცი, ხოლო თვითეული გამოშვება უდრის სამსახურის მირს" (შსს, ფ. 6, საქ. # 29218-78, ტ. 8:23, 24).

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლიდან მოყოლებული ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ პრძოლა აქტიურად მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, თუმცა როგორც საქართველოში მყოფი ეროვნული ძალები, ასევე საზღვარგარეთ მყოფი ქართული პოლიტიკური ელიტა ცდილობდა არ დაეშვათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასუსტება და ქვეყანაში თუ მსოფლიოში შექმნილი მოვლენების გამოყენებას მაქსიმალურად ესწრაფვიდნენ ეროვნული იდეის დაცვის და განმტკიცების თვალსაზრისით.

### დამოწმებანი:

**გელოვანი 1985:** გ. გელოვანი, ეროვნული მოძრაობა საქართველოში (მოკლე მიმოხილვა), გუშაგი, #5.

**თავისუფლების ტრიბუნა 1974:** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა, თავისუფლების ტრიბუნა, #6.

**კერძესლიძე 1931:** ლ. კერძესლიძე, მიზეზი საქართველოს დაცემისა, თეთრი გიორგი, #38.

**სუიცა ფ. 300:** საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 300.

**სცა ფ. 1831:** საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831.

**შსს ფ. 6:** შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6.

**ჯვარი ვაზისა 1980:** თეოლოგიური წერილები, I, სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, ჯვარი ვაზისა, #1

## ეთნო-რელიგიური პროცესები მასში XVII-XIX საუკუნეები

ლავრენტი ჯანიაშვილი

მესხეთი ჭოროხისა და მტკვრის ზემო წელზე მდებარე ქართული პროვინციების კურებითი სახელია. ეს პროვინციები უძველესი დროიდან მჭიდრო კავშირში იყვნენ საქართველოს სხვა რეგიონებთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართული სახელმწიფო ორგანიზმის გამართულად ფუნქციონირებაში. 1739 წ. (ზოჰაბის ზავით) მესხეთი ოსმალეთმა დაისყრო, საკუთარ ადმინისტრაციულ სტრუქტურაში შეიყვანა და გეგმაზომიერად დაიწყო მოსახლეობის ეთნოკულტურული ტრანსფორმაცია.

ოსმალური სახელმწიფოებრივი იდეა არაბულზე ეთნოცენტრისტული და ნაციონალისტური იყო. თურქებმა შედარებით გვიან მიიღეს ისლამი, ნაკლებად იცნობდნენ არაბთა ხალიფატის სახელმწიფოებრივ სისტემას, მრავალწახნაგოვან კულტურას და ოკუპირებულ რეგიონებშიც არაბებზე სასტიკად იქცეოდნენ. ლოზუნგით – “სიკვდილი ურნმუნოებს” – თურქები არა მარტო ქრისტიანებს ავინორებდნენ, არამედ არც ერთმორწმუნე სპარსელებს და არაბებს ინდობდნენ (Нарочиницкая). დაპყრობილ ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობდა ასიმილაციის პროცესი, რაც პირველ რიგში ფეოდალური ზედაფენის გადაბირებასა და გამუსულმანებაში მდგომარეობდა. თურქები ეფექტურად იყენებდნენ ერთის მხრივ ამკარა ძალმომრეობას, მეორე მხრივ კი ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ბერკეტებს. ოსმალური პოლიტიკის ძალისხმევითა და მოღალატე ფოდალების მხარდაჭერით ფართო გასაქანი მიეცა ისლამის განვითარებასა და ოსმალური ცხოვრების წესის დამკვიდრებას (ლომსაძე 1975: 293; Еремеев 1971: 142-149).

“მიუხუნეს ოსმალთა სრულიად მამულ-შენირულობანი და აღარვინ იყო მეტრფე მონიზნობისა და წარაქუნდათ მუნიდან სინმინდენისათა, ჯუართა და ნანილთა ... რამეთუ არლარა იყო ეპისკოპოსი ანუ მონასტერი, ვინათებან რისხუითა ღოუისათა გამაჰმადიანდებოდნენ ყოველი წარჩინებული ამ ქუეყნისანი და დაიწყეს მიერით თათრობა” (ბაგრატიონი 1973: 726).

მესხეთის მკვიდრნი დევნისა და შევიწროების უამრავ ფაქტს იხსენებენ. გამუსულმანების მიზნით ხელისუფლება არც ქრისტიანების წამებას ერიდებოდა. მოსახლეობის ნაწილი რჯულს იცვლიდა, ზოგი საქართველოს სხვა მხარეებში გარბოდა, სხვა კი დროებით თავშესაფრებში “დარანებში” დამალვით შველოდა თავს

“ჩიდზე რომ გადმოიხართ სხვილისში მანდ ხალხი აფარებდა თავს, გამოქვაბულში, (დარანებში) რადგან ფაშა გახურებულ რკინის ქუდებს ახურავდა თავზე ვინც არ გათათრდებოდა. ურაველშიც და სხვაგანაც არის ასეთი გამოქვაბულები სადაც თათრებს გაქცეული ხალხი შველოდა თავს” (საველე მასალა)

დარანები თავდაცვის სისტემის სხვა ელემენტებისაგან განსხვავებით ძნელად შესამჩნევი იყო და ამიტომ უფრო უსაფრთხოდ ითვლებოდა. ასეთი საიდუმლო საცხოვრებელ-სამალავები მიკვლეულია მესხეთის სოფლებში: ზველში, ჭობარეთში, ხიზაბავრაში, საროში, გორთულბანში, ჭეჭლაში და სხვა სოფლებში (ჩიქოვანი 1987: 66).

განსაკუთრებულ შევიწროებას განიცდიდნენ ქრისტიანი ლეთისმსახურები. მრავალი მათგანი შეენირა სარწმუნოებას. 1713 წ. ახალციხეში საქვეყნოდ დაახრჩვეს არქანდრიტი ელისე. 1805 წელს ახალციხის ფაშამ სიკვდილით დასაჯა ეპისკოპოსი დესპოდე, მღვდლები – ვასილ ორბელიანი და გრიგოლი (ჭიჭინაძე 1906: 4-10) და ა.შ.

ყველას კარგად ესმოდა, რომ მუსულმანობის მიღება “გათათრებას”, ქართველობის დაკარგვას, ნიშნავდა. თავდაპირველად ყოფილი სამცხე-საათაბაგოს დიდგვაროვნები გამუსულმანდნენ, გლეხები კი კვლავაც ქრისტიანებად რჩებოდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში წარჩინებულთა სასაუბრო ენა თავყრილობების დროს “თათრული” (თურქულოსმალური ლ.ჯ.) გამხდარა, თუმცა ოჯახებსა და მეგობრებთან ისინი კვლავ ქართულად დაპარაკობდნენ. შეიცვალა მატერიალური კულტურის ზოგიერთი ელემენტიც. მუსულ-

მანი დიდებულები ოსმალურ ტანსაცმელში იმოსებოდნენ, ხოლო ქრისტიანები ბერძნულის მსგავსში (ბაგრატიონი 1973: 660-661). თურქების ეროვნულმა, რელიგიურმა და სოციალ-ეკონომიკურმა ძალადობამ ამ მხარის ქართულ მოსახლეობაში ძლიერი მიგრაციული პროცესები გამოიწვია. ზემო ქართლი ნასოფლარებით გაივსო. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ თანახმად XVI საუკუნის ბოლოსათვის სამცხე-ჯავახეთში 1213 დასახლებული პუნქტი და 364 ნასოფლარი ყოფილა (ჩიქვანი 1987: 51) მხოლოდ ჯავახეთში 153 სოფელი და 102 ნასოფლარია დაფიქსირებული. სამცხიდან გადასახლება მიმართული იყო ძირითადად დასავლეთ საქართველოსაკენ (გურია, იმერეთი), ჯავახეთიდან კი აღმოსავლეთ საქართველოსაკენ (თოშჩიშვილი 2000: 9-10).

„„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თურქების გაბატონებამდე მესხეთში მხოლოდ მცირერიცხვანი არაქართველი მოსახლეობა (სომხური, თურქული და ქურთული ნარმომავლობის) ცხოვრობდა და ქართული ეთნიკური ერთეულის აბსოლუტური უმრავლესობა უჭივს არ ინვერს (ჯიქია 2004: 284/)

ოსმალეთის ხელისუფლების ძალისხმევით დაიწყო მესხეთში მუსლიმანური „ჯამა-ათის“ მომრავლება. ისლამის მიმდევარი არაქართული ჯგუფების დამკიდრება ერთის მხრივ, უზრუნველყოფდა დაპყრობილ მინაზე თურქული ეთნიკური საყრდენის გაძლიერებას, მეორეს მხრივ, აჩქარებდა ძირძევლი ქართული მოსახლეობის კონფესიურ ტრანსფორმაციას. აქ მკვიდრდებოდნენ, თურქების შიდა რეგიონებიდან შემოყვანილი მუსულმანი ღვთისმსახურები, ოსმალური ადმინისტრაციის მოხელეები, ჩრდილო კავკასიული მთიელები და თურქმანული მოდგმის მომთაბარე ელები, თუმცა არაქართველები კვლავ უმცირესობაში რჩებოდნენ და სულ მოსახლეობის 10% თუ შეადგენდნენ (ჯამშვილი 1984: 67).

გათურქება-ისლამიზაციის პროცესს ხელს უწყობდა თურქულ სამეურნეო სისტემაზე გადასვლა. XVI საუკუნის ბოლოსათვის, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, დასახელებულია მინის მფლობელობის თურქული ტერმინები (გაბაშვილი, 1958: 328). ოსმალო მოხელეებმა დაიანგარიშეს თითოეული დასახლებული პუნქტის შემოსავალი, გადაიყანეს იგი ფულად ერთეულებში, ახჩებში და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გადასახადები ამის მიხედვით დააანესეს. ირკვევა რომ, სამცხე-ჯავახეთში გლეხების უმრავლესობას საკომლო (ჩიფლიკი) მინა ჰქონდა, რომელიც ამასთანავე საგადასახადო ერთეულიც იყო (გაბაშვილი 1958: 11-34).

ტრადიციული ქართული მინათმოქმედების წესის მოშლისა და და ოსმალურის დანერგვის პორობებში თითქმის მთლიანად დაიკარგა მევენახეობის კულტურა, რამაც თავისებური დაღი დაასვა ყოველდღიურ ყოფას. ქართველი კაცისათვის ვაზი და ღვინო არა მარტო მეურნეობის ატრიბუტი იყო, არამედ ყოველდღიურობის აუცილებელი შემადგენელი, ცხოვრების წესი. თურქული ულერადობა მიიღო სამინათმოქმედო კულტურების დასახლებათა ნაწილმა (მაგ. ქერი – „არფა“, ხორბალი – „ბუგდა“ ან „ბუგდო“, ვაშლი – „ალმა“ და ა.შ.) ნაწილი კი ქართული დარჩა.

ზემოთქმულის მიუხედავად, თურქები ადგილობრივ ფეოდალთა მიმხრობის მიზნით ურიგდებოდნენ. ქართული ლენური სისტემის ნაწილობრივ არსებობას. ისლამის მზარდი გავლენით, ქართული ბატონყმობის გაქრობასთან ერთად, მინაზე საკუთრების უფლება თანდათანობით ისპობოდა, მაგრამ მემამულეთა მიწები ძირითადად კვლავ მათი წინანდელი მფლობელების ხელში რჩებოდა (ნაკრავე 1889: 29-30; კიცერმა 1870).

XVIII საუკუნიდან რუსეთი ჩაერთო სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში და ისტორიული ქართული პროვინციების დაპრუნების რეალური პერსპექტივა გამოიკვეთა. ამ დროიდან თურქებმაც უფრო ინტენსიურად დაიწყეს მესხეთის ქრისტიანი მოსახლეობის გამუსულმანება, ანუ როგორც აქ ეძახდნენ „დასვინათება“ (წინადაცვეთა).

„დასვინათებული“ (გამუსულმანებული ლ.ჯ.) ქართველები ცდილობდნენ შთამომავლებისათვის მაინც შეენარჩუნებიათ ქრისტიანობა. მომრავლდა ე.ნ. საიდუმლო ქრისტიანთა რიცხვი. ისინი პუნქტუალურად ესნობოდნენ მუსულმანურ რიტუალებს, იმავდროულად კი ქრისტიანებად რჩებოდნენ და საიდუმლოდ ასრულებდნენ ქრისტიანულ ღვთისმსახურებას (ნათლობას, ჯვრისწერას, ლიტურგიას, ღებულობდნენ ზარებას, ინახავდნენ მარხვას, დღესასწაულობდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებს და ა.შ.). საველ მასალის თანახმად, ქრისტიანული მარხვის პერიოდში ოსმალები მოულოდნელად ამონმებდნენ ხოლმე საეჭვო ოჯახებ ამიტომ სუფრის ქვეშ ყველი ჰქონდათ მომა-

რაგებული, რათა, დაუპატიუჟებელი სტუმრის შემოქრისთანავე მაგიდაზე გამოეჩინათ, იმის დასტურად, რომ მარხვას არ იცავდნენ (საველე მასალა)

მთავარდიაკონი ანდრია ჯვარიძის გადმოცემით ბავშვებს, ხან სად და ხან სად დიდი გაჭირვებით, ფარულად ნათლავდნენ. მაღულად ტარდებოდა ჯვრისწერა და ქორწილიც. „საქორწინონი ახალ ტანისამოსს ვერ ჩაიცავადნენ, რადგან თაორები შენიშნავდნენ, გახდიდნენ და უპატიურობასაც მიაყენებდნენ.“ (ფრონელი 1991: 64)

მკაცრად ისჯებოდა ყველა ქრისტიანი ვინც ისლამის ლეთისმსახურებს, რიტუალებს ან სინმინდეებს რამენაირად შეურაცხყოფდა. იმავდროულად კი, ისლამის მიღება თითქმის ყველა კატეგორიის დამნაშავეს ანთავისუფლებდა სასჯელისაგან (ჭიჭინაძე 1906: 4-5). დაანესეს სულადობრივი გადასახადი, „ნლიური ხარაჯა“, რომელსაც ყველა ქრისტიანი (მამაკაცი) იხდიდა. ერთი ცნობის თანახმად, ეს „გადასახადი სულზე ოცდათხუთმეტ ყურუშმადე ადიოდა... რაც მაშინდელ დროს ძნელი საშოვარი იყო... ბევრი ქართველი ვერ შოულობდა ამოდენა ფულს და იძულებული იყო ხარაჯის თავიდან ასაცილებლად მაპმადიანობა მიეღო. ვინც გამაპმადიანდებოდა ხარაჯისგან იმნამსვე თავისუფლდებოდა. ბევრი კიდევ თაორებისაგან თავის მოსაჩვენებლად სვინათდებოდა და აშკარად აღიარებდა მაპმადის სარწმუნობას, სულით და გულით კი ქრისტიანობას მისდევდნენ“ (ფრონელი 1991: 61-62).

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს – „გათათოების“ პროცესი ერთის ან რამდენიმე ათეული წლების ამბავი არ ყოფილა, ათასწლოვანი კულტურის უცხო კულტურით შეცვლა დიდ სიძნელეებს ხვდებოდა. ხალხი [გლეხობა] მხნედ იტანდა სიმძიმეს და მედგრად იცავდა მამაპაპეულ „ქართველობას“. „თათობა“ დიდის შეფერხებით იკვლევდა გზას გლეხობაში, XVI საუკუნის მინირულს დაწყებული ეს პროცესი XIX საუკუნის დასაწყისაც დასრულებული არ ყოფილა“ (ბერძენიშვილი 1973: 225)

თურქებმა შეძლეს სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური ბერკეტების გამოყენებით გაემუსულმანებინათ ქრისტიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი თუმცა მესხების ნაწილმა XIX საუკუნის დასაწყისამდე შემოინახა ეთნიკური თვითშეგნება და ხსოვნა თავისი ქართული ნარმომავლობის შესახებ.

XIX საუკუნის 30-იანი წლები მესხეთის ნაწილი (დღევანდელი სამცხე-ჯავახთი) რუსეთმა დაიპყრო. აქ დამყარებული რუსული მმართველობა დახმარების ნაცვლად ყოველმხრივ უშლიდა ხელს გამუსულმანებული ქართველების კვლავ ქრისტიანობის ნიაღში დაბრუნებას. მესხეთში დარჩენილი მუსულმანი ქართველები „ჯერ ისევ წმინდა ქართულით მოლაპარაკენი ... მთავრობამ “თათობად“ აღიარა“ (ფრონელი 1991: 40). 1832 ნ. სტატისტიკური აღნერის თფიციალურ მონაცემებში ეწერა რომ, „ახალციხელი თურქების ძირითადი ნაწილი, რომელთაც მიღებული აქვთ ომარის სექტის მუსულმანობა, ნარმობით მთლიანად ქართველები არიან“ (ლომსაძე 1997: 80).

რუსთა მპყრობელობის პერიოდში გრძელდებოდა ანატოლიიდან და თურქეთის სხვა პროვინციებიდან სუნიტი ღვთისმსახურნის შემოვანა. მათი მოღვაწეობა, სამცხის მუსლიმური მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმის გადვივებას და ქართული თვითშეგნების ტრანსფორმაციას უწყობდა ხელს. ერთხანს ასეთ ვითარებას ადრიანოპოლის ხელშეკრულებით ამართლებდნენ, სადაც ნათქვამი იყო, რომ მხარეები თავიანთ ტერიტორიებზე არ მოახდენდნენ რელიგიურ ცვლილებებს და ხელს შეუშლიდნენ ნებისმიერ გადადგილებებს (ლომსაძე 1997: 79). ახალციხის საფაშოში მოქმედი ძველი წესები რუსებმა საერთოდ არ იცოდნენ, ახალი კი მთლიანად ადგილობრივი რუსი მოხელეების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და ისინიც, ხშირად, თვითშებურად იქცეოდნენ. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა მუსულმანთა მხრივ რუსული მმართველობის სრული უკოდინარობა, რაც ჩინოვნიკებს ძალაუფლების ბორიტად გამოყენების საშუალებას აძლევდა. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა ქრისტიანობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ზრდას და მუსლიმობაში განმტკიცებას. მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ჩატარებული აღნერის მასალებით, გათურქება//გამუსულმანების პროცესი უფრო შორს არის ნასული (ჯაოშვილი 1984: 92; ლორთქიფანიძე 1994: 39).

ცარიზმი ცდილობდა მოენესრიგებინა და გარკვეული სტრუქტურისათვის დაექვემდებარებინა კავკასიაში მცხოვრები მუსულმანების საზოგადოებრივი ყოფა. ამ მიზნით, 1872 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის სამუსულმანო გაერთიანება, რომელიც არეგულირებდა ურთიერთობას სახელმწიფოსა და მუსულმანური ჯამაათებისა თუ სასულიერო

პირებთან. სამუსულმანო გაერთიანებაში შედიოდა საგუბერნიო მეჯლისები. ამგავრი მეჯლისები შეიქმნა თბილისში, ბაქოში, ელისავეტოპოლსა და ერევანში (Положение 1872). რუსული მმართველობა აკონტროლებდა მეჩეთების მშენებლობებს. წესდებით, “მაჰმადიანური მეჩეთების მშენებლობის შესახებ”, დადგენილი იყო მუსულმანური სამლოცველოს გახსნა ყველა დასახლებულ პუნქტში სადაც 200 მუსულმანი ცხოვრობდა (ბარამიძე 2010: 19).

სრულყოფილ მუსულმანურ განათლებას მესხები თურქეთში იღებდნენ – “თორმეტი წლის ვიყავი, როცა სტამბულს გამაგზავნეს სწავლის მისაღებად. საცხოვრებელი იქ არა მქონდა რა, სახლიდან მარტო გზის ხარჯი გამატანეს. მივებარე სასწავლებლად სტამბულის მოლებს და ვცხოვრობდი ჩემთვის” – უმბო ა. ფრონელს ერთმა მათგანმა. მესხეთიდან ჩასული ახალგაზრდები თავს ადგილობრივი მოსახლეობის შემწეობით ინახავდნენ. რამაზანისა და ბაირამის დროს სტამბოლის ახლო სოფლებში დადიოდნენ, ლოცვებს კითხულობდნენ, გალობდნენ და იმდენ საზრდოს შოულობდნენ, რომ თავი გაეტანათ (ფრონელი 1991: 55).

მოსახლეობის ნაწილს შესაძლებლობა ჰქონდა მესხეთშივე ესწავლა არაბული და ყურანი. XVIII ს-ის შუა ხანებიდან იქმნებოდა სასწავლებლები, სადაც სალაპარაკო ენა თურქული იყო და ბავშვებს არაბულ ლოცვებს აზეპირებინებდნენ. მოლები მათ შთააგონებდნენ, რომ ქართული ურნმუნოთა ენაა და ამ ენაზე ლაპარაკი ცოდვაა ალაპის წინაშე (ლომსაძე 2000: 31). XX ს-ის დასწყისში ერთი ამგვარი სასწავლებელი, რომელსაც მესხეთში “მაჰმადიანების აკადემიას” ეძახდნენ, ფოცხოვში სოფ. დიღუში (დგვირი) ყოფილა. ამ ტიპის სასწავლებლებში მონაფები საკმაოდ ხარისხიან განათლებას იღებდნენ, სწავლობდნენ ყურანს და არაბულ წერა-კითხვას. სკოლიდან სასულიერო პირების გარდა მასწავლებლებიც, ე.ნ. “გუვერნიორები”, გამოდიოდნენ და ბეგების შვილებს არაბულსა და ყურანს ასწავლიდნენ. ეს მასწავლებლები გასამრჯველოდ ფულს არ იღებდნენ, მხოლოდ საცხოვრებლითა და სასმელ-საჭმელით იყვნენ უზრუნველყოფილი (ფრონელი 1991: 56-57).

რუსთა შემოსვლას არ მოჰყოლია ტრადიციული ქართული მიწათმფლობელობის წესის აღდგენა. რევოლუციამდელი სპეციალური ლიტერატურით ირკვევა, რომ სამცხე-ჯავახეთში მიწათმფლობელობის ორი ფორმა, ახჩური და თაფური და მინის გადანაწილების ე.ნ. ამფა-ჩარექული სისტემა იყო გავრცელებული. (Тверитвинова 1963: 21; ავალიანი 1950: 64; კუაებ 1888: 330-334).

XIX საუკუნის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ბუნებრივი მატებისა და მიგრაციების (ძირითადად თურქეთიდან ჩამოყვანილი სომხების) ხარჯზე რიცხობრივად გაიზარდა, მაგრამ ქართველობაზე ორიენტირებულთა ხევდრითი წილი პირიქით, შემცირდა. 1897 წ. საყოველთაო აღნერით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში 141 ათასი ადამიანი ცხოვრიბდა. ამ აღნერის დროს ეროვნების განმსაზღვრელ ძირითად ნიშანად ენა იყო მიჩნეული, ამიტომ თურქებს მიაწერეს ყველა, ვინც მშობლიურ ენად თურქული მიუთითა. აღნერეს 24443 თურქი, 18924 თათარი, 18664 ქართველი და 67683 სომეხი (ჯამშილი 1984: 92; ლორთქიფანიძე 1994: 39).

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა და არც XX საუკუნის დასაწყისში შემწყდარა ქართველი მუსულმანების მიგრაცია თურქეთში (ჭიჭინაძე 1917: 53, 130; ფრონელი 1991: 95). რუსეთის მთავრობა ხელს უწყობდა ხსენებულ მიგრაციას უფრო მეტიც, იგი ცდილობდა მუსულმანი და ქრისტიანი ქართველები ერთმანეთისათვის დაეპიროსპირებინა და ამით მუსულმანი მესხების ქართული ეთნოსისაგან ჩამოშორება დაესრულებინა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, როდესაც სამხრეთ საქართველოდან თურქეთზე შეტევა განახორციელდა, რუსეთის ჯარის სარდლობაში ქართველ დიდებულებს რეკომენდაცია მისცა მუსლიმი მესხები საქართველოდან თურქეთში გაერეკა, ხოლო მათ მიწებზე დასავლეთ საქართველოს მცირემინიანი გლეხები ჩაესახლებინა (Бугай 1994: 11). იმუამად რუსეთის ხელისუფლებამ ამ გეგმის განხორციელება ვერ მოახერხა, ქართველი თავად-აზნაურობა ხსენებულ პროვინციას არ წამოეგო.

მესხეთის მუსულმანებში ეთნიკური იდენტურობა რელიგიურმა ჩაანაცვლა და ამ უკანასკნელს ღირებულებათა სისტემაში უფრო მაღალი ადგილი მიეკუთვნა, რის შედეგადაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-ჯავახეთში ჩამოყალიბდა ისლამის მიმ-

დევარი პროთურქული ორიენტაციის ადგილობრივი ინტელიგენცია (ფრონელი 1991: 56-57; Mamuljia 1999: 154). მუსულმან მესხებს თავიანთ წარმომავლობაზე მნიშვნელოვნად სარწმუნოება მიაჩნდათ და თვალი ოსმალეთისკენ ეჭირათ. განეთ დროების კორესპოდენტს ერთმა ლივანელმა მოლამ განუცხადა – მეცა და ჩემი ქვეყნელებიც შთამომავლობითაც, შეხედულებითაც ქართველები ვართ, მე ეს კარგად მესმის, მაგრამ სარწმუნოება მაჰმადისა გვიჯირავს, რადგან ყოველმა პატიოსანმა კაცმა და განსაჯუთრებით ქეშმარიტმა მაჰმადიანმა ხალხოსნობის ნინაშე უპირატესობა უნდა სარწმუნოებას მიანიჭოს ამისათვის მე სულით და გულით ვეკუთნი ისმალეთს და არა ქართველებს და ჩემს სამშობლის შეადგენს თანამორწმუნე ისმალეთი და არა საქართველო (ლომსაძე 1997: 81-82). სოფელ წინისში ლ. ზაგურსკის ურთიერთობა მოუხდა ხელოსანთან, რომელიც მუსულმანი ქართველი იყო. კითხვაზე მისი ეროვნების შესახებ ხელოსანმა უპასუხა, რომ თათარი იყო. მოგზაურის დაკვირვებით აქაურ მუსულმანებს არ უყვარდათ თავიანთ წარმომავლობაზე საუბარი, მით უფრო თუ მათი წინაპრები მართლმადიდებლები იყვნენ. ასეთი კიოხვებისაგან თავის დაღწევის მიზნით ისინი ხშირად თავს ქართულის არმცოდნედ აჩვენებდნენ (Загурский 1873: 12).

მთელი მესხეთი, საქართველოს საუკეთესო ნახევარი, მაჰმადიანობამ სამუდამოდ მოჰკვეთა და მოსწყვიტა სამშობლოს. სარწმუნოებასთან ერთად მაჰმადიანობამ სული და გულიც ისე შეუცვალა ქართველს, რომ დღევანდელ მაჰმადიან ქართველს ვძულვართ ჩვენ, მისი სისხლი და ხორცი, და სულ იმის ნატვრაშია, როდის იქნება მოგვშორდეს, გაგვეცალოს და გაგაიხვენოს შორს, ისმალეთში, სადაც მხოლოდ ცივ სამარეს პოულობს, მაგრამ მაინც სამოთხედ მიაჩნია ერთმორწმუნე ისმალეთი – ნერდა ა. ფრონელი (ფრონელი, 1991: 32). მუსლიმი მესხები ქართველს გიაურს უწოდებდნენ, იტყოდნენ თქვენი არაფერი გვინდა, არც წიგნი, არც ენა, არც სწავლა და არც სამშობლო ქვეყანა. ჩვენ თათრები ვართ, ჩვენი ენა, წიგნი, ისტორია და სამშობლო თათრობა არის, ყველაფერი თათრულია და ჩვენც თათრები ვართ (ლომსაძე 1997: 86)

შ. ლომსაძის დაკვირვებით, ბევრი გამუსულმანებული ქართველის შეგნებაში ქართველობა თანდათანობით მხოლოდ ქრისტიანობის სინონიმი ხდებოდა და როგორც ქრისტიანობას ქართველობასაც თანდათან შორდებოდა. დროთა განმავლობაში ეროვნული შინაარსისაგან დაცლილი სიტყვა “ქართველი” მისთვის ამ ენაზე ლაპარაკს ნიშნავდა. ამიერიდან ქართულს, როგორც “ქართველს” იგი თურქულად “გურჯით” აღნიშნავდა და სწავლა, რომ ღვთის წყალი ალლაპის ნათელში იგი ამ ურნმინო გურჯობიდან “იყო შესული და ერთგვარი ცოდვისაგან თავდახსნილი.” შემდგომ ეტაპზე გამუსულმანებული ქართველი, თავს თვლიდა რა “ოტრომანად” თავის გურჯულ წარმოშობას წინაპართა ცოდვად აღიარებდა და ცდილობდა ამ მონანიებით ალლაპის წინაშე თავის უცოდველობა დაემტკიცებინა. მომდევნო მესამე ეტაპზე თავის “გურჯულ” წარმოშობაზე უკვე უარს ამბობდა და თავს ეთნიკურადაც თურქად აცხადებდა (ლომსაძე 1997: 87). მიუხედავად ამისა, XX საუკუნის პირველ მეოთხედში ჯერ კიდევ შეიძლებოდა საუბარი სამცხე-ჯავახეთის მუსულმანი მოსახლეობის კულტურის გარკვეულ სიახლოვეზე დანარჩენ ქართველებთან. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინა პერიოდში ახალციხის მაზრის უფროსი წარმოშობით ინგუში იყო. იგი დაუფარავად ამბობდა ”საქართველო რომ აქ ჩამოვიდეს, დაუახლოვდეს ადგილობრივ მკვიდრთ საკმარისია 10-15 წელიწადი, რომ მთელი აქაური მაჰმადიანობა გაქართველდეს, ამიტომ ჩვენს მოვალეობას შეადგენს ყოველგვარი კავშირი შევწყვიტოთ საქართველოსთან” (ივანიძე 2002: 106).

მესხეთის მოსახლეობის ეთნიკურ ორიენტაციას XVI-XIX საუკუნეებში განსაზღვრავდა ოსმალეთის პოლიტიკა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ეთნორელიგიურ პროცესებში აქტიურად ჩაერთო აქ გაბატონებული რუსეთის იმპერია, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი მუსულმანები, იმთავითვე, არასასურველ კონტიგენტად მიიჩნია. სასურველი ეთნოკონფესიური სურათის შესაქმნელად რეგიონში მრავლად შემოიყვანეს ქრისტიანები (სომხები, ბერძნები, რუსი სექტანტები და შ.) ყოველმხრივ უნიკოდნენ ხელს მუსულმანების თურქეთში მიგრაციას, მესხთა დენაციონალიზაციის პროცესი ბოლომდე მიყვანის მიზნით სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, ნერილობითი წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის და საველე-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით დაინდება, რომ მესხეთის თურქიზაცია-ისლამიზაციის საკითხში ისმალეური და ცა-

რისტული ხელისუფლების ინტერესები გარკვეულწილად ერთმანეთს ემთხვეოდა და ქართული მოსახლეობის დეეთნიზაციას უწყობდა ხელს.

### დამონშებანი

- ავალიანი 1950:** ა. ვალიანი, მიწის მფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი.
- ბაგრატიონი 1973:** ვახუშტი ბაგრატიონი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV ტექსტი დადგენილი ყველა ძირითდი ხელნანერის მიხედვიც ს. ყაუხ-ჩიშვილის მიერ, თბილისი.
- ბარამიძე 2010:** რ. ბარამიძე, ისლამის გავრცელების ისტორიიდან აჭარაში, ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი.
- ბერძენიშვილი 1973:** ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI-XVII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი.
- გაბაშვილი 1958:** ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური ნიუბილება XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი.
- თოფჩიშვილი 2000:** რ. თოფჩიშვილი, სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, თბილისი.
- ივანიძე 2002:** ვ. ივანიძე, ივანიძე მ., ბრძოლა მესხეთისათვის 1917-1921, თბილისი.
- ლომსაძე 1975:** შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბილისი.
- ლომსაძე 1997:** შ. ლომსაძე, მესხები: ახლციხური ქრონიკები, II, თბილისი.
- ლომსაძე 2000:** შ. ლომსაძე, მესხები და მესხეთი, თბილისი.
- ლორთქიფანიძე 1994:** ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები), თბილისი.
- ფრონელი 1991:** ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბილისი.
- ჩიქვანი 1987:** თ. ჩიქვანი, ზემო ქართლი, თბილისი.
- ჭიჭინაძე 1906:** ზ. ჭიჭინაძე, მესხეთ-ჯავახეთის გათათრება, ტფილისი.
- ჭიჭინაძე 1917:** ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბილისი.
- ჯაოშვილი 1984:** ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბილისი.
- ჯიქა 2004:** მ. ჯიქა, ქართული ანთროპონიმები “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის” მიხედვით, ქართული ონლაინ-გვი II.
- Бакрадзе 1889:** Д. Бакрадзе, Исторический очерк Туриецкой системы земловладения. Приложение к протоколу Кавказского юридического общества №9. Тифлис.
- Бугай 1994:** Н. Бугай, Турки из Месхетии: долгий путь к реабилитации, Москва.
- Еремеев 1971:** Д. Еремеев, Этногенез турок, Москва.
- Загурский 1893:** Л. Загурский, Поеzdka в Ахалцихский уезд в 1872 г. Тифлис.
- Зисерман 1879:** К. Зисерман, Списки населенных мест Тифлиской губернии, Сборник материалов для описания Тифлиской губернии, издаваемый при Канцелярии тифлисского губернатора под редакцию К.Л. Зиссермана б.т. 1, Тифлис.
- Кучаев 1888:** М. Кучаев, Акчевое и тапное земледелие в Ахалцихском уезде, СМЭБГКЗ, т.5, ч. 2.
- Мамулия 1999:** Г. Мамулия, Концепция государственной политики Грузии в отношении депортированных и репатриированных в Грузию месхов, Центральная Азия и Кавказ, №1(2).
- Нарочницкая:** Н. Нарочницкая, Исламский мир: geopolitическое и цивилизационное соперничество, Интернет-журнал Сретенского монастыря / <http://old.eparhia-saratov.ru/txts/journal/articles/02society/31.html>
- Положение 1872:** Положение об управлении Закавказского мусульманского духовенства шиитского и сунитского ученини, 5 апреля 1872 г. <http://constitutions.ru/archives/3241>.
- Тверитвинова 1963:** А. Тверитвинова, Аграрный строй Османской Империи XV-XVI Веков, Документы и материалы, Москва.

## როლანდ თოშჩიგვილი

ქართველთა ეროვნული რელიგია ქრისტიანობის მართლმადიდებლური მიმართულება იყო. IV საუკუნის დასაწყისიდან ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქართული კულტურა მას ეყრდნობოდა, მისით საზრდოობდა. 1852 წელს არქიმანდრიტი თეოფანე გაბურია სამართლიანად აღნიშნავდა: „ქრისტიანობა არს გინა სჯული შემკვეთი ერისა და შემართებელი საზოგადოებისა“. თავის დროზე საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ქრისტიანობის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობა ხვდებოდა. ამ მხარეების (ფხოვის, თუშეთის...) მკვიდრი თავს, ბუნებრივია, ქრისტიანებად მიიჩნევდნენ, მაგრამ გვიან შუა საუკუნეებში საეკლესიო მესვეურებს კიდევ უხდებოდათ ძალისხმევა ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების აღმოსაფხვრელად. ახალ რელიგიას მაზეანობასთან ჭიდილიც უხდებოდა. XI საუკუნის მემატიანე ლეონტი მროველი შენიშნავდა, რომ „რომელინიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასვე შინა დღესაქომამდე“ (ყაუხჩიშვილი 1955: 126). მთიელთა არასრულყოფილ ქრისტიანობაზე საუბრობდა XIX საუკუნის 30-იან წლებში გერმანელი ავტორი კარლ კოხიც (კოხი 1981: 256). სხვათა შორის XIX საუკუნეშიც კი ხევსურეთიდან ჩამოსახლებულები უგულებელყოფდნენ ჯვარისწერას. ამიტომაც მოსახლეობის აღნერის დავთრებში ჯვარდაუნერელი წყვილის შვილები არაკანონიერად არიან ჩაწერილი.

საქართველოს სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, გავრცელება იწყო სხვადასხვა რელიგიებმა და კონფესიებმა. ისლამი ძირითადად ოსმალეთის იმპერიაში მოქცეულ სამხრეთ საქართველოში გავრცელდა. თავიდან ის მხოლოდ ზედაფენაში შევიდა, გლეხობამ კი ძირითადად XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო. მონოფიზიტობამ ადრიდანვე გაიკაფა გზა ქვემო ქართლში. შესაბამისად ისლამის მიმდევრებს თუ „თათრებს“ უწოდებდნენ, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების წარმომადგენლებს „სომხებად“ მოიხსენიებდნენ, რომლებიც „ენით, ქცევა-ზნით“ ქართველები იყვნენ. ქართველთა მონოფიზიტობაზე გადასვლის შემთხვევები გახშირდა, XIX საუკუნის ათიანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა (1811 წ.).

ქართველ ხალხში კათოლიკობაც გავრცელდა. ქართველთა ნაწილმა თავის გადარჩენის ერთ-ერთ გზად კათოლიკობა მიიჩნია. კათოლიციზმა ფეხი განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში მოიკიდა. კათოლიკე ქართველები დანარჩენ საქართველოში ძირითადად ქალაქებში ცხოვრობდნენ. კათოლიკე ქართველები თავის თავს და გარშემომყოფიც „ფრანგებს“ უწოდებდნენ. საქართველოში კათოლიკობა ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან გავრცელდა. ამ დროს თბილისში ორი კათოლიკური ეკლესია ყოფილა, ახალცხაებში - ერთი. კათოლიკობის მიმართ მიმართ სრულ შემწყნარებლობას ამჟღავნებდნენ. განსაკუთრებული თანაგრძნობა და მფარველობა აღმოუჩენია კათოლიკებისადმი გიორგი ბრწყინვალეს, რის შედეგადაც „საქართველოს ბევრ პროვინციაში ქართველები გადავიდნენ კათოლიკობაზე“ (თამარაშვილი 1902: 31). საქართველოში კათოლიკობის გავრცელების მასშტაბზე უდავოდ მიუთითებს ის, რომ XIV-XVI საუკუნეებში არსებობდა კათოლიკეთა საეპისკოპოსო (პაპაშვილი 1995: 99). კათოლიკებისადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება უდავოდ პოლიტიკური მომენტით იყო გამოწვეული - ქვეყანა ხომ ერთგვარი იმედით შეჰქურებდა დასავლეთს.

ქართველ კათოლიკების შესახებ ა. ფრონელი (ა. ყიფშიძე) წერდა: „ოსმალოს თეალის სამებლად და ქრისტიანობის დასაცველად ქართველმა კათოლიკებმა განიზრახეს, შემოელოთ ნირვალოცვა სომხურ ენაზე. სომხურად მღლოცველი ქართველი კათოლიკე თამამად ეტყოდა გამძვინვარებულ ოსმალოს, რა გინდა, დაწყნარდი, ხომ ხედავ, აღარც ლათინი ვარ და აღარც ქართველიო. მართლაც, ამ დიპლომატიურმა ხერხმა გაჭრა, ქართველმა კათოლიკებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა, მაგრამ დღეს ლამის ქართული ეროვნება დაკარგონ. თუ სცოდნდათ მაშინ, რომ პავლე და იაკობი პოლოსად და აკოფად გადაინათლებოდა, შესაძლებელია, რომ მაჰმადიანობაზე უარი არ ეთქვათ და სახიფათო, კისერ-

მოსატეხი დიპლომატიისათვის არ მიემართათ. ერთმა არლელმა, ესე იგი, ს. არლიდან, ქართველმა კათოლიკე მცვიდრმა „ტეტია“ მალვენ თათეოზოვმა (იგივე თომაშვილი) ასეთი მარილიან ქართულით დაასურათა ზემოთ მოხსენიებული ისტორიული მომენტი: „თათარი სომებს არ ერჩოდა და ჩვენმა მამა-პაპებმა იმიტომ მიიღეს სომებს კათოლიკე-თა ალსარებარ“ (ფრონელი 1991: 39).

კათოლიკიზმი უფრო მეტად ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე იყო გავრცელებილი. კათოლიკე ქართველები ცხოვრობდნენ აგრეთვე თბილისში, გორში, ქუთაისში, უფრო მეტად კი ახალციხეში. კათოლიკიზმის გავრცელების დადებითი შედეგი ის იყო, რომ კათოლიკე მისიონერების საშუალებით საქართველოში ვრცელდებოდა იმდროინდელი ევროპული სიახლენი.

კათოლიკური სამხუნოების მიმდევარ ქართველებს ფრანგები ეწოდებოდათ. მაგრამ ისტორიული ვითარების კვალობაზე ქართველი კათოლიკებისათვის რიტის (ტიპიკუნის) პრობლემა შეიქმნა. თავდაპირველად ქართველ კათოლიკეებს ქართული ტიპიკუნი ჰქონდათ. მაგრამ XVI საუკუნის შუა ხანებიდან ვითარება შეიცვალა. პაპმა ქართველი კათოლიკები სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა, რომელსაც ლათინურის ნაცვლად სომხური ტიპიკონი ჰქონდა დაკანონებული, ე. ი. ნირვა-ლოცვა სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. ამიტომ დროთა განმავლობაში ქართველი კათოლიკების („ფრანგების“) ნანილი სომხებად მიჩნიეს. მათი სომხებად მიჩნევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ისინი სომხურ-კათოლიკურ ეკლესიისისადმი იყვნენ დაქვემდებარებული. სომხური ტიპიკონის გამო, ქართველ კათოლიკეებს გაუჩნდათ სომხურფუძიანი ახალი გვარსახელები. შესაბამისად სომხურფუძიანი გვარების გამო ცდილობდნენ ქართველ კათოლიკეთა სომხური წარმომავლობის „დაამტკიცებას“, თუმცა მათ საამისო არგუმენტები არ გააჩინათ. ქართველ კათოლიკეთა ქართული წარმომავლობა კარგადაა და-დასტურებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

XIX საუკუნის რუსული აღნერების თანახმად კათოლიკე ქართველები ძირითადად ცხოვრობდნენ ჯავახეთსა და სამცხეში (1901 წელს მათი რაოდენობა აქ 6.408 სული იყო). ქართველ კათოლიკეთა ქართული წარმომავლობის დამადასტურებელია XIX საუკუნის მოსახლეობის აღნერის დავთრები. 1886 წლის საოჯახო სიებში ქართველ კათოლიკებს ეროვნების გრაფაში ყველას ქართველი აქვს მიწერილი, რაც, რა თქმა უნდა, მათი ნებისა და ამდენად ცნობიერების გამომხატველი იყო. სარწმუნოების გრაფაში კი „სომხურ-კათოლიკური“ უნერიათ. მას შემდეგ, რაც 1845 წელს ცარიზმა საქართველო-დან განდევნა ევროპელი კათოლიკე მოღვაწენი და აეკრძალათ საქართველოში მოღვაწეობა, მათი სრული ბატონ-პატრიონი სომხურ-კათოლიკური ეკლესია შეიქმნა. იქამდე თუ ქართველი კათოლიკები ზოგჯერ ახერხებდნენ ლათინური ტიპიკონის გამოყენებას და ლათინურთან ერთად ქართულად წირვა-ლოცვას, ახლა ყველასი და ყველაფრის პატრიონად სომხურ-კათოლიკური ეკლესია იქცა. ქართველმა კათოლიკებმა კი ახალი ენერგიით გააჩარეს ბრძოლა ქართული რიტისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის კათოლიკები გამოიჩინებოდნენ. მაგალითად იყმარებს პეტრე ხარსჭარაშვილის მიერ კონსტანტინეპოლის 1861 წელს დაარსებული ქართული კათოლიკური ეკლესია თავისი ქართული რიტით, სასულიერო სასწავლებლითა და სტამბით. ქართველ კათოლიკეთა ხანილი მაინც გასომხდა. ეს მოხდა ჯავახეთში, სადაც 1830 წელს თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები დასახლდნენ. სომხურმა ენობრივ-ეთნიკურმა გარემონ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. აქ ქართველი კათოლიკები გადმოსახლებული იყვნენ არტაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან (სოფლები ური და ველი). სიმართლე რომ ვთქვათ, საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა მათი თანდათანობითი გასომხება, რადგან გაუსხსნეს სომხური სკოლები და სომხური გვარებიც მიაკუთვნეს. (ცარიზმის დროს ისინი ორენოვანნი იყვნენ (თურქული და ქართული) და სომხური საერთოდ არ იცოდნენ. კარგად ახსოვდათ თავიანთი ქართული გვარები. გოორგი ბოჭორიძე, რომელმაც აქურობა მოიარა XX საუკუნის 20-იან წლებში, ნერდა: „კარტიკა-მი, ხულგუმო, ბავრა და ტურცი, ესენი არტაანის ოლქის სოფ. ურიდან გადმოსული არიან 1828 წელს. ქართველი კათოლიკები. ისინი გამაპმადიანებული არ არიან“ (ბოჭორიძე 1992: 148). ნიკო ბერძენიშვილი 1930-იან წლებში აღნიშნავდა: „ხულგუმოში თურქულად მოლაპარაკე კათოლიკური სარწმუნოების მოსახლეობაა. ასეთივეა ბავრა, კარ-

ტუკამი და, როგორც გადმოგვცეს, ტურცხი. სომხურს ესენი ეხლა ითვისებენ. ... 35-ოდე ყმანვილი ახალქალაქის ქართულ შვიდნლედში ... სწავლობს და ამიტომაც თავს ქართველს უწოდებენ. სოფელში სომხური სკოლაა გახსნილი და სომხურად მოსწავლენიც თავს სომხად აღიარებენ. ... ჩვეულებრივ ისინი თავის თავს ფრანგებს („ფერენგ“) უწოდებენ“ (ბერძენიშვილი 1964: 53, 107, 109). ამ სოფლების მკვიდრო ქართულ ნარმომავლობას 1886 წლის საოჯახო სიებში დაფიქსირებული გვარსახელებიც ადასტურებს: ხუციევი, ილიაძე, ოქროევი, ელიზბაროვი, გაბოევი, ჩეჩელოვი, გინოვი, გეორგიევი... (სცსა 254-3, საქ. #1881, 1892)

1886 წლის საოჯახო სიებში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ახალციხის მაზრის ქართველი კათოლიკების შესახებ. ქართველ კათოლიკებში აშკარად გამოიყოფა სამი ტიპის გვარსახელები: 1. ქართულფუძიანი, 2. სომხურფუძიანი და 3. თურქულფუძიანი. საერთოდ, ეს გვარები, უმეტეს შემთხვევაში, -ოვ (-ევ) სუფიქსებითაა გაფორმებული. „ნაროდნოსტის“ გრაფამი ყველას მინერილი აქვს „ქართველი“, სარწმუნოება – სომხურ-კათოლიკური, საოჯახო ენა - ქართული. ქართული ძირებით არიან: ნებიეროვი, დათებოვი, გოკიელოვი, დავლაშერიძე, ზაზაძე, ბეთანოვი, ბალახაძე, ბერიძე, ვარძიელოვი, კაჭკაჭოვი, ფირალოვი, მეფისოვი, მესარქოვი, მომცინარიძე, ფეიქაროვი, ხარისხაროვი, ხუციანოვი, მაისურიძე, მესარქოვი, ხმალაძე... არაქართული ძირებით: კევორქოვი, ნაზაროვი, ხოჯევანოვი, აკამივი, სეხბოსოვი, ხითაროვი... სომხური ძირებით ქართველ კათოლიკეთა გვარსახელების ნარმოქმნა დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი სომხური კათოლიკურ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და არა ლათინური რიტისას. ეს კი ქართველ კათოლიკეთა წრეში ჯერ სომხური სახელებისა და შემდეგ სომხურძირიანი გვარსახელების გავრცელებას იწვევდა (XIX საუკუნის მანძილზე მესხი მოღვაწეები ივანე გვარამაძე, მიხეილ თამარაშვილი და სხვები იბრძოდნენ სომხურის ლათინური ტიპიკონით შეცვლისათვის – კუტალაძე, უუჟუნაშვილი, ტალახაძე 2007: 206-313). საოჯახო სიების მიხედვით, ქალაქ ახალციხის გარდა, სომხური კათოლიკური ტიპიკონის მიმდევარი მოსახლეობა გვხვდებოდა სოფლებში: არალში, ვალეში, უდეში, ვარგავში, ხიზაბავრაში. ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით ხიზაბავრას მოსახლეობა (137 კომლი, 1.274 სულ) სომხებადაა დაფიქსირებული (Свод статистических данных 1893). 1886 წლის საოჯახო სიების დედნის მიხედვით კი ხიზაბავრას მოსახლეობა ქართველი კათოლიკები იყვნენ (სცსა 254-3-2064, გვ. 1-166). ზოგიერთ ქართველ კათოლიკეს გამოკვეთილად სომხური გვარი ჰქონდა, მაგრამ საოჯახო სიების დედნებში მათი ადრინდელი ქართული გვარებიცაა ფიქსირებული. მაგალითად, სოფელ უდეში მცხოვრები კაზაროვების ადრინდელი ქართული გვარი გზირიშვილი ყოფილა, ნარიმანოვებისა – აბულაძე, ყულიჯანოვებისა – პეტრეშვილი, ბუხიევებისა – გრიგოლაშვილი, ვართანოვებისა და ბალდოვევებისა – აბულაძე (სცსა, 254-3-1852, გვ. 52-189). ახალციხელი კათოლიკე ვართანოვების ადრინდელი გვარი კი ჯავახელი ყოფილა, გალუსტოვისა – აჭარელი (სცსა, ფ. 254, ან. 3, საქ. # 281, გვ. 377, 380), მირაქოვისა – ბერიძე (1850 წლის აღნერა, სცსა, ფ. 254, ან. 2, საქ. # 2070). სამცხეში ქართველ კათოლიკებს თურქულფუძიანი გვარებიც ჰქონდათ. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ჩილინგარიშვილები (ადრინდელი გვარი ვარდიძე), ყაუჩხიშვილები (ძირი-გვარი დარდაგანიძე), პარმახსინაშვილი (ძირი-გვარი ვანაძე), იკანდერიშვილები (ძირი-გვარი კიკანაძე). 1932 წელს ვალეში სულ 400 კომლი ცხოვრობდა. „ამათში ქართველი კათოლიკები – 250 კომლი, ქართველი მართლმადიდებლები – 60, ქართველი მაჰმადიანები – 90 კომლი. ქართველ მაჰმადიანთა გვარები: ჭავჭავაძე – 2 კომლი, ამილახვარი – 3 კომლი, ბოჭოშვილი – 5 კომლი, ჩიტაძე – 2 კომლი, ბერიძე – 7 კომლი, ნადირაძე (ტირილანთები) – 6 კომლი, კაპანაძე“ (ბოჭორიძე 1992: 160). ნადირაძეთა „ჩამომავლები ქართველი მაჰმადიანებიც არიან და ქართველი მართლმადიდებელნიც“ (ბოჭორიძე 1992: 161). გ. ბოჭორიძეს გულმოდგინედ გადმოუწერია ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა საფლავის ქვების ეპიტაფიები, რომლებიც ძირითადად XVIII საუკუნის ბოლოთი და XIX საუკუნის დასახუისით თარიღდება. ყველა ისინი ქართულ ენაზე შესრულებული (ბოჭორიძე 1992: 168-178).

„ახლანდელ ჯავახეთსა და ახალციხის მაზრაში სულ ქართველ კათოლიკეთა რიცხვი 1901 წელს იყო 6.408 სული ორივე სქესის. ქართველი კათოლიკენი, რაღა თქმა უნდა,

წმინდა ქართული ენით ლაპარაკობდნენ, მხოლოდ საშინლად შეუბლალავათ წმინდა ქართული სახელები და გვარები სომებს კათოლიკეთა ეკლესიის აღსარების ზეგავლენით” (ფრონელი 1991: 43).

„ზოგ ქართველ კათოლიკეთა სამრევლოს მოძღვრებად ჰყვანანა მკვიდრი სომეხნი, რომელთაც ჩიქირთული ქართული მრევლში შეუსწავლიათ. ნირვა-ლოცვა და დანარჩენი ლეთისმასახურება სომხურადაა. ოფიციალურად და სხვა საბუთის ქაღალდებში იწერებიან ასე: სომები კათოლიკე, ეს ოფიციალური ტერმინი აღმნიშვნელია ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებისა, ანუ აღსარებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინი ეროვნების და ნარმომავლობის აღმნიშვნელად გარდაიქმნა. მდაბიო ქართველ კათოლიკეს რომ ჰქითხავ, ვინა ხარო? გიპასუხებთ – სომები კათოლიკე. თუ წყრომის, ან გაჯავრების კილოთი ჰქითხე, რას მიედ-მოედები, მამა-მამით ქართველი იყავ და სომხად როგორ გადაკეთდიო? მორცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით გიპასუხებს: დიახ, ამბობენ, რომ წინათ ჩვენი მამა-პაპანი ქართველები ყოფილანო” (ფრონელი 1991: 43).

სომხური და თურქული ძირებით ნარმოდგენილი გვარსახელები მეორეული მოვლენაა და ყველა ასეთ გვარსახელს თავდაპირველი ქართული გვარი უეჭველად ჰქინდა. მაგალითად, ხითარიშვილების (ახალციხე, ვალე) ერთი შტოს ძირი-გვარი თამარაშვილი ყოფილა, მეორესი – ნანობაშვილი, გოზალიშვილებისა – კოჭიბროლაშვილი. 1886 წლის აღნერაში ქართველ კათოლიკეთა სომხურძირიან გვარსახელებს ადრინდელი, თავდაპირველი ქართული გვარებიც აქვთ მინერილ-მითითებული. მაგალითად, ქართველი კათოლიკე ყაზაროვების (ყაზარაშვილების) ძირი-გვარი გზირიშვილი იყო, ვართანოვებისა და ბალდოვევებისა – აბულაძე... ცხადია, შეუძლებელია „ქართულენოვანი სომები კათოლიკე“ უნოდო, სომხური ნარმომავლობა ამტკიცო ისეთი გამჭვირვალე ქართული გვარებისა, როგორებიცაა: ნებიერიძე, გოკიელი, ვარძიელი, ბეთანიშვილი, ბერიძე, მეფისაშვილი, ხუციშვილი, კაჭკაჭიშვილი, ნადირაძე, ჩიტოშვილი, გაბელაშვილი, ბერიტაძე, ბალახაძე, ზაზაძე, ჩილაშვილი, აბულაძე, შემაბერიძე, რომლებისაც სომხურ-კათოლიკურმა ეკლესიამ მათი ქართული ნარმომავლობის დაფარვისა და ქართული გვარის ფორმის, შინაარსისა და უდერადობის დაკარგვის მიზნით, გვარსახელების მანარმოებელი ქართული სუფიქსები რუსული სუფიქსებით შეუცვალა.

1850, 1860 და 1873 წლების აღნერის დავთარებში ახალციხიდან ქართველ კათოლიკეთა მიგრაციაცაა დადასტურებული. ახალციხეში აღრიცხულთ მინერილი აქვთ, რომ გადასული არიან საცხოვრებლად ქუთაისში. თითოეულ ოჯახს ქუთაისიდან გადასახლების დროც აქვს მინერილი, მაგალითად, „15 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (7 კომლი), „32 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (3 ოჯახი), „19 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (2 კომლი)... 1860 წლის აღნერაში ქუთაისში გადასახლებულთა სულ 22 კომლია აღრიცხული. 1873 წლის აღნერის დავთარები ქალაქ ქუთაისში (აგრეთვე ბათუმში) შემდგომი მიგრაციული პროცესებია დაფიქსირებულა – ეს პროცესი 1870-იანი წლებიდან მოყოლებული XX საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. # 281). ქართველი კათოლიკები კონსტანტინებოლშიც მიგრირდებოდნენ (სცსსა 254-2-243, გვ. 453-461). ახალციხელ ქართველ კათოლიკეს ხარისხაროვს (ხარისხარმშვილს) 1886 წლის აღნერაში მინერილი აქვს: „მღვდელი, ცხოვრობს კონსტანტინებოლში“, იობ თომას ძე ხითაროვს (ხითარიშვილს) – „ბერი. იმყოფება კონსტანტინებოლში“ (სცსსა 254-3-1831). მეორე ხითარიშვილი კი გამოსულა სომხურ-კათოლიკური ეკლესიის დაქვემდებარებიდან, რომელსაც სარწმუნოების გრაფაში „რომაულ-კათოლიკური“ უწერია. ასეთები სხვებიც იყვნენ (მაგალითად, ასტვაცატუროვი, რომელსაც ეროვნების გრაფაში „ქართველი“ უწერია, ენის გრაფაში – „ქართული“, სარწმუნოების გრაფაში კი – „რომაულ-კათოლიკური“. იგივე შეიძლება ითქვას ტიტიკოვზე, ვარლამოვზე, ბეზირგანოვზე, მაისუროვზე, ყანდინოვზე, ჩარუხჩევზე). აღსანიშნავია, რომ 1817 წლის გორის აღნერაში შეყვანილია ქართველი კათოლიკე პავლე სიმონიშვილი, რომელიც გადმოსახლებულა „ახალციხის საფაშოს სოფელს არტანუჯიდან“ (სცსსა 254-1-540, გვ. 100). აქვე ცხოვრობდნენ ზუბალოვები/ზუბალშვილები, ბეჟანოვები/ბეჟანიშვილები, ფირიევები/ფირიაშვილები, ფარემუზაშვილები, მამულაშვილები, მებურნუთიშვილები, ჯულაბაშვილები, ულუპიაშვილები... აღნიშნულ წელს გორში ქართველ კათოლიკეთა რაოდენობა სულ 131 სული იყო.

ახალციხელი კათოლიკე ქართველების უმრავლესობის გვარები აღნერის დავთრებში რუსული სუფიქსებითაა ჩანწერული, მაგალითად, ფიროვევი, ნებიქროვი, დათებოვი, ზა-ზაევი, სადათიეროვი, გოკიელოვი, ბალახოვი, ბეთანოვი, ფეიქაროვი, ვარძიელოვი, მე-სარკოვი, ობლოვი, ჩილინგაროვი, გრძელოვი, თამაროვი, მჭედლოვი, ლალებოვი... ზოგიერთი კი ქართული გვარით - მაისურაძე, თეთრაძე/თეთრაშვილი, ჩილაშვილი, მანანაძე, ზაზაშვილი, მონასელიძე, ბერიტაძე..., ხიზაბავრელი... არის შემთხვევები ქართველ კათოლიკეთა გვარსახელების -ეთ სუფიქსით ჩანწერისა (ისე, როგორც ადგილობრივები გამოთვამდნენ). შეიძლება დავასახელოთ უდელი გიგო პეტრეთი, მიხაკო პეტრეთი და პეტრე პეტრეთი, აგრეთვე ანტონ გულიჯანათი, სერო ჩილათი. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის ახალციხის კათოლიკეთა საფლავის ქვებზეც ეპიტაფიიებზე მიცვალებულთა გვარები ძირითადად -ეთ (-ათ) სუფიქსითაა გაფორმებული: „ყაუხჩიანთ აკოფას ძე ანტონი“, „ეპიტაფიანთ მათოსას მეულე“..., „კრუხიჭამიანთ ყაზარას ქალი...“, „მაქანდარაანთ პოლოსას მეულე“..., „ყაუხჩიანთ სტეფანეს მეცხედრე მაგორარინა“, „გოგინათ სტეფანეს ძე მელქონა“, „მეფისათ პავლეს ასულის რისიმესი, მჭედლიანთ ლუკას მეულლის“, „ბეთანათ რძალი იელე“, „მოლოზნან პოლოსას ქალი და მეულე ჩახალათ ოსეფასი ანა“ (ბოჭორიძე 1992: 166-174, 51-53). ირკვევა, რომ ყმა-გლეხები ჰყოლია გორის კათოლიკურ ეკლესიასაც. ხსენებულ აღნერაში ამ ეკლესის ყმებად არიან მოხსენიებული კათოლიკე ქართველები: ფარემუზაშვილი, მამულაშვილი, მებურნუთიშვილი (სცსა 254-1-540, გვ. 84). უნდა ითქვას, რომ გორში კათოლიკედ მონათლულთა შორის ეთნიკური ოსების ორი კომლიც იყო (სცსა 254-1-540, გვ. 100).

XIX საუკუნეში თბილისში კათოლიკე ქართველები ძირითადად სოლოლაკის უბანში ცხოვრობდნენ. ისინი ჯერ კიდევ რუსების მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთებამდე იყვნენ გადმოსახლებული. „სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ ძველ „სოლოლაკელებს“ ხიზაბავრელთა ახალი ნაკადი შეემატა“ (ლომსაძე 1997: 33).

გაკათოლიკების საინტერესო ფაქტს ეხება 1775 წლის არზა: „ქ. ლმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს ამილახვრის მიკედლებულს მეჩითე თამაზას. მემკუიდრი იმერელი ვარ. მამაჩემს ათი წლისა გაუსყიდნივარ ახალციხეს თათარზედ, თათრისაგან ერთმა ფრანგმა დამიხსნა და თავის სარწმუნოებაზედ ფრანგათ გამზარდა. მერე აზატი მიყო, ქართლში ჩამოველ და ქრცხინვალს ფრანგი ქალი შევირთე. მაგრამ იმ უამად პატრები ექსორიანნი იყუნენ და სომხის ტერტერამ დამზერი ჯვარი. მას აქეთ გორსა ვდგვევარ და ფრანგის სარწმუნოებაზედ ვიმყოფები“ (დოლიძე 1981: 305-306). ამ საბუთით „ფრანგებს“ ცხინვალშიც უცხოვრიათ და ჯვარისნერის საშუალება არ ჰქონდათ, რადგან პატრები ექსორიაქმნილი ყოფილან.

1886 წლის საოჯახო სიებით თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ერთად სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების 4,554 სული იყო აღრიცხული. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა 2% იყო, დასავლეთ საქართველოში – 0,97%. უმნიშვნელო პროცენტულ რაოდენობას შეადგენდნენ რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოებისანი: თბილისის გუბერნიაში – 0,46%, ქუთაისის გუბერნიაში – 0,07%.

ქართველი კათოლიკები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ქართულენოვანი ტიპიკონისათვის იბრძოდნენ. ამ ბრძოლის ერთი ნაწილი იყო სტამბოლში 1859 წელს ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის დაფუძნება. სამართლიანადაა შენიშნული, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით გაკათოლიკებულ ქართველობას თავისი „ტომობრივი მიზიდულობა“ არ შეუცვლია და არც სხვათა მიერ თავზე მოხვეული ტიპიკონების მიხედვით თავისი ეთნიკური ვინაობა არ უარუყვია“ (ლომსაძე: 1997: 103). ქართველი კათოლიკები სომეხი ავტორების თეზისს („ისტორიულად არ არსებობდნენ ქართველი კათოლიკენი. ვინც თავს ქართველ კათოლიკედ აცხადებდა, მათ ქართული ენის გამო დაიბრალეს ქართველობა“; სომეხები ყველაფერს „ლათინის პატრებს“ აბრალებდნენ, რომლებმაც თურმე გადაიბირეს და ქართული ძალით ასწავლეს და სომხური დაავიწყეს) ებრძოდნენ და მათ „არგუმენტებს“ სიმართლეს უპირისპირებდნენ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მ. თამარაშვილი, ივ. გვარამაძე... ერთ-ერთი მათგანი ასე ნერდა: „... სომხის კათოლიკები ჯერ სად იყვნენ, რომ საქართველოს მკვიდრ კათოლიკებს ნირვალოცვა თავის დედაქაზედ ქონდათ. ამას დღესაც ამოწმებენ მათ ეკლესიებში აქამდე

შემონახული ქართული ხელნაწერი ლოცვები, ნირვები და მთელი მათი ისტორია. დღე-საც ოჯახს ვერ ნახავთ ახალციხის მკვიდრ კათოლიკებში, ძევლისძველი ქართული ხელნაწერი ლოცვები ხელში არ ეჭიროს და არ ლოცულობდეს ეკლესიებში - რომელთა გვარტომობა მუდამ ქართული ყოფილა. ... ესეც არ იყოს, ენის გარდა რა ვუყოთ ჩვენს განსხვავებულ ზნე-ხასიათს, ჩატულობას, იერს, ჩვენს გვარებს. მაშ ვინ არიან თუ არა ქართველები ეს: ბაქრაძეები, თამარაშვილები, გაბაევები, თარხანოვები, ათაბეგოვები, ხუციშვილები, მოცოშვილები, ნალდაძეები, ომიაძეები, შემაძერიძენი, ჭონაშვილები, ანდრონიკაშვილები, ჯაყელები, ზუბალაშვილები, ისარლიშვილები და ათასი კიდევ სხვანი?“ (ლომსაძე 1997: 114). ქართველ კათოლიკეთა ეროვნული უფლებების აღდგენი-სათვის-ბევრს იპროდა მამა მიხეილ ვარძელაშვილი/ვარძიელი (1854-1913), რომლის მიერ შეგროვებული შემონირულობებით 1898 წელს აიგო ხიზაბავრისს კათოლიკური ტაძარი. ქართველ კათოლიკეთა ეთნიკური ცნობიერების მაღალი დონის გამომხატველია უდეს კათოლიკური საყდრის ნარჩერა: „უდეს არის კათოლიკები 2120 სული მაშენებელი ამა საყდრისა. მაჰმადიანები 520 სული, ორივე ტომით ქართველი“.

ირკვევა, რომ გვიან შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობა ხვდებოდა. ამ მხრივ განსაუთრებით სომხები გამოირჩეოდნენ. ეს კარგად ჩანს XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ რელაციონში ნიკიფორე ჩოლოვაშვილის (ირბახის) სიტყვებით, რითაც მას როსტომ მეფისადმი მიუმართავს: „ყოველ დღე ჩვენი თვალებით ვხედავთ, რომ ქართველები სომხებიან და უმრავლესობა კი თურქება... განა რატომ არ უნდა მიიღოს კაცმა ფრანკობა?“ (ავიტაბილე 1977: 66).

საინტერესო მონაცემები გააჩნია ქართველი კათოლიკებზე ფრანგ ავტორს პოლგიბალს, რომელმაც საუკართველოში იმოგზაურა 1818-1819 წლებში. ქუთაისში მას კაპუცინება ბერებმა უმასპინძლეს. იმ დროს იტალიელი მისიონერები მღვდელომსახურებას მცირე ეკლესიაში ატარებდნენ, რომელსაც ბერები საკუთარი თანხით აშენებდნენ. წმიდა მამების საქმიანობა, ქადაგებასთან ერთად, ხალხის მჯურნალობაც ყოფილა. აღნიშნავს: როდესაც ქუთაისელ კათოლიკებს ეკითხები, თუ რა ეროვნების არიან, პასუხი ასეთია - კათოლიკები. მათი რაოდენობა უმნიშვნელოდ იზრდება და არიან უმეცრები. ქუთაისელი კათოლიკების რაოდენობას სამასი კაცით განსაზღვრავს. ფრანგი, იმასაც აღნიშნავს, რომ ქუთაისში მყოფმა კათოლიკე მღვდელომსახურებმა ცუდად არ იციან სომხერი და თურქული ენებით, რაც იმ დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ იტალიელი კათოლიკე მღვდლები საქართველოში ოსმალეთის იმპერიიდან შემოსულებად მივიჩნიოთ. XIX საუკუნის 10-იან წლებში იტალიელი კაპუცინები მოღვანეობდნენ ქალაქ გორშიც, სადაც ასევე ერთი კათოლიკური ეკლესია ყოფილა (გიბალ 2017: 320).

დასასრულს ერთ უცნობი სისტორიო ფაქტის შესახებ. მოგვიანო პერიოდში ქართველი კათოლიკები მოგვევლინენ ქრისტიანობის ამ მიმართულების ერთგვარ დამცველებადაც. 1922 წელს სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა სავანემ დაბეჭდა ვინწე მხედრის წიგნი „ქართველო ქრისტიანებო შეერთდით“ (2014 წელს გადმომცა სტამბოლში მცხოვრებმა ტუფან ლომინაძემ, რომელმაც ის იტალიელი ბერების მიერ წიგნების დაწვას გადაარჩინა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეზოში). წიგნს ქართული ქრისტიანული აზროვნების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს და ის გამოცემას იმსახურებს. წიგნის წინასიტყვაობის ბოლო ასე მთავრდება: „ნეტავ წარსულმა გაკვეთილმა თავისი წაყოფი გამოიღოს და ახლო მომავალში, ყველა მორნმუნე ქართველებს თავი მოგვიყაროს „ერთსა, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში“, რათა, გაერთიანებული ძალით, ახალი სული ჩავუდგათ გაბარტახებულ საქართველოს“.

## დამოწმებული ლიტერატურა

ავიტაბილე 1977: დონ პიერტო ავიტაბილეს ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), ბ. გიორგაძის გამოცემა, თბილისი.

**ბერძნიშვილი 1964:** ნ. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი.

ბოჭორიძე 1992: გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამკერე-ჯავახეთში, თბილისი.

**დოლიძე 1981:** ქართული სამართლის ძეგლები, VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექ-  
სტიტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი.

**თამარაშვილი 1902:** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტუილისი.

**კონტაქტის მიზანი** კონტაქტის მიზანი განვითარებული ხაზის და მიმდევარი მდგრადი განვითარების მიზანია.

**კუტალაძე, უზუშუნაშვილი, ტალახაძე 2007:** გ. კუტალაძე, გ. უზუშუნაშვილი, ი. ტალახაძე, რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და მესხი კათოლიკები, მარიამ ლორთქიფანიძე-85, თბილისი.

ლომსაძე 1997: შ. ლომსაძე, მესხები: ახალკისხური ქრონიკები, II, თბილისი.

**მხედარი 1922:** ქართველო ქრისტიანები შეერთდით, თხზულება მხედრისა, სტამბოლი.

**პაპაშვილი 1995:** მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი.

ფრონელი 1991: ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბილისი.

**ყაუჩხიშვილი 1955:** ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელ-ნაწერის მიხედვით ს. ყაუჩხიშვილის მიერ, თბილისი.

**Гибаль 2017:** П. Гибаль, *Обозрение Крыма, Новороссии и Кавказа в дневнике путешествия из Одессы в Тифлис Поля Гибала. 1818-1819*. Москва.

**Свод статистических данных 1893 – Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченные из посемейных списков 1886 года. Тиф. 1893.**

ოსთა გაერისტიანების ისტორია  
(XIX საუკუნის საარქივო მასალების მიხედვით)

ირგვა კვაშილავა

ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან, განსაკუთრებით ოსებთან ქართველების მჭიდრო კულტურული ურთიერთობა უძველესი დროიდან იღებს სათავეს, რაც მოგვიანებით კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. რასაკვირველია, ხალხთა თანმიმდევრული ურთიერთობები მათი კულტურული ცხოვრების რამდენიმე სფეროში ვლინდება, რაც საბოლოოდ ურთიერთზეგავლენას იწვევს.

ამჟამად, XIX საუკუნეში ოსეთის სასულიერო კომისიის საქმიანობის რამდენიმე ეპიზოდს გავადევნებთ თვალს, რომელიც ოსების ხელმეორე გაქრისტიანებას უკავშირდება და მონაცემები საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ოსებში ქრისტიანობა ადრიდანვე გავრცელდა. ოსებზე ქართული ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით თამარის (1184-1213 წწ.) მეფობისას გამოჩნდა. ქართველ-ოსთა ურთიერთობას, მათ შორის კულტურულს, დიდი ზიანი მიაყენა XIII-XIV სს-ში თათარ-მონღოლთა შემოსევებმა, რამაც ქრისტიანობა შესამჩნევად დაასუსტა. ამ მხრივ არც შემდგომი პერიოდი იყო ხელსაყრელი, ვინაიდან XVI-XVII სს-ში, აյ გაბატონებული ყაბარდოელების გამო, ოსების გარკვეულმა ნაწილმა ისლამი მიიღო. „ჩრდილო კავკასიის ბარის ზოლს, რომელიც ოსებს ეკავათ, ყაბარდოელები ეუფლებიან. ოსები იძულებული ხდებიან მთებს შეაფარონ თავი... აյ შეიქმნა მათთა სა-სოფლო-ტერიტორიული ერთეულების თემები, ძირითადი ხეობების მიხედვით“ (გამყრელიძე 1997:26). მოგვიანებით განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა კვლავ ხელსაყრელი პირობები შექმნა მათ შორის ქრისტიანული კულტურის განსამტკიცებლად. სახელდობრ, ოსთა ცალკეულ საზოგადოებებად, ე.წ. ხეობებად ჩამოყალიბებული ერთეულები (თაგაური, დიგორი და სხვა) გარკვეულ ურთიერთობას ამყარებდნენ სამეფო-სამთავროებად დანაწევრებულ საქართველოს ამა თუ იმ პოლიტიკურ ერთეულებთან (თოგოშვილი 1969:229). ასეთ დაძაბულ ვითარებაში, კავკასიას რუსეთის ცარიზმი მოადგა, რომლის სამომავლო გეგმებში დიდი ადგილი ეჭირა აქაურების გაქრისტიანების საჯითხს. ქრისტიანობის აღდგენას ხელი უნდა შეეწყო, როგორც რუსეთთან მათი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, ასევე საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საქმეში (თოგოშვილი 1969:234). მართებულად არის აღიარებული, რომ სარჩმუნოების საკითხი კავკასიაში პოლიტიკურ ორიენტაციას განაპირობებდა (ხანთაძე 1957:405). ამავე დროს არც თურქეთი და ირანი იშურებდა ძალისხმევას კავკასიაში თავისი გავლენის გასაძლიერებლად, რომლებიც კავკასიის მთიანეთის მაპმადიანი მოსახლეობის დახმარებითა და მხარდაჭერით, ვარაუდობდნენ კავკასიაში რუსეთის ნინსკლის შეჩერებას (გუგუტიშვილი, ჩხარტიშვილი, ხუციშვილი 2005:83). საყოველთაოდ ცნობილია, რა შედეგი მოჰყვა მათ მცდელობას, ვინაიდან ამ მხრივ რუსეთის ნინსვლას XVIII ს-ში ხელი ვერაფერმა შეუშალა. ცოტა უფრო ადრე, კერძოდ, XVII ს-დან საქართველოში სამხრეთიდან უკვე აქტიურად იწყება ოსების შემოსახლება. ამიტომ, ქართველები ოსებში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, კარგად იცნობდნენ მათ როგორც ადგილობრივ პირობებს, ისე ყოფა-ცხოვრებას. კვლავ შეიქმნა პირობები ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისათვის და საამისოდ სპეციალური კომისიის შექმნის იდეა ქართველებმა წარმოაყენეს. 1742 წლის ნოემბერში, მოსკოვში მყოფმა ქართველმა მღვდელმთავრებმა - მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის ნინამძღვარმა, არქიეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (ვახტანგ VI-ის ამაღლიდან) და არქიეპისკოპოსმა იოსებმა, რუსეთის იმპერატრიცას, ელისაბედ პეტრეს ასულს მოხსენება წარუდგინეს: ოსეთში შერყეული ქრისტიანობის აღსადგენად ქართველი სასულიერო პირების გაგზავნის მიზანშეზონილობის შესახებ (История Грузинской иерархии 1826:73). მოგვიანებით რუსეთის იმპერატორი ქმნის ე.წ. ოსეთის სასულიერო კომისიას, რომლის ქართველი პირებით დაკომპლექტებას რუსეთმა იმიტომ მიმართა, რომ თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შეშით, გადაწყვიტა ოსთა გაქრისტიანების საქმე ქართველი სამღვდელოების ხელით მოეგვარებინა (თოგოშვილი

1969:236). ცხადია, თურქეთთან საზავო პირობების შემდეგ, ქართველები ამ საზოგადო საქმიანობას ჩამოაცილა.

გაეკვავასიელებული მთიელების - ოსების ხელმეორე გაქრისტიანება პირობითად რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს: პირველი ეტაპი 1743-1792 წლებს მოიცავს, როდესაც ქართველი მღვდელმთავრების თაოსნობით, საფუძველი ჩაეყარა ოსთა შორის ქრისტიანობის გამავრცელებელ კომისიას, რომელმაც ქართული შემადგენლობით მხოლოდ 1771 წლამდე იარსება. სხვადასხვა დროს კომისიაში შედიოდნენ ქართველები - არქიმანიზრიტი პახუმი (წერეთელი), ნიკოლოზ და ქაიხოსრო მახათელაშვილები, ეფრემ ჯანდიერი, ანდრია ბიბილური, მოსე ზაალიშვილი, დიმიტრი ჰეტრიაშვილი, დავით გურამიშვილის ძმა ქრისტეფორე და სხვა. ქართველი სასულიერო პირები ჩრდილო კავკასიაში სამისიონერო საემიანობას აღრეც ეწეოდნენ, მაგ.: ნიშანდობლივია იოანე მანგლელის მოღვაწეობა (ხანთაძე 1957:406). კომისიის წევრები ქართული ანბანის გამოყენებით, სასულიერო ლიტერატურას ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნიდნენ, ოსებს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას ასწავლიდნენ. მათი ინიციატივით, მოზდოვეში ოსებისათვის სკოლა გაიხსნა, რომელიც პირველი სკოლა იყო მთელ ჩრდილო კავკასიაში. XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, ოსეთის გაქრისტიანების და ოსური ანბანის შექმნის საქმეში დიდად იღვანა გაიოზ ბარათაშვილმა (შემდგომში მოზდოვე ეპისკოპოსი, ქართველი, სოფელ მაღაროდან) (თოვოშვილი 1969:245). ამდენად, ქართველი სასულიერო პირებისა და ოსეთის სასულიერო კომისიის მცდელობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მათ მიერ 1745 წლიდან 1771 წლამდე 8 199 ადამიანი მოინათლა (Обзор 1910: 82). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქართველების ასეთი აქტივობა თითქოს მიმართული იყო ოსების ქართული გავლენის ორბიტაში მოსაქცევად (Кокиев 1926: 95). ამიტომ შევდნენ ისები რუსებს როგორც განმანთავისუფლებლებს, რომლებიც თავიანთ დაპყრობით პოლიტიკას კავკასიელების მუსულმანებისაგან განთავისუფლების მოტივაციით ნიღბავდნენ.

ამრიგად, 1792 წელს აღნიშნულმა კომისიამ არსებობა შეწყვიტა და ოსთა შორის ქართული მწიგნობრობის გავრცელებაც დასრულდა. ოსეთის სასულიერო კომისიის რეორგანიზაციის ერთ-ერთი მხარე, ქართველი სასულიერო პირების რუსი სამღვდელოებით ჩანაცვლება იყო, რომლებმაც გააგრძელეს სამისიონერო მოღვაწეობა. მოგვიანებით, „იგი მეფის რუსეთის კავკასიური პოლიტიკის იარაღად აქციეს. მაგ; ოსურ ანბანს ქართულის ნაცვლად რუსული გრაფიკა დაუდეს საფუძვლად“ (ენციკლოპედია 1984: 593). რუსეთის საულიერო მთავრობის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჩრდილო ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებას უმნიშვნელო წარმატებები ჰქონდა, რასაც მისი ფორმალური ხასიათი განაპირობებდა (Токарев 1958: 267).

ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელების მეორე ეტაპად, 1815-1861 წლები შეიძლება დასახელდეს, როდესაც რუსეთის მთავრობამ, სახელდობრ, რუსეთის იმპერიატორმა ალექსანდრე I-მა, კომისიის მუშაობა კვლავ აღადგინა. იმუამად კომისიას სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური, რომელიც მაღლ გაანთავისუფლეს, მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვანი კვალი მაინც დატოვა. მის დროს 11 445 ოსი მოინათლა, ხოლო 1820 წლის პირველი ივნისისათვის მონათლულთა რაოდენობაშ 31 997 ადამიანს მიაღწია (Очерки 1969:218). როგორც ჩანს, კომისიის მისიონერული მოღვაწეობის სფერო გაფართოვდა და სხვა კავკასიელებსაც გადაწვდა, მაგრამ მის სამიზნედ მაინც ოსები ითვლებოდნენ (Обзор 1910: 84). ოსეთის სასულიერო კომისიას ეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური 1817 წლის სექტემბრამდე უძღვებოდა, სანამ საქართველოს საეგზარქოსოს გადაეცემოდა, სახელდობრ, არქიეპისკოპოს თეოფილაქტეს, რომელიც 1817 წლის 14 მაისიდან 1821 წლის 19 ივნისამდე მართავდა საეგზარქოსოს. აღნიშნულ კომისიის რეზიდენცია მოზდოვეიდან ქალაქ თბილისში გადაიტანეს. ამ მნიშვნელოვან პერიოდს ეძღვნება საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები, რომელიც კომისიის მრავალმხრივ მოღვაწეობას ასახავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 1818 წლით დათარიღებული, ქართულ ენაზე შესრულებული 148 გვერდიანი მონათლული ოსების სია გვესახება. დოკუმენტი თელავისა და ამიერკავკასიის მღვდელმთავრის, ნიკოლოზ სამარლანვის მიერ ოსების კომლობრივი, სულადობრივი აღწერაა სოფლებისა და ხეობების მიხედვით. იგი ისტორიულ დაღლებში მდებარე ნარასა და ზრამაგას ხეობებით ინყება. ნარაში ამ დროს ყოფილა თლილი ქვით შენებული, მაგრამ ხელმეორედ ასაშენებე-

ლი წმიდა გიორგის ეკლესია. ხეობა, 21 სოფელში მცხოვრები 200 კომლისაგან შედგებოდა, რომელთაგან ზოგიერთი სოფელი 5-6-7 კომლს, სხვა 14-15-16 ოჯახს ითვლიდა. ესენია: ბერიშვილები, გოგიჩაშვილები, ქოჩიშვილები, ღოთოშვილები, ყაითმაზაშვილები, ვაჩიშვილები, უფხოშვილები... მათი ნაწილი, ასზედ ცოტა მეტი ადრე მონათლულა, მაგრამ ამათაც მიეცათ დადებულნი უამსა ნათლისცემისასა ჯილდონი, რომელნიცა მაშინდელსა დროსა მათ არავისგან არ მიუღიათ (სსეა, ფონდი 492, ფურც. 21). ჯილდოდ ითვლებოდა საპერანგე ჩითები ყოველ მონათლულზე, ოჯახზე თითო ხატი და თითბერის ჯვრები ზონრებით. ნარას და ზრამაგას ხეობაზე ფულის ერთეულები არ გაუციათ. სანამ სხვა ხეობებზე გადავიდოდეთ, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ თანადოროულ პერიოდში (1818 წლის იანვარში) ანალოგიური აღნერა შიდა ქართლის მთიანეთის ოსებით დასახლებულ სოფლებში არქიმანდრიტ ნიკიფორეს ჩაუტარებია, სადაც ნარას ხეობაც გვხვდება. მისა ცნობით, იგი 22 სოფლის და 233 ოჯახისგან შედგებოდა, რომელებიც სახელმწიფოს კუთვნილი გლეხები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ გერის, ნარას, ყორნისის, ჯავის და სხლების ხეობის სოფლებში განზრახული პერიოდი ეკლესიების მშენებლობა (ქოქრაშვილი 2016:626-627). საინტერესოა, რომ 1850 წლამდე, ოსეთის სასულიერო კომისიამ მარტი ჩრდილოეთ ოსეთის სოფლებში, მაგ; დარყავსში, სულაგში, ზრამაგაში, დალომში და სხვაგან ათამდე ეკლესია აღაშენა, უფრო მეტი შიდა ქართლში, ე.ნ. სამხრეთ ოსეთში (კირიონ II (საძაგლიშვილი) 1997: 88). 1818 წლის საარქივო დოკუმენტში მონათლული ოსები შემდგენ პრინციპითა აღნერილი. 1) კომლთა რიცხვი; 2) სახელი და გვარი უნინდელნი; 3) სახელი დარქმეულნი უამსა მონათლისასა; 4) რიცხვი სულთა მამრობითი და მდედრობითისა სქესისანი და 5) ვის რა მიეცა ამ მონათლულთა. ნიშანდობლივია, რომ ნუზალის, ბადის და ჭაისის ხეობის ახალმონათლულ ოსებს ჯილდოდ ფულსაც აძლევდნენ, სულზე მანეთს ან უფრო ნაკლებს. სამივე ხეობაში 145 (რმე) კომლი და ორივე სქესის 960 (შვ) მცხოვრები ითვლებოდა. ესენია: ნუზალის ხეობაში – აღეგიყოშვილი, ქორიშვილი, მიზოგაშვილი, თარყანიშვილი, ყამარზაშვილი და ა.შ. ბადის ხეობაში – ქეხოშვილი, ჯასოხთოშვილი, ჯუსოშვილი, ხაფსიშვილი, გუბაშვილი. ჭაისში – აბაშვილი, ზაქაშვილი, ბიგუაშვილი, ბიჭოშვილი, ჯალაშვილი. მათ აღნერას დოკუმენტის 45 გვერდი უჭირავს. მერე მოჰყვება ართალვარისა და უნალის ხეობების და სოფლების აღნერა, სადაც დაქცეული წმიდა სამების ეკლესიები ყოფილა ხელმორედ აღსაშენებელი. მცხოვრებთა რაოდენობა 1 914 ადამიანს, იგივე 280 კომლს შეადგენდა. ესენია: ივაშვილები, გაზაშვილები, თემრიყანაშვილები, ქეხიშვილები, სლოხიშვილები, ბექუზარაშვილები, გასაშვილები და სხვა. აღნერის დანარჩენი ნანილი სადონისა და მიზურის ხეობებს ეთმობა, რომელიც მოზღვიდან ორი დღის სავალზე მდებარეობდა. აქაც მთავარმონამე წმიდა გიორგის დანგრეული ეკლესიები ყოფილა. აღნერა მთავრდება ალაგირის ხეობით, რომელიც ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული კუთხეა, ვინაიდან 1400-ზე მეტს სულს, 210 კომლს ითვლიდა. ესენია: ჯარახობიშვილები, აღნაშვილები, გევაშვილები, ძაკაშვილები, უფგაშვილები, ბიზიკაშვილები, ბიბოშვილები, ბეკოშვილები და სხვა.

მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტში ყურადღებას იქცევს აღნერის სიზუსტე, რომელიც ასე გამოიყურება: მაგ; ნარას ხეობაში ბიბილიშვილი ბარნაბას ოჯახი, ნათლობის სახელი ბესარიონი

ამისი ცოლი გიბი	—	მარიამი
ამისი შვილი ყასა	—	იოსები
მეორე შვილი ხაჭი	—	ხარლამი
მესამე შვილი აბრეგ	—	აბრაამი
ამისი ქალი ქოქო	—	ეფემია

ასეთი თანმიმდევრობითაა აღნერილი მონათლული ოსები, თითქმის ყველა ჩამოთვლილი ხეობის სოფლებში, სადაც ისევე, როგორც ქართველ მთიელებში ქალიშვილზე შვილი კი არ უნერიათ, არამედ ქალი, მაგ; ამისი ქალი ქოქო, იგივე ეფემია.

ოსეთის სასულიერო კომისიის ნარმატებულ მუშაობას აღნიშულ ფონდში დაცული სხვა დოკუმენტიც ასახავს. კერძოდ, 1833-1835 წლებში ახალმონათლული კავკასიელ მთელებზე გაცემული სპილენძის ჯვრების რაოდენობა 22 ათასს აღნევდა (სსეა, ფონდი 492, ფ. 2).

დასასრულს, ოსეთის სასულიერო კომისიის მესამე ეტაპსაც უნდა შევეხოთ, რომელიც 1815 წლიდან იწყება, როდესაც კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება შეუდგა მოღვაწეობას. ცხადია, ზემოაღნიშნული კომისიაც მას შეერწყა, რომლის ვალდებულებები, ინსტრუქციები და მითითებები თითქმის იგივე დარჩა, რაც მისი საქმიანობის საწყის ეტაპზე (გუგუტიშვილი, ჩხარტიშვილი, ხუციშვილი 2005:86). კომისიის საქმიანობას ზოგადად დადებითი შედეგები ჰქონდა, რაც ქართველი სასულიერო პირების, საზოგადო მოღვაწეების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. კავკასიელების გაქრისტიანებაში კომისიის საქმიანობა შემდეგნაირადაა შეფასებული: „მოისწრაფოდა რა ესეთი მაღალი მიზნისადმი, იგი მთავრობის მხრით ნივთიერის დახმარებით, უშენებდა მათ ეკლესიებს, რომელთაც ამჟობდა საეკლესიო ყოველივე მოწყობილობებით, ხსნიდა სოფლებში სამრევლოებს და ინახავდა თავისი ხარჯებით ეკლესის კრებულთ, აგრეთვე აშენებდა სადგომებს სკოლებისათვის, რომლებიც იმართებოდნენ (კავკასიის) მთიულების გასანათლებლად, ინახავდა მისიონერებს და საზოგადოდ ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა, რათა თავისი მიზნისადმი მიეღწია“ (მონოდება 1888: 1). კომისიამ რამდენად გაამართლა რუსეთის მთავრობის იმედები, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ოსების გაქრისტიანება, მათში დამწერლობისა და განათლების გავრცელება, აგრეთვე ქრისტიანული კულტურის ქვეყნებთან - საქართველოსა და რუსეთთან დაახლოება, უმნიშვნელო არ იყო.

### დამოწმებანი:

**გამყრელიძე 1997:** ბ. გამყრელიძე, უქმნიდით ერთმანეთს ზიანს, ვითარცა მტერნი, ჯვარი ვაზისა, #1.

**გუგუტიშვილი, ჩხარტიშვილი, ხუციშვილი 2005:** მ. გუგუტიშვილი, ი. ჩხარტიშვილი, მ. ხუციშვილი, ქრისტიანობის გავრცელების ისტორიიდან კავკასიაში, ოსეთის სასულიერო კომისია, კავკასიის მაცნე, #13.

**ენციკლოპედია 1984:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7.

**თოგომშვილი 1969:** გ. თოგომშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბილისი.

**კირიონ II (საადგლიშვილი) 1997:** კირიონ II (საადგლიშვილი), ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში, ჯვარი ვაზისა, 1.

**მონოდება 1888:** კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მონოდება, მწყემსი 20, 30 ოქტომბერი.

**სსეა ფონდი 492:** საქართველოს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 492, აღნ. 1. საქმე 19, 20.

**ქოქრაშვილი 2016:** ხ. ქოქრაშვილი, მოხსენებითი ბარათი, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, ტ. 2, თბილისი.

**ხანთაძე 1957:** შ. ხანთაძე, ქარველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთაბეჭ, XIX - A და XX - B.

**История Грузинской иерархии 1826:** История Грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианства Осетии и других горских народов, Москва.

**Кокиев 1926:** Г. Кокиев, Очерки по истории Осетии, ч. 1, Владикавказ.

**Обзор 1910:** Обзор деятельности Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифlis.

**Очерки 1969:** Очерки истории Юго-Осетии, т. 1, Цхинвали.

**Токарев 1958:** С. Токарев, Этнография народов СССР, Москва.

# **SAINT GRIGOL PERADZE**

**120**

## **PAPERS**

**From St. Grigol Peradze 1<sup>st</sup> International Conference  
GEORGIA IN THE CONTEXT OF CHRISTIAN CIVILIZATION**

**გამომცემლობა „უნივერსალი”**

თბილისი, 0186, ა. კოჭიძის ქ. №4, ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-647-8

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-26-647-8.

9 789941 266478